სპეციალური გაზეთი

№35 (768)
ოთხშაბათი
16 ოქტომბერი,
2024 წ.
ფასი 2 ლ.

ხმა მივცეთ ქვეყნის მშვიდობიან მომავალს და მის სტაბილურ განვითარებას

მე იმ ქართველს რა ვუთხარი...

**იმ ქართველს შეურცხვა კაცობა
და ქართველობა, ვინც მაინც
ამ დამნაშავეების, ფულზე გაყიდულების,
დამსმენების, აგენტების, ქვემძრომებისა
და არაკაცების პარტიებს მისცემს ხმას!**

ნაციონალური ხელისუფლების სათავეში დაბრუნება ისევე საშიშია, როგორც ფაშიზმის ხელახლა დაბადება მსოფლიოში

სამეგრელო საქართველოს ხერხემალია

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ჯანდაცვის მინისტრ მიხეილ სარჯველაძესთან ერთად ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფებოდა.

მთავრობის მეთაურმა კლინიკაში ახალი სამედიცინო აღჭურვილობა დაათვალიერა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რუხის რესპუბლიკური საავადმყოფოსთვის მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფიის აპარატი იქნა შეძენილი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რათა საავადმყოფო კიდევ უფრო მეტად აღიჭურვოს რესურსებით.

„ეს საავადმყოფო რეგიონში ნებისმიერ კლინიკას გაუწევს კონკურენციას, თანდათანობით კიდევ უფრო მეტად ვითარდება მისი რესურსები. არის არაჩვეულებრივი სამედიცინო პერსონალი და რა თქმა უნდა, მომავალშიც გაგრძელდება ზრუნვა რუხის რესპუბლიკურ საავადმყოფოზე. მნიშვნელოვანია, რომ ეს საავადმყოფო იღებს პაციენტებს მათ შორის აფხაზეთიდან, ოკუპირებული ტერიტორიიდან, მათ შორის იღებს პაციენტებს, რომლებიც არიან ეთნიკური აფხაზები. რუხის საავადმყოფო ყველა თვალსაზრისით, მნიშვნელოვან საქმეს ემსახურება“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საავადმყოფო აღჭურვილია „მრი“ ტექნოლოგიების უკანასკნელი პროდუქტით, MRI-ს 3 ტესლას მაგნიტურ-რეზონანსული აპარატით. მაღალი ხარისხის გამოსახულებისა და სწრაფი ვიზუალიზაციის ტექნიკის საშუალებით მცირე ზომის დაზიანებების აღმოჩენა და ადრეული დიაგნოსტიკაა შესაძლებელი.

რეგიონის მასშტაბით აღნიშნული აპარატით უზრუნველყოფილი მხოლოდ რუხის კლინიკა იქნება.

საავადმყოფოში ფუნქციონირებს ონკოლოგიური განყოფილება, სადაც პაციენტები ქიმიოთერაპიის პროცედურებს გადიან. ქიმიოთერაპიის სერვისით გასულ თვეში 107-მა პაციენტმა ისარგებლა.

ამასთან, რუხის რესპუბლიკურ საავადმყოფოს კათეტერიზაციის ლაბორატორიას 2 154 000 ლარის ღირებულების ანგიოგრაფიის აპარატი საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის მიერ გადაეცა.

ანგიოგრაფიული სისტემა კატლაბი საშუალებას იძლევა, მოემსახუროს გადაუდებელ კარდიოლოგიურ პაციენტებს, კორონაროგრაფიისა და კორონარული სტენდის, ასევე ანგიოქირურგიულ და ნეიროქირურგიულ საჭიროებათა მქონე პირებს.

რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო რეგიონში ერთი-ერთი მძლავრი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სახელმწიფო კლინიკაა, რომელიც ემსახურება არამხოლოდ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონს, არამედ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოქალაქეებსაც.

რუხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში აღმასრულებელი, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

* * *

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ მიხეილ სარჯველაძესთან და კომპანია „ანაგის“ გენერალურ დირექტორთან, ირაკლი გოგოლიშვილთან ერთად, მშენებლობისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე სიმბოლური კაფსულა ჩაუშვა.

ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ უკვე ათასობით დევნილმა ოჯახმა მიიღო ბინები სხვადასხვა ლოკაციაზე და ეს პროექტიც აღნიშნული პროცესის გაგრძელებაა.

„მნიშვნელოვანი პროექტი იწყება დღეს ზუგდიდში, 1 700 დევნილი ოჯახისთვის აშენდება 7 საცხოვრებელი კორპუსი და 2027 წელს არის გათვალისწინებული ამ პროექტის დასრულება. მთელი ამ წლების განმავლობაში ძალიან აქტიურად მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები, ათასობით დევნილმა ოჯახმა მიიღო ღირსეული საცხოვრისი სხვადასხვა ლოკაციაზე და ამ პროცესის გაგრძელებაა ის პროექტი, რომელიც დღეს იწყება,“- განაცხადა პრემიერმა.

ზუგდიდში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 7 კორპუსი აშენდება - ექვსი 12-სართულიანი და ერთი 14-სართულიანი. პროექტს კომპანია „ანაგი“ განახორციელებს, მშენებლობის ბიუჯეტი კი 191 012 850 ლარს შეადგენს.

იძულებით გადაადგილებული ოჯახებისთვის ახალი კორპუსების მშენებლობა, ერთდროულად, საქართველოს 5 ქალაქში - თბილისში, რუსთავში, ბორჯომში, ქუთაისსა და ზუგდიდში მიმდინარეობს.

ჩავარდნილი ბისკვიტები

კატამ კნუტები გაზქურაში რომ დაყაროს, ისინი მაინც კნუტებად დარჩებიან, ბისკვიტებად ვერაფრით ვერ გადაიქცევიან. ასეა ამათი ამბავიც — ე. წ. რადიკალური ოპოზიციისა და მათი პრეზიდენტისა.

გადამღერებული ამბის თხრობა რა ხეირია, ახლა მხოლოდ ცალკეული დეტალებია აღსანიშნი და ისინიც იმდენად ხილულია, სიმღერით იტყვის არხეინი კაცი. ჰოდა, ჩვენც ვიმღეროთ. რატომაც არა, მავანნი თუ თავიანთ მიერ დაკვეთილი გამოკითხვის შედეგებით ხარობენ, ჩვენ „გორბის“ გამოკითხვა ავაფაროთ თვალებზე და ღრმად დავუფსოთ დასაფსები თვალები!

აერღუმელი, იცოცხლე, გავარვარებული გვაქვს, მაგრამ არ ივარგა მოზელილმა მასალამ, დაძველდა, გაწყალდა და ჩავარდნენ ბისკვიტები...

წარმოსახვითი სახელმწიფოობანას თამაში

„ჰოპ, სტოპ, ზოია...“

ამ სიმღერის გაგრძელება ყველა ნაღდმა ქალაქელმა იცის (მოლა ნასრედინისა არ იყოს, ვინც არ იცის, ნაღდ ქალაქელებში გაიკითხოს). ამდენად, აღარ დავაბოლოვებ, მხოლოდ ჩემს სათქმელს წავიღიღინებ წერილობითი ფორმით და ამ სიმღერის გაგრძელებაზე პასუხი თავისთავად დაიდება.

მოკლედ, სალომე ზურაბიშვილთან ე.წ. ტექნიკური მთავრობის შემადგენლობასა და პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის წამოყენებასთან დაკავშირებით ოპოზიციურ პარტიებთან კონსულტაციებმა ორბელიანების სასახლეში, ჭორაობისა და აუხდენელი ოცნებების სახე მიიღო.

დამდგარა ეს ამხელა ქალი სხვისი კუთვნილი სასახლის კარებში შვეიცარის ნაცვლად და ფეხმსუბუქი გოგონასავით ხან ერთ კაცს იღებს „ძლიერი საქართველოსთვის“, ხან მეორეს — „კოალიცია ცვლილებისთვის“, ხან მესამეს — „ნაცმოს“, ხან მეოთხეს — „გახარია საქართველოსთვის“ და ასე, რიგრიგობითა და მონაცვლეობით საქართველოს სამავნებლოდ ეჟღურტულება.

რა უწერიათ იმ „ქაქა“-ში არ ვიცი და არც მაინტერესებს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ „ქაქა“-ზე ხელისმომწერებმა, მთელ რიგ ვალდებულებებთან ერთად, იმის ვალდებულებაც აიღეს, რომ შეასრულებენ „ქაქა“-ში ჩაწერილ პირობებს პირველივე საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე და ჩატარდება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები თავისუფალ და სამართლიან პირობებში. ასევე, პირობაა დადებული, რომ სამოქმედო გეგმის აღსრულებაზე პასუხისმგებელი იქნება ე. წ. ტექნიკური მთავრობა, რომელსაც ზოია-სალომე წარადგენს. მთლად უკეთესი! — სალომეს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურაც შერჩეული ჰყავს, რომელსაც საზოგადოების ნდობა ჰქონია.

ესენი, ასე ერთობლივად, რას ყლაპავენ და ეწევიან ასეთს?

გამოიგონეს რაღაც წარმოსახვითი საქართველო წარმოსახვითი მოსახლეობით და „სახელმწიფოობანას“ თამაში წამოიწყეს. საკვირველება ის არის, რომ იმ წარმოსახვით საქართველოშიც არ ცნობს მადამ-ქაქა კონსტიტუციას და ხელისუფლებას და რაღაც ტექნიკურ მთავრობაზე ლაყბობენ.

ამ ღრმად გაჭირვებულებს 2022 წლის ივნისამდე გაგონილიც არ ჰქონდათ ტერმინის — „ტექნიკური მთავრობა“ — რაობა, მაშინ ჩააწვეთეს ყურსა და ტვინში ერთდროულად და გააბეს ამათაც ენაზე აცრილი კაჭკაჭივით.

ტექნიკური მთავრობის შემთხვევები იტალიაშიც იყო, საბერძნეთშიც და ტუნისშიც, მაგრამ მისი შექმნა საჭირო პოლიტიკური კრიზებიდან გამომდინარე გახდა. ესენი, მიუხედავად შეუსვენებელი მცდელობისა, რა კრიზისს ხედავენ გარდა იმისა, რომ ხელისულებაში გაპაპაჯორება უნდათ და ვერ ახერხებენ? სად ნახეს ისეთი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, რომელსაც „ქართული ოცნება“ ვერ და არ უმკლავდება?

ვინაიდან ტექნიკური მთავრობა დროებითია, ძალიან მაინტერესებს, ქაქა-ზოიამ რა ხაზზე გათვალა ტექნიკური მთავრობა. საქმე ის არის, რომ, რაც „გირჩმა“ სანდრო რაქვიაშვილმა თქვა სალომე ზურაბიშვილის მიერ ე. წ. ტექნიკური მთავრობის შექმნის იდეის შეფასებისას, „აბსურდია, რასაც ახლა პრეზიდენტი აკეთებს, რადგან, ერთი მხრივ, ქარტიაში ეს წერია, მაგრამ არავის ჰქონდა მოლოდინი, რომ ვინმე სერიოზულად შეასრულებდა ამ დაპირებას და ახლა თვითონვე გაანადგურებს თავის პარტიას. თუ ვინმეს საღი აზრი მოეკითხება ამ ოპოზიციურ პარტიებში, მაგრამ თუ არავინ არ აზროვნებს საერთოდ, შეიძლება, რაღაცებზე შეთანხმდნენ, მაგრამ მე ეჭვი მაქვს, რომ საერთოდ არ შედგება ეს შეთანხმება და, როგორც მისი ყველა წინა ინიციატივა, ესეც წარუმატებლად დასრულდება“, — იმასვე ფიქრობს ყველა ე. წ. ოპოზიციური პარტია, რომელიც ელიავაზე ჩასაბარებელი დაშლილი ნაცმოდან შეკოწიწდა.

რა მაგარი ტიპები არიან „გირჩები“, ზოგჯერ ისეთ რამეს იტყვიან, წამიერად მესიმპათიურებიან კიდეც. აბა, როგორ არ გამეცინოს, როცა იაგო ხვიჩია სავსებით სერიოზულად იტყვის — ესენი პოლიტტრანსგენდერები არიან, დანამდვილებით იცი, რომ ნაცია-კაცია და არაო, გიმტკიცებს, ქალი-არანაცი ვარო. იაგოს ამ ფრაზის შემდეგ: „ნაცმო“, ლელო, ჩელო (გვარამიას ნაკრები) და კონტრაბასი (გახარია გამხარებლები), პოლიტტრანსგენდერებად მიცვნია — თუ ვინმე გამომრჩა, ის ბაჭაჭყანები თქვენ იგულისხმეთ.

მთლად სასაცილო კი ის არის, რომ ამ პოლიტტრანსგენდერებს წარმოსახვაში, რაღაცნაირად, „ქართულ ოცნებასთან“ თანხმობის მიღწევაც წარმოუდგენიათ და იმაზეც უფიქრიათ, რა რისკები არსებობს, წინსწრებით გავიაზროთ, რომ „ოცნებამ“ შუა გზაში არ გადაგვაგდოს, როგორც „პროპორციულზე“ გადაგვაგდეს, ან კიდევ, როგორც შარლ მიშელი გადააგდესო.

„კოჭლ იხვს“ — რა, ჩიქორთულობს და დაშტერაობს. მეტი რა საქმე აქვს, არხეინობს, რაღა უნდა მიქნან, მართლა ფეხს ხომ არ მომტეხენ, რომ ნატურში ვიჩოლახაოო.

აგე, თუ არ უზამენ — სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ კიდევ ერთი იმპიჩმენტი მომზადდება!

საპარლამენტო უმრავლესობამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ ხელახლა აღძრან იმპიჩმენტის პროცედურა და საპარლამენტო არჩევნებამდე ახალი კონსტიტუციის წარდგინება მოამზადონ.

შალვა პაპუაშვილი: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის დარღვევის ფაქტის დადასტურების შემდეგ, ახალი მოწვევის პარლამენტი, პირველივე სხდომებზე, სალომე ზურაბიშვილს არანაკლებ 100 ხმით იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადააყენებს.

როგორც მოგეხსენებათ, სალომე ზურაბიშვილს მიმდინარე წელს ისედაც ეწურება უფლებამოსილების ვადა. შესაბამისად, იმპიჩმენტის წესით მისი გადაყენებით, სალომე ზურაბიშვილის უფლებამოსილების ვადა მაქსიმუმ ერთი თვით შეიკვეცება. აქედან გამომდინარე, იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან მის გადაყენებას, უფლებამოსილების ვადის მხრივ, აქვს მეტწილად სიმბოლური დატვირთვა, თუმცა ძალზე პრინციპულია ამ გადაწყვეტილების სამართლებრივი და პოლიტიკური დატვირთვა.

არ შეიძლება ქართველი ხალხის მთავარი კანონის განზრახი, უხეში და სისტემატური დარღვევა დაუსჯელი დავტოვოთ. კონსტიტუციის დამრღვევ სალომე ზურაბიშვილს უნდა დარჩეს არა ყოფილი პრეზიდენტის, არამედ გადაყენებული პრეზიდენტის სტატუსი, რაც, როგორც პრეცედენტი, შეასრულებს უმნიშვნელოვანეს პრევენციულ როლს მომავალში ამგვარი თვითნებობის თავიდან ასაცილებლად და ქართული დემოკრატიის განსამტკიცებლად“.

ოფიციალურ ენაზე ასეა, მაგრამ არაოფიციალურ ენაზე ასე: პრეზიდენტი უნდა იყოს ის პირველი პირი, რომელიც კონსტიტუციას იცავს, ამ ზოიამ კი, არაერთხელ თავზე დაიხია საქართველოს კონსტიტუცია და სახელმწიფო ინსტიტუტებიც მიაყოლა. სასამართლომ გაარჩია საქმის არსი, დაადანაშაულა ქ-ნი ზურაბიშვილი, იგი „კოჭლ იხვად“ იქცა, მაგრამ მიდიიი, მაინც უბერავს მოპარული „კამაზივით“, და უხმოდ — ნას ნე დაგონიააااატ!

აცადოს, დაგონიატ!..

ცოდვა გამხელილი სჯობს, — თვითონ კი არ უბერავს, აბერინებენ და ეს ფშუტე ზოიაც ფეხმსუბუქად ცანცარობს — ზოიაა და სხვაგვარად არ ძალუძს!

ღიღინს წერილობით გადმოგცემთ-მეთქი, შეგპირდით და, ვასრულებ.

„ვერ აგისრულე, რასაც დაგპირდი, ისევ მოვედი შენთან“ კი არადა, სქრინები მაქვს შენახული — პირველი 2013 წლით თარიღდება, დაბადების დღეს ვულოცავ ქალბატონ სალომეს და ვაქებ. ბოლოსკენ — კიდევ ვულოცავ. სულ ბოლოს, 2021 წლის აპრილში კი ვაფრთხილებ, თუ ფეხმრუდე ზოია გახდები, პრეზიდენტად კი არა, საქართველოს მოქალაქედ აღარ ჩაგთვლი-მეთქი და აჰა, ხომ ვუსრულებ, რასაც დავპირდი? ოლღა ბებიასი არ იყოს, ზმნის პირიანობა არ ვიცი მე, კაცი უნდა იყოს პირიანი!!!

იყოს ახლა ვირტუალურ ხალხთან ერთად ვირტუალურ საქართველოში...

თუმცა, სალომეს რა, იმათ იკითხონ, ვინც მას ჩამოეკიდა ან აეკრო, თორემ ეს ქალი დაჰკრავს ფეხს და იქ გადაიქაჯება, საიდანაც მოქაჯდა...

ისა და, ეს ფრანგი ქალი ბიძინა ივანიშვილმა უსამშობლოებს შეგნებულად ხომ არ ჩაუდო? რა ვიცი, გენაცვათ, რასაც ეს იღვწის, სულ „ოცნების“ სასარგებლოდ იდება და ვერაფერი გამიგიაღა...

მოკლედ, ასეა თუ ისე, ამ ქალს გაგდებული პრეზიდენტის სახელი და პირადი კეთილდღეობა შერჩება. პირველი — ფეხებზე ჰკიდია, მეორეთი კი გაიხარებს – ის ხომ მხოლოდ გვარითაა ქართველი, მენტალობითა და გენებით კი, ვინ არის, თვითონაც ვერ გაუგია.

იმ „პრადვინუტი“ მშობლისა არ იყოს, შვილს რომ ამუნათებს, რატომ იქცევი ცუდად, „მამა— ვერელი, დედა — ვაკელი, რა დაგაკელი, რა დაგაკელიო“, ამ ზოიაქალს რა დავაკელით?

„ჰოპ, სტოპ, ზოია!“ ვუძახეთ და არ მოგვისმინა, ერთ ყურში შეუშვა და მეორედან გაუშვა და ზუსტად ისე მოიქცა, როგორც მისამღერის ტექსტშია, ორიგანალშიც და გავრცელებულშიც. რუსი დიდი ბებიის შვილთაშვილი რუსულის უცოდინარობას არ უჩივის და ეს სიმღერაც ეცოდინება, რადგან მასავით ძველია და მასთან მენტალურადაც ახლოსაა. ახლა ის ვიკითხოთ, ვისში გაცვალა ჩვენი ნაჩუქარი „ჩულქები“ — საქართველოს ღირსეული პრეზიდენტის სახელი, ჩვენი მოფერება და ჩვენი ხელისგული, ბოლოს კი

5 ბ3.



ოპოზიციისთვის სულ ერთია „რას იტყვის მასზე შთამომავლობა“

გვესაუბრება საინფორმაციო ანალიტიკური პორტალ for.ge-ს მთავარი რედაქტორი
გიორგი იაკობაშვილი

- ბატონო გიორგი, არჩევნები დღითიდღე ახლოვდება. რა მოლოდინი გაქვთ, ვინ ჩაიბარებს ქვეყნის ბედს ამ რთულ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში?

- ვინ წავა და ვინ დარჩება, ეს საზოგადოების გადასაწყვეტია. თუ საზოგადოება გადაწყვეტს, რომ ხელისუფლებაში დარჩეს „ქართული ოცნება“ - ხომ კარგი! თუ გადაწყვეტს, რომ დაბრუნდეს „ნაციონალური მოძრაობა“ - ესეც საზოგადოების გადაწყვეტილება იქნება და უნდა მივიღოთ. უბრალოდ, ვიტყვით, რომ ამ ქვეყანამ და ამ საზოგადოებამ მეტი არ დაიმსახურა! თუმცა ეს საკმაოდ უსაფუძვლოდ მეჩვენება, რადგან, ჩემ გარშემო იშვიათად რომ ვინმე „ნაცმოძრაობას“ უჭერდეს მხარს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ვგულისხმობ „ლელოსაც“, გახარიას პარტიასაც და ყველა მათ განაყოფს, რადგან, სულაც რომ „ამერიკის დემოკრატიული პარტია“ დაირქვას ყოველგვარი სინდისისგან დაცლილი ამ ადამიანების ჯგუფმა, მაინც კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ იქნება.

- თუმცა, სწორედ ამ „კოლექტიურობით“ ცდილობენ, რომ თავი გადაირჩინონ. მაგალითად, ტელეკომპანია „ფორმულას“ დაკვეთითა და დაფინანსებით სექტემბერში ჩატარებულმა „ედისონ რისერჩის“ „კვლევამ“ აჩვენა, რომ ოპოზიციის გაერთიანების შემთხვევაში, მათ „ქართულ ოცნებაზე“ გაცილებით მეტი მხარდამჭერი ეყოლებათ...

- „ედისონ რისერჩის“ მიერ ჩატარებულმა “კვლევამ”, სადაც ხაზარაძეებს, გვარამია-მელიებს და გახარიებს 12-12% უწერიათ, ლუის ნავარო და მისი 2012 წლის რეიტინგები გამახსენა, 40%-იანი ცდომილება რომ ჰქონდა. ეს რიცხვები მაშინ სასაცილოდ არ გვეყო, ლუის ნავარომ კი, ფულის მოზრდილი დასტა გადაკეცა და გაქრა, ალბათ, იგივე მისიით სხვა ქვეყანას მიაშურა. მას შემდეგ ჩვენ ნავაროს ვაგინებთ, რაც სასაცილოდ არ ყოფნის თავად ლუის ნავაროს.

ასეა, როცა ღირსების ნატამალი არ გაგაჩნია და როცა შენთვის სულერთია, „რას იტყვის შენზე შთამომავლობა“ და რას იტყვიან თანამედროვეები - ფული გადაკეცე, ქუდი დაიხურე და გაქრი!

„ედისონ რისერჩი“ ამერიკული სპეცსამსახურების პროექტია, ნაცები და მათი განაყოფები, ანუ კოლექტიური ნაცმოძრაობა - რუსეთისა და დასავლეთის ერთობლივი პროდუქტი, რომელთაც არ გააჩნიათ ღირსება და, ამდენად, მათთვის გაუგებარია სლოგანი - „ღირსებით ევროპისკენ“!

რაც შეეხება მშვიდობას და კეთილდღეობას, მათი პირადი კეთილდღეობა მეორე ფრონტის გახსნისა და საომარი მოქმედებების ინტენსივობის პირდაპირპროპორციულია. ასეთი კეთილდღეობით ევროპაშიც წაესვლებათ, ამერიკაშიც და ჯანდაბაშიც.

გახარიას სულ 12 კაცი აძლევდა ხმას, მაგრამ გუშინ ბექა ლილუაშვილმა გადაიფიქრა, ხვალ, მგონი, ანა ბუჩუკურიც მის მაგალითს მიბაძავს და, რა ვიცი, თუ არჩევნებზე 92-93 ამომრჩეველზე მეტი არ მივა, მაშინ, კი ბატონო, გახარიას თავისი 12% ნამდვილად გარანტირებული აქვს და, შესაძლოა, გვარამია-მელიას რომანტიკულმა ტანდემმაც დაძლიოს საარჩევნო ბარიერი.

- წელს არჩევნები ახალი ფორმატით ტარდება და გაყალბების შანსიც მინიმუმამდეა შემცირებული. ალბათ, ეს მოცემულობაც არის მიზეზი იმისა, რომ რადიკალების მხრიდან ცესკო-ს თანამშრომლებზე ზეწოლის ფაქტები გახშირდა...

-1990 წლიდან მოყოლებული, ყველა არჩევნებში აქტიური მონაწილეობა მაქვს მიღებული, ხოლო 90-იან წლებში, სამი წელი იმ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი ვიყავი, რომელშიც „პარადი“ ხათუნა გოგორიშვილს მიჰყავდა. ცესკო-ს ასეთი გამართული, მშვიდი და დამაჯერებელი მუშაობა, პირადად მე მართლა არ მახსოვს, რასაც ახლა ვხედავ. ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც ცდილობენ, დააზიანონ მოედანი და განათება; ცესკო-ს წევრებს ექაჩებიან მაისურებზე; გარედან დანიშნული მსაჯები და თვითგამოცხადებული კომისრები არიან საშინლად ტენდენციურები და ა. შ. მარგველაშვილი რომ ნატრობდა, ალასანიას ვიზუალი მომცაო, აგერ, მე ცესკო-ს თავმჯდომარის, გიორგი კალანდარიშვილის ნერვებს ვნატრობ!

ერთადერთი, რისიც არჩევნებზე მეშინია, ის არის, რომ ბევრი ხმა არ დაიკარგოს, რადგან ამომრჩეველმა ახლა, ახალი ფორმატით, სუბიექტის გასწვრივ არსებული რგოლი უნდა გააფერადოს და ძველებურად არ უნდა შემოხაზოს. თუმცა, ამ მხრივ ცესკო-მ ძალიან დიდი სამუშაო ჩაატარა, ბევრ უბანზე იყო შესაძლებელი იმიტირებულად ხმის მიცემა, მაგრამ საბოლოო ჯამში, მაინც დასაფიქრებელია, ხელი არ წაგვცდეს და სუბიექტი არ შემოვხაზოთ. ყველაფერს დიდი პასუხისმგებლობით და დაკვირვებით უნდა მოვეკიდოთ და გააზრებულად უნდა გავაკეთოთ ჩვენი არჩევანი.

- არ ფიქრობთ, რომ, ბოლო დროს ევროპარლამენტარებმა ჩვენი ქვეყნის მიმართ რიტორიკა შეიცვალეს? უკვე რამდენიმე მათგანმა გააკეთა განცხადება, რომ საქართველოს შიდა საქმეებში არ უნდა ჩაერიონ და არჩევნებზე დამდგარი შედეგი უნდა აღიარონ...

- ევროპაში ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი განწყობა არასდროს ყოფილა, არც ჩვენს მიმართ და არც, ზოგადად, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მიმართ. ასე რომ, არ მიკვირს, მით უფრო, რომ თვითონაც ერიდებიან უკვე მკვეთრი განცხადებების გაკეთებას. ბოლო 12 წელიწადში რამდენი არჩევნებიც ჩატარდა, ყოფილა შემთხვევა, სადაც გაყალბებაზე არ ელაპარაკოთ? მაგრამ არგუმენტები არ დაუდიათ, მტკიცებულებები არ დაუდიათ, არც ვიდეო მტკიცებულება, არც დოკუმენტური მასალა და იმიტომ იყო, რომ საბოლოოდ დასავლეთი აღიარებდა ხოლმე ამ არჩევნების შედეგებს. ახლა, მით უმეტეს, გაყალბების შანსი ნაკლებია და რეპუტაციული ზიანის მიყენებას საკუთარი თავისთვის, საკუთარი ორგანიზაციისთვის უკვე ბევრი ევროპარლამენტარი ერიდება. რა თქმა უნდა, ამას არასდროს მოერიდება ფოტიგასნაირი და კუბილიუსისნაირი ადამიანი, იმიტომ, რომ იმ განცხადებებში, რასაც აკეთებდნენ და აკეთებენ, მათ სერიოზული ანაზღაურება აქვთ აღებული. ეს ფული ხომ უნდა გამოიმუშაონ რაღაცნაირად, ისევე, როგორც ჩვენმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომელთა შემოსავლის ერთადერთი წყარო გრანტებია და გრანტებს ვინც აძლევს, ცხადია, მესიჯ ბოქსსაც ის უგზავნის.

- პრეზიდენტი ე. წ. ტექნიკურ მთავრობას ადგენს და უკვე თანამდებობებსაც ანაწილებს. რა პოლიტიკური აგონია დაემართა ამ ქალს?

- არჩევნები ჩაივლის და ცოტა ხანში ეგ ქალი აქ აღარ იქნება. უბრალოდ, სალომე ზურაბიშვილი მათ სიაშია, ვინც გარკვეული ანაზღაურების საფასურად აკეთებენ მსგავს განცხადებებს და ვალდებულია, ათასი სისულელე ილაპარაკოს. როცა ამბობდნენ, რომ ზურაბიშვილი გადადგება, „ნაცმოძრაობის“ სიაში შევა და მერე პარლამენტში შევა... მეცინებოდა ყოველთვის. ახლა მას ერთი სული აქვს, ამოიწუროს მისი პრეზიდენტობის ვადა, რომ დაკრას ფეხი და გაიქცეს. მერწმუნეთ, ერთი თვის შემდეგ სალომე ზურაბიშვილი აქ აღარავის ემახსოვრება. ის საქართველოში აღარ იცხოვრებს, არც სტუმრად ჩამოვა, არც არავინ დაპატიჟებს და თუ დაპატიჟებენ, უარს შემოუთვლის. მაგისთვის საქართველო დამთავრებულია. ასე რომ, რა განცხადებას გააკეთებს ის ახლა, არც მისთვის და არც ჩვენთვის, მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ჩემი აზრით, ეს ქალი არამხოლოდ გარეწარი, არამედ იდიოტიც არის!

- ნახავდით, რომ გვარამიას სიის პირველ ნომრად ჰყავს ქალი, რომელიც აქციაზე ევროკავშირის დროშას იქნევდა (გვარიც არ მახსენდება) და ამის გამო „გმირად“ შერაცხეს. ეს რას ნიშნავს, დასცინის ოპოზიცია საზოგადოებას?

- ეს უკვე დაცინვაც აღარ არის, ეს ისტერიკაა. ეს არის პროცესის დასასრული. მაგათი კომედია სრულდება და ამის გამოძახილია ეს ყველაფერი. ამას ღიმილით უნდა შევხედოთ - ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის! ჩატარდება არჩევნები, საქართველოს მტრები დამარცხდებიან, რამდენიმე დღე იწანწალებენ და შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. თუ შენიშნეთ, წინასაარჩევნო კამპანიასაც არ ატარებენ და თუ რამე პროგრამა გააჩნიათ, ისიც მხოლოდ ორი პუნქტისგან შედგება. აქედან ერთი მიშას გათავისუფლებაა, მეორე კი - ომის დაწყება.

ისეთი განცდა მაქვს, რომ თვითონ ნაცებსაც დიდად არ ხიბლავთ ხელისუფლებაში მოსვლის პერსპექტივა, მაგრამ ეს არის ზეწოლა დასავლეთიდან. ძველ ნაცებს უფრო ვგულისხმობ, რომლებსაც ფული ნაშოვნი აქვთ, ბიზნესები აქვთ, მათ ბიზნესებს არავინ ერჩის და რაღა უნდათ ხელისუფლებაში?! დასხდნენ პარლამენტში და რაც მთელი ცხოვრება „უკეთებიათ“, ის გააკეთონ - ისხდნენ უსაქმურად, ილანძღონ და იგინონ! ეს უნდათ მაგათ დღესდღეობით.

ერთადერთი საშიში ვინ არის და ვინც ყველაფერზე წამსვლელია, ესენი არიან არასამთავრობო ორგანიზაციები, ნინო ლომჯარიები და სხვები... წარმოიდგინეთ, რადიკალიზმის რა დონეა, როცა ნინო ლომჯარია სოციალურ ქსელში წერს, რა კარგია, რომ უკრაინასთან საფეხბურთო მატჩი წავაგეთ, თურმე ამით უკრაინას დავეხმარეთ! უკრაინა საქართველოზე მატად „უყვართ“, იმიტომ, რომ უკრაინის სიყვარულში ფულს უხდიან თავიანთი პატრონები, საქართველოს სიყვარულში კი - არა. თუ რუსეთის სიყვარულში გადაუხდიან ფულს, რუსეთსაც ასეთივე წარმატებით „შეიყვარებენ“.

ძალიან ბევრი მტერი გვყავს გარშემო და შიგნითაც და როგორც საზოგადოება წყვეტს დღეს ჩვენი ქვეყნის ბედს, არჩევნებზე ხმის მიცემით, ასეთივე მისია აკისრია ქვეყნის უშიშროების სამსახურს, პოლიციას და ყველას, ვისაც საზოგადოებისა და ამ ხმების დაცვა ევალება. ჯერჯერობით რასაც ვუყურებ, მათზე საყვედური არ გვეთქმის. იმედია, არჩევნები ჩატარდება დემოკრატიულად, თავისუფლად, იქნება სიმშვიდე, ყველა გამოხატავს თავის ნებას, ნაცები და სალომე ზურაბიშვილი კი დასრულდებიან და ამის გამო მადლობას გადავუხდით საზოგადოებას და სახელმწიფოს!



ნონა ქარქაშაძე

3 გვ.

ის დავაძახოთ, რაც ტექსტში ვიღაცამ მოკლედ იკითხა, მაგრამ მთელი აზრი ჩაექსოვა, რაც ვრცლად ასე იკითხება: შევწუხდი, ხალხო, დამენახეთ, ბოლო-ბოლო, ვინ არ წოლილხართ ამ პატარძალთანო?

მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო...

„შე ვირიშვილო სუდია, რა დაგიშავე ცუდია?“

აი, ვისზე გავუცვლივართ ზოია-პრეზიდენტს — ევროპარლამენტმა მის მიერ შემუშავებული პროექტით, ევროკავშირს საქართველოს მთავრობისთვის დახმარების გაყინვის, ბიძინა ივანიშვილისა და დემოკრატიის უკუსვლაზე პასუხისმგებელი პირების სანქციერებისა და ანტიდემოკრატიული კანონების ვიზალიბერალიზაციის კრიტერიუმების დადგენისკენ მოუწოდა.

რეზოლუციის პროექტი საქართველოს მთავრობას მოუწოდებდა, რომ შეეწყვიტა ოპონენტების დაშინების კამპანია და ანტიდასავლური დეზინფორმაცია; დაეწესებინა სანქციები რუსეთისთვის; ჰუმანიტარული ნიშნით გაეთავისუფლებინა მიხეილ სააკაშვილი და არჩევნების შედეგების მიხედვით ძალაუფლების მშვიდობიანი გადაბარების უზრუნველყოფა მოეხდინა.

რაც ზოია-პრეზიდენტია, იგივენი არიან კრებსითი ზოიები ევროწითელი ფანრების ქუჩიდან!

მოკლედ, რა უნდათ კრებსით ზოიებს და ვირიშვილ სუდიებს?

ძალიან მოკლედ ასე ითქმის: საქართველოს ხელისუფლების შეცვლა!

ჰოოოოდა, ჩემო იმანო, ამიტომ არის, რომ მიზეზ-მიზეზ დოს მარილიც აკლია და ცხელი რძით პირდამწვრები დოსაც სულს უბერავენ!

აბა, სხვა რა უნდა დაერქვას იმას, რა კაკაფონიაც ბანერებზე ატეხეს. რატომ მიიჩნიეს, რომ ბანერები, რომელზეც ერთ მხარეს ომის შედეგებია გამოსახული, მეორე მხარეს კი მშვიდობისა, მტრული რიტორიკაა უკრაინის მიმართ და უკრაინული ქალაქების განადგურებითა და მამაცი უკრაინელების ტანჯვით საქართველოს ხელისუფლება და ქართველი ხალხი ხარობს?

მე ვიცი!

იმის გადაფარვა უნდათ, რაც თვითონ ჩაიდინეს, ამ ბანერებმა კი ის რეალობა დაანახეს, რაც რუსეთის ხელით განახორციელეს! და კიდევ, გაიაზრეს, რომ ამ ბანერების შემხედვარე, თვით უკრაინელებში, რომლებიც საქართველოში არიან თავშეფარებულები, მალე შეკითხვა დაიბადება, მათ შორის, თვით ქართულ ფუტურო თავებშიც: რატომ დაიწყო შეჭრა რუსეთმა უკრაინაში?

დიახ, ეს ასეა, ამიტომ გადაიშალნენ აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობის ნორმალიზების შესაძლო დაშვებაზე — რას ჰქვია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება, რომ მოსკოვი მზად არის დაეხმაროს საქართველოს ამ საკითხში, ეს ხომ ოკუპირებული რეგიონების აღიარების პოლიტიკიდან გადახვევის დემონსტრირებაა და რატომ მოიწონა ეს ამბავი საქართველომო.

მრავლისმომცველ ჯიგრიანად ვიკითხავდი, მაგრამ გაზეთის ფურცლებზე არ შეიძლება, ამიტომ კულტურულად ვიკითხავ: ამათ უცხო სხეული ხომ არ აწუხებთ ტვინში?

რა ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების პოლიტიკიდან გადახვევა — „ჭერმიტოლა ბრილიანტი, გარგლიტოლა ბრილიანტი! გარგლიტოლა ჭერამი!..... რაო?! რა ატამი, რი ატამი!..“

ჩვენი ოკუპირებული რეგიონების მაღიარებელი ამ რეგიონების ოკუპანტი რუსეთია და ეს ოკუპანტი რუსეთი ამბობს, აგერ თქვენი აფხაზეთი და სამაჩაბლო (მე მხოლოდ ასე მოვიხსენიებ), შუამავლად დაგიდგებით, რომ ისტორიული სამართლიანობა აღდგესო და ეს ზოია-სუდიები კიდევ ბრაზობენ, ეგ რა წესია, აღიარა და მორჩა, დამთავრებული ამბავიაო.

გამოიშალნენ კორუმპირებულობის გამო ისედაც სახელგატეხილი ევროორგანიზაციიდან ევროუსაქმურები და დასცეს კიჟინა ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტიდან დაწყებული, იუკნევიჩიანეს, ურმას პაეტის, რიჰარდ კოლსის და ა. შ. კუტიპალოებით დამთავრებული და დიდი მარგარიტა გრეგოროვას მოძახილით, არიქა, ჰკარით ბუკსა და ნაღარას, გავაშეშოთ საქართველო ევროინტერაციისკენ მომავალ გზაზეო.

აი, თქვენ კი გიკბინოთ მე-12 მალაზე გაუხედნავმა ულაყმა!

ბიძინა ივანიშვილის დასანქცირება; რუსეთის დასანქცირება; ოჯახის სიწმინდის დაცვისა და ლგბტ კანონის გაუქმება; საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის შეჩერება; საკაშვილის უპირობო გათავისუფლება და კიდევ რაღაცების ჟღნავილი — უკვე თავ-ბოლო ამერია — მარიანის ღრმულის პირთამდე ამოვსება არ გვევალება?

ავადმყოფია ეს ჩვენი დაუძინებელი მეგობართაგანი დღის ევროკლუბი, თუ ზეკორუმპირებული იდიოტების ნაკრები?

კი, გონიერი, სუფთა და პირუთვნელი ადამიანებიც არიან იმ ორგანიზაციაში, მაგრამ უზნეოთა გუნდი სძალავს...

უცვლელია არაფერია, ესეც ჩაივლის, მაგრამ მანამდე ხომ გინდა თავის გატანა?..

ახლა იმაზე აყაყანდნენ, რატომ არ ესწრებოდნენ „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი, სიის პირველი ნომერი და პარტიის თავმჯდომარე ირაკლი ღარიბაშვილი, სიის მეორე ნომერი, საარჩევნო პროგრამის წარდგენას, მიზეზს „ქართული ოცნების“ წევრებიც ვერ ამბობენ, სად იყვნენო?

ნეტავ, ჩემთვის ეკითხათ, გავხეთქავდი გულზე, ვეტყოდი — როკფელერთან-მეთქი...

„წადი, შორს წადი, იქნებ სულაც გადამავიწყდე...“

არის! ევროპელებად წოდებულმა აშშ-ის გოშიებმა, დაცვედანებულმა ევროპარლამენტმა საქართველოს შესახებ რეზოლუციას მხარი დაუჭირა 495 ევროპარლამენტარით, 73-მა ხმა წინააღმდეგ მისცა, 86-მა თავი შეიკავა.

აქამდე მხოლოდ მათი შეშფოთება-აღშფოთების უნარების შესახებ გვქონდა დიდი ინფორმაციული „დეპეშები“, ახლა კი გავიგეთ, რომ ღრმა მწუხარების გამოხატვაც შეძლებიათ. ნეტავ დიდ სინანულშიც არ ჩავარდებოდნენ და თვითგვემა არ წამოიწყონ, აღარაფერს ვწუხვარ სხვას...

ეს ასე რომ უნდა მომხდარიყო, მხოლოდ მე და „ნაცებმა“ ვიცოდით წინსწრებით? კგბ-საც ეცოდინებოდა, მაგრამ იმათ ხომ ვერ ათქმევინებ ვერაფერს, სანამ ანაქსუნამუნს არ დაინახავენ...

თქვა იმ დედამიწის მაწანწალა გულჩვილმა კაცმა, ეკონომიკის მაგისტრმა დიპლომატმა, რომ ყველა ის პარამეტრი, რასაც ევროკავშირის წევრობისთვის მოითხოვენ, სისულელეა და ახალი წესებით, ევროკავშირში ვერ შევა ის ქვეყანა, რომელსაც სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და საკუთარი მოსახლეობის დაცვა სურს ყოველგვარი მავნებლობისგანო.

ასე ლამაზად არ ჩამოურაკრაკებია, მაგრამ აზრი ეს არის. რა ქნას მეტი, ყველა იმ ენაზე ხომ არ გამოაცხადებდა, რომლებიც იცის, მით უმეტეს, რომ იმ ენებში რუსულიც ურევია?

ისე, არ მგონია ეს კაცი ასეთი სულელი იყოს, მაგრამ რა ქნას იმანაც, მისი ქვეყანა ნატო-ს წევრია, ევროკავშირის წევრია და არის ისიც ასე, „ვარ და ვარ წუთისოფელოო“...

კაცი ეკონომისტია, სანამ ჩვენამდე მოვა ინფორმაცია, რომ საქართველო ყველა საერთაშორისო პარამეტრებით არა მხოლოდ ევროკავშირის წევრობის კანდიდატებს, არამედ, თვით წევრ ქვეყნებს უსწრებს, ის იგებს და ლენჩი ხომ არ არის მართლა და მართლა...

ჩემო საქართველო! იმათ ვჭირდებათ და სულ მცირე ხანში კიდევ უფრო დასჭირდებათ საქართველო ბებერი მეძავის შვილებს, თორემ ჩვენ რა, — მე ვარ ქართველი და არავითარი მაშასადამე!

ზოგადად კი, ფრიად გაოცებული ვარ — სამმილიონიანი საქართველო რომ ასე აზაზარებს მრავალმილიონიან კრებსით დასავლეთს, 20 მილიონი რომ ვიყოთ, რას ვუზამდით, მენტალურ შოკს დავმართებდით?

მართალი თქვა ბატონმა პრემიერმა, ირაკლი კობახიძემ, ჩალის ფასი აქვს ამ რეზოლუციას ისევე, როგორც წინა სამს ჰქონდა, შედეგიც შესაბამისი იქნება და კიდევ: „ეს არის მორიგი, მეოთხე რეზოლუცია, რომელიც ევროპარლამენტმა მიიღო. აქ იკითხება იმ ძალების ხელი, რომელსაც ჩვენ გლობალურ ომის პარტიას ვუწოდებთ. აშკარაა, რომ კონკრეტული ძალები ვერ ეგუებიან, რომ ქვეყანაში არ შედგა მეორე ფრონტი, არ შედგა ომი და ეს არის ერთგვარი ბოლო გაბრძოლება ამ ძალებისთვის იმისთვის, რომ ასეთი სცენარის განვითარება მოახერხონ. ისინი იმედს ამყარებენ საპარლამენტო არჩევნებზე და ამისთვის შედგა ევროპარლამენტში ეს დისკუსია და ამისთვის მიიღეს ეს რეზოლუცია, მაგრამ ამ ძალების ეს მცდელობა წარუმატებლობისთვის განწირულია.“

„ქართული ოცნების“ დეპუტატი დიტო სამხარაძე: „„ორი სიტყვით, გლეხურად გეტყვით, რა უნდათ ამათ! თქვენთან მშვიდობა რას ჰქვია და არისო! თუ მაინცდამაინც, უკრაინაში რომ არის, ისეთი მშვიდობის უფლებას კი ბატონო, გაძლევთო, ნობელის პრემიაზეც წარგადგენთ მშვიდობის დარგში და მაგარ რეკლამასაც გავუკეთებთ თქვენს ლიდერებსო! თქვენთან ეკონომიკა არ უნდა განვითარდეს, რაში გვაწყობს? მერე ველარ დაგიმონებთო! კაცების გათხოვება რომ დაგვენერგა მსოფლიო ნორმად, მილიარდები დავხარჯეთ და ვინ ხართ ქართველები, კაცის გათხოვებას შირის წევრობის კანდიდატებს, არამედ, თვით წევრ ქვეყნებს უსწრებს, ის იგებს და ლენჩი ხომ არ არის მართლა და მართლა...

ზელენსკის ყოფილი თანაპარტიელი არტემ დმიტრუკი

ახალი ამბები

მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ინტერესებზე ორიენტირებულმა პოლიტიკამ გადაარჩინა საქართველო საშიში ავანტიურისგან, რომელსაც შეეძლო ასობით ათასი ადამიანის სიცოცხლე მოესპო

ჩავარდნილი ბისკვიტები

ჩემო საქართველო! იმათ ვჭირდებით, ერაკლი კობახიძემ, ჩალის ფასი აქვს ამ რეზოლუციას ისევე, როგორც წინა სამს ჰქონდა, შედეგიც შესაბამისი იქნება და კიდევ: „ეს არის მორიგი, მეოთხე რეზოლუცია, რომელიც ევროპარლამენტმა მიიღო. აქ იკითხება იმ ძალების ხელი, რომელსაც ჩვენ გლობალურ ომის პარტიას ვუწოდებთ. აშკარაა, რომ კონკრეტული ძალები ვერ ეგუებიან, რომ ქვეყანაში არ შედგა მეორე ფრონტი, არ შედგა ომი და ეს არის ერთგვარი ბოლო გაბრძოლება ამ ძალებისთვის იმისთვის, რომ ასეთი სცენარის განვითარება მოახერხონ. ისინი იმედს ამყარებენ საპარლამენტო არჩევნებზე და ამისთვის შედგა ევროპარლამენტში ეს დისკუსია და ამისთვის მიიღეს ეს რეზოლუცია, მაგრამ ამ ძალების ეს მცდელობა წარუმატებლობისთვის განწირულია.“

„ქართული ოცნების“ დეპუტატი დიტო სამხარაძე: „„ორი სიტყვით, გლეხურად გეტყვით, რა უნდათ ამათ! თქვენთან მშვიდობა რას ჰქვია და არისო! თუ მაინცდამაინც, უკრაინაში რომ არის, ისეთი მშვიდობის უფლებას კი ბატონო, გაძლევთო, ნობელის პრემიაზეც წარგადგენთ მშვიდობის დარგში და მაგარ რეკლამასაც გავუკეთებთ თქვენს ლიდერებსო! თქვენთან ეკონომიკა არ უნდა განვითარდეს, რაში გვაწყობს? მერე ველარ დაგიმონებთო! კაცების გათხოვება რომ დაგვენერგა მსოფლიო ნორმად, მილიარდები დავხარჯეთ და ვინ ხართ ქართველები, კაცის გათხოვებას რომ ეწინააღმდეგებითო. უამრავი გათხოვილი კაცია ოპოზიციაში, მივესალმებით და იმიტომაც ვიცავთ, ფულებსაც ვუგზავნით, რომ რაც შეიძლება მეტი კაცის გათხოვების მაჭანკლობა მოახდინონო! ეკლესია დაანგრიეთ, არ იწამოთ იესო, თქვენთვის ღმერთი უცხო ქვეყნის პრეზიდენტი გახდება და მოციქული მისი ელჩიო! ხმა მიეცით ჩვენს მონებს და მერე ვიზას ჩაგირტყამთო! არ მივაჩნივართ თანასწორუფლებიან ადამიანებად! ამ მყრალ მოცემულობაში კარგი ის არის, რომ ვერ გავუცვნივართ, არ იციან ქართველი, კარგია“.

ბიჯოო, ევროპა ევროპას აღარ ჰგავს და აშშ-ის ელჩი — აშშ-ის ელჩს. მგონი, კელი დეგნანმა რისხვის დეპეშა აფრინა რობინ დანიგანთან, ქალო, შენ რას მიედ-მოედებიო?

ეტყობა, აშშ-ის ელჩმა ჩემი ნათქვამი გაიგონა და იფიქრა, მართალს ამბობს ეს ზურა, საქართველოზე კარგ ადგილს სად ვნახავ საელჩოდ, მოდი, ჩუმად ვიქნები აშშ-ის არჩევნების შედეგებამდე მაინც, ე მანდ, ტრამპმა აქედან არ მომისროლოს და თუ რამე, ვერ გადავთქვამ ჩემივე ნათქვამსო? და ისეთები თქვა, მეგონა, მოჩვენებები დამეწყო.

რას ჰქვია, არ ველაპარაკები „ოცნების ხელისუფლებას“ და მმართველი პარტიის ლიდერებს, ვინ ჩმახავს ამ ტყუილებსო? „ქართული ოცნება“ დემოკრატიულად არჩეული მთავრობაა და, შესაძლოა, ახლანდელ არჩევნებზეც ასე იყოსო — ხალხი გადაწყვეტს, ჩვენ კი არაო; კინაღამ გადავირიე, ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ცესკო-მ, ჩემი აზრით, გუნდი მზად არის, ყველანაირად შეუწყონ ხელი არჩევნების თავისუფლად და სამართლიანად ჩატარებასო.

ამ ქალაშავასი ვის სჯერა, — ამათ ენდოს ტიფა! ეტყობა, იმ მომენტში ახალი ნაჭამი ჰქონდა მეგრული სიმინდი და დროებით, იმან გაუხსნა გონება...

ჩავარდნენ-მეთქი ბისკვიტები, ჩავარდნენ!

მე მითქვამს და, ჰე, ქარავანი მაინც გაუყვება გზას...

ზურა ოშხერელი

სალომე მიშას არ შეიწყალებს, რადგან პრემიერობა თავად სურს

გვესაუბრება მწერალი მერაბ შათირიშვილი:

— ბატონო მერაბ, იოანე ზოსიმეს ხელნაწერი უკვე საქართველოშია.

— იოანე ზოსიმეს ხელნაწერის მუზეუმში განთავსებით, პირველ რიგში, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა გამდიდრდა, რაც უდიდესი წარმატებაა. ამ ძეგლმა ქვეყანას დიდი განძი შესძინა. თითოეული ქართველი უნდა ამაყობდეს, რომ იოანე ზოსიმეს წარმომავლობისა ვართ. ასეთი დიდი საქმის გაკეთება ქვეყნისთვის მხოლოდ ერის კაცს თუ შეუძლია. ადამიანი, რომელიც ამ მადლის ჩამოტანაში გასაკრიტიკებელს

დაინახავს რამეს, მე ქართველად არ მიმაჩნია.

— წინასაარჩევნო კამპანია აქტიურ ფაზაში შევიდა. „ქართული ოცნება“ მოსახლეობას ხვდება, კოლექტიური ნაცები კი — ერთმანეთს და პრეზიდენტს...

— აშკარაა, რომ არჩევნების გზით ოპოზიცია ვერ გაიმარჯვებს. ამიტომ ხელისუფლლებაში მოსვლას არეულობის მოწყობის გზით ეცდებიან. ქართველი ხალხის უმრავლესობა მათ უკან დაბრუნებას არ დაუშვებს. აქ მაიდანის მსგავსი პროცესების გამეორება გამორიცხულია. ის, რაც უკრაინამ გამოიარა, ჩვენ ბევრად ადრე, 90-იან წლებში სამოქალაქო დაპირისპირების სახით ვიწვნიეთ. დამნაშავეები დღემდე არ დასჯილან. მაშინდელი სახელმწიფო გადატრიალება ჩვენთვის გაკვეთილი იყო, რის შემდეგ წელში ჯერაც ვერ გავიმართეთ. ამ საშინელებას ქართველი ხალხი მეორედ აღარ გაიმეორებს. ოპოზიციას ვურჩევ, რევოლუციური სცენარების შემუშავებისგან თავი შეიკავოს. ღმერთმა ნუ ქნას, მსგავსი რამ გაბედონ და ხელისუფლებამაც სისუსტე გამოიჩინოს, რადგან ასეთ შემთხვევაში ქართველი ხალხის დიდი ნაწილის რისხვას ვერ ასცდებიან. ღმერთმა გვაშორის სამოქალაქო და ყოველგვარ დაპირისპირებას. მწამს, რომ ხელისუფლება შესაძლო დესტაბილიზაციის აღკვეთას შეძლებს. რაც მთავარია, მთავრობას ქართველი ხალხი გვერდით უდგას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მმართველი ძალა ეროვნულ რელსებზე დგას და ღიად აცხადებს, რომ მშვიდობისა და ქართველი ერის ღირსების შენარჩუნებისთვის ყველაფერს გააკეთებს.

— ივანიშვილმა ბათუმში გამართულ შეკრებაზე აღნიშნა, ომის დანაშაულის გამო ყველა მოღალატეს უმკაცრეს პასუხს ვაგებინებთო...

— ღმერთმა ქნას, ასე მოხდეს. 2012 წელს ვიმედოვნებდი, რომ 2008 წლის ომის ავტორები აუცილებლად გასამართლდებოდნენ. ეს სახელმწიფო დანაშაული გახლავთ. გერმანიამ წააგო, მაგრამ ფაშიზმი მაინც გასამართლდა, მათ შორის, გენერლები. ჰიტლერმა კი თავი მოიკლა, რადგან იცოდა, რაც ელოდა. დანაშაული დანაშაულია. კი ბატონო, რუსეთი აგრესორია, მაგრამ ქართულმა მხარემ სამხედრო მიმართულებით რაც დააშავა, იმისთვის პასუხი უნდა აგოს. გავიხსენოთ, როგორ ერეოდნენ არასამხედრო პირები სამხედრო ოპერაციების განხორციელებაში. ცხადია, ეს სამართლებრივად უნდა შეფასდეს.

ხაზგასმით ვამბობ, დიდი სურვილი მაქვს, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში კონსტიტუციური უმრავლესობით მოვიდეს, თუმცა ეს ადვილი არ იქნება. პარლამენტში კონსერვატიული ძალებიც თუ შევლენ, მაშინ კონსტიტუციური უმრავლესობის შექმნას წინ არაფერი დაუდგება და დანაპირებიც შესრულდება. ამ მიმართულებით გამოძიების დაწყების საფუძველი არსებობს, მთავარია პოლიტიკური ნება. ხომ ვიცით, როგორ ერეოდა ქალაქის მერი გიგი უგულავა ომის პროცესებში. ამ ომში ახალგაზრდები დაიღუპნენ, მაგრამ პასუხი არავის უგია. ეს უსამართლობაა. **თუ დამნაშავე ხელისუფლებას ერისა და კანონის წინაშე პასუხს არ ვაგებინებთ, სახელმწიფოდ ვერასდროს შევდგებით.** მაშინ რა გამოვა? — ნებისმიერ ხელისუფლებას უნდა ეპატიოს ტერიტორიების დაკარგვა, მსხვერპლი, მილიარდების მომპარავს კი მხოლოდ ექვსი წელი მიესაჯოს და ციხის ნაცვლად „ვივამედის“ კომფორტულ ლუქსში ინებივროს?! ეს სახელმწიფოებრივი მიდგომა არ იქნება. თუ სახელმწიფო დამნაშავის ციხეში გადაყვანა ევროკავშირის საყვედურების გამო გვეშინია, მაშინ იქ ღირსებით როგორღა შევალთ? თუ გვეშინია, გამოდის, ღირსება არ გვაქვს. ამიტომ იმედია, 2024 წლის არჩევნებში „ქართული ოცნება“ ხალხისგან სათანადო ნდობას მიიღებს, ამას გაუფრთხილდება და დამნაშავეების მიმართ უმკაცრეს საკანონმდებლო ნორმებს გაატარებს.

ევროპარლამენტმა და ბუნდესტაგმა რეზოლუციები გამოსცეს, რითაც სააკაშვილის გათავისუფლებას ითხოვენ. ეს მარაზმია — ევროკავშირში იმისთვის კი არ გვეპატიჟებიან, რომ მასთან თანასწორი ვიყოთ, ან ეკონომიკის აღორძინებაში დაგვეხმარონ, არამედ გვიკარნახონ, როგორ მოვიქცეთ. განა ევროპარლამენტში ქართველ კაცზე უკეთ იციან, რა დანაშაულები ჩაიდინა სააკაშვილის რეჟიმმა?! ჩვენ უკეთ ვიცით, თუ ევროპამ, როგორი სისხლის გუბეები დააყენა მიშამ ქუჩებში?! **ასეთი დამოკიდებულება, რაც ევროკავშირს საქართველოს მიმართ აქვს, კრემლსაც კი არ ჰქონია. ეს დიქტატურაზე მეტია.** დასავლეთს სურს, მარიონეტებივით გვმართოს. მე ასეთი ევროკავშირი არ მინდა, მაშინ უთავმოყვარეო უნდა ვიყო. ვიცი, რომ ჩემი ერი თავმოყვარეა — ისეთი ევროპა, სადაც დაამცირებენ და წნეხის ქვეშ მოაქცევენ, არასდროს ენდომება. ან ისეთი ევროპა რად გვინდა, რომელიც კრიმინალზე გვეუბნება, გაათავისუფლეთო! იმის ნაცვლად, რომ დაინტერესდნენ, რატომ არის სააკაშვილი საავადმყოფოში და არა ციხეში, მასზე გვეუბნებიან, უკანონო პატიმარიაო! მაშინ სხვა პატიმრები რატომ არ არიან საავადმყოფოში? ათასობით პატიმარია ავად. რად გვინდა ციხეები, განვათავსოთ ეს პატიმრები სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში და იქ მოიხადონ სასჯელი. რას ნიშნავს, სააკაშვილი გავათავისუფლოთ, ან რა მექანიზმებით? გარეთ გამოვუშვათ და ამით ვაღიაროთ, რომ სახელმწიფო არ გვაქვს?! ევროკავშირი კი რას გვეუბნება: მოგიწყობთ რევოლუციას, აგრევთ-დაგრევთ და გაგანადგურებთო. აი, რა არის ევროკავშირის მიზანი. თუმცა, მიხარია, რომ ევროპარლამენტშიც გამოჩნდნენ

მოაზროვნე დეპუტატები, რომელთაც საქართველოს მხარდაჭერა გამოუცხადეს.

დააკვირდით, რა დღეში არიან „მამალი ტელევიზიები“, რომლებიც დილა-საღამოს ხელისუფლების წინააღმდეგ ღვარძლს ანთხევენ და ოპოზიციასთან ერთად ქვეყნის ჩამოქცევისთვის იბრძვიან. იციან, ვერ გაიმარჯვებენ და უცხოელების დახმარებით ქვეყ-

ნის არევას ცდილობენ. ვინ უნდა აირჩიოს ესენი — დასავლეთმა თუ ქართველმა ხალხმა? იმის მერე, როგორც იქცევიან, ვინ მისცემს მათ ხმას?

— გვარამიამ განაცხადა, ცესკო რა შედეგებს დადებს, ვის აინტერესებსო...

— ეს თავხედური განცხადებაა. ასეთ ბაქიბუქს თუ განაგრძობენ, ქართველი ხალხის უმრავლესობა ქუჩაში გამოვა და ამ მოღალატეებს საკადრის პასუხს გასცემს. აი, მაშინ კი გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მოუწევთ რევოლუციის მზადების ნაცვლად, ქვეყნიდან გასაქცევად ემზადონ.

— ასეა თუ ისე, მაკკეინის ინსტიტუტის ანგარიშში არეულობის მოწყობის გეგმა უკვე გაწერილია. წინასწარ გვეუბნებიან, „ოცნებამ“არ უნდა გაიმარჯვოსო.

— მაკკეინის ინსტიტუტი იქნება, თუ რიგი ქვეყნების ყოფილი და ახლანდელი ელჩები, საქართველოს საქმეებში ძალიან უხეშად ერევიან. ამერიკის საელჩო თავის მოქალაქეებს ღიად მოუწოდებს, 2024 წლის არჩევნების დღეს და შემდგომ, ფრთხილად იყვნენ და ქუჩაში გამოსვლას მოერიდონ. ამ განცხადებიდანაც ნათელია, რომ, თუ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, ამას არ აღიარებენ და ქვეყანაში დესტაბილიზაციას ხელს შეუწყობენ. კარგად დავფიქრდეთ, გვინდა ქართველებს ასეთი ევროატლანტიური გზა, ნატო, ევროკავშირი?!

— დასავლეთი ცდილობს, ქართველი ხალხი დაარწმუნოს, თუ „ქართულ ოცნებას“ აირჩევენ, ევროპის კარი მათთვის სამუდამოდ დაიხურება...

— ნებისმიერ რეაქციას უკურეაქცია მოჰყვება. თუ ვიზალიბერალიზაციას შეგვიჩერებენ, მოუწევთ, თავიანთ მოხუცებს თავადვე მოუარონ. ამას უტრირებულად ვამბობ. რეალურად, მათაც აქვთ ჩვენგან ხეირი. კი ბატონო, **უვიზო მიმოსვლის შეჩერებით იქ მცხოვრები ჩვენი მოსახლეობა დაზარალდება, მაგრამ ეს შეიძლება უკეთესიც იყოს – ვიზალიბერალიზაციის შეჩერება ქართველებს სამშობლოში დაბრუნებს.** შედეგად, ისინი საკუთარ სამშობლოს მოემსახურებიან და არა უცხო ქვეყანას. ოღონდ, ხელისუფლებამ ამ ადამიანებს ხელი უნდა შეუწყოს, რათა აქ საკუთარი თავის რეალიზება მოახდინონ. დიახ, ქართველებმა ჩვენს სამშობლოში უნდა ვიცხოვროთ და დოვლათიც აქ შევქმნათ. ასე რომ, უვიზო მიმოსვლის გაუქმებაში ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ. ქართველ ხალხს თუ გადარჩენა უწერია, უფლის ძალით გადარჩება.

— ორი დღის წინ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ტექნიკური მთავრობის წევრების სია უკვე შეადგინა...

— ზურაბიშვილი იმდენად ღვარძლიანი დედაკაცია, უნდა, რომ პოლიტიკაში სააკაშვილის ადგილი დაიკავოს. მიშას შეწყალებაზეც სწორედ ამიტომ არ აწერს ხელს. მას სააკაშვილის გარეთ ყოფნა არ აწყობს, რადგან ის მაშინვე არარაობად გამოჩნდება. დიახ, მას პრემიერობა უნდა, ამიტომ სააკაშვილს ცოცხალი თავით არ შეიწყალებს. ერთი რამ კი მაშინებს: თუ ზურაბიშვილი დარწმუნდა, რომ პრემიერი ვერ გახდება, შესაძლოა, ვადის ამოწურვამდე მიშას შეწყალება მოასწროს. ზურაბიშვილი პრეზიდენტობას ბიძინა ივანიშვილს უნდა უმადლოდეს და მას ყოველ დილით სანთელს უნთებდეს, თორემ ვინ იყო მისთვის ხმის მიმცემი?! თავიდანვე ვამბობდი, რომ იგი თავისი პერსონით, ყოველგვარი თანამდებობისთვის, თავად ქართველი ერისთვის ყოვლად შეუფერებელი იყო.

თამარ შველიძე



გვესაუბრება მწერალი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე

„ქართული ოცნების“ დამარცხება საქართველოს მიწასთან გასწორებას ნიშნავს

სოროსში შესოროსებულნი

ასაკოვანი კაცი ვარ, 87 წელს გადავაბიჯე, მაგრამ ასეთი იერიში, რაც დღეს დასავლეთის მხრიდან საქართველოზე ხორციელდება, არ მახსოვს. არც ამერიკას და არც მის ხელდასხმულ ევროპას, ქართველი ხალხი და მისი მდგომარეობა სრულებით არ აინტერესებთ, მათთვის მნიშვნელოვანი მხოლოდ ტერიტორიის თვალსაზრისით ვართ. ხელისუფლებას უტევენ, რადგან მან ეროვნული საკითხების დაცვა წინა პლანზე წამოსწია. მმართველი ძალა ილიას ტრიადით — მამული, ენა, სარწმუნოება — ხელმძღვანელობს. იმედი ჩამესახა, რომ საქართველო გადარჩება. დასავლეთს ქართველი ერის მოსპობა სურს. ის ჩვენ ყოველთვის მონებად გვთვლიდა და მიიჩნევდა — რასაც გვიკარნახებდა, უსიტყვოდ უნდა შეგვესრულებინა. სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილმა ნაცები პოლიტიკიდან რომ განდევნა, ეს სოროსის წარმომადგენლები სოროში იყვნენ შესოროსებულნი და ცხვირს გარეთ ვეღარ ყოფდნენ. სამწუხაროდ, დასავლეთიდან ბრძანება მოვიდა: ნაცები უნდა გააცოცხლოთო და ხელისუფლებაც იძულებული გახდა, ასე მოქცეულიყო.

ცხვრის ტყავში გახვეული ამერიკა

ჯერ კიდევ როდის ვამბობდი, რომ ამერიკა ცხვრის ქურქში გახვეული მგელია, რომელსაც ქართველი ერის გადაგვარება, მოსპობა უნდა-მეთქი. ერთ დიდ მეცნიერს, ფიზიკოსს იმხანად ჩანაწერები ჰქონდა, თუ როგორ დაგვცინოდნენ ამერიკელები, ფრანგები — რად გინდათ უმაღლესი განათლება, თქვენ ხომ განვითარებადი ერი ხართო. ეს სტატუსი შევარდნაძის დამსახურებით მოგვენიჭა. კიდეც დაგვიყვანეს აფრიკის დონემდე. მახსოვს კადრი: სააკაშვილსა და ჟვანიას შორის შუაში ჩამჯდარი სოროსი, რომელიც ამბობდა: ამათ ორივეს ყურებს ავუწევ, თუ იმ გზას ასცდებიან, რომელსაც ჩვენ მივუთითებთო. მაშინაც გვეუბნებოდნენ, დემოკრატია უნდა გასწავლოთო. და მალევე კიდეც „ასწავლეს“ და დაარქვეს სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურა“. „დემოკრატიის“ პირობებში სააკაშვილის რეჟიმმა 200-მდე ახალგაზრდა განუკითხავად ქუჩაში მოკლა, მამაკაცებს 67 ლარად კოჭლ კაცს აუპატიურებინებდა, ხალხს უამრავი ქონება ჩამოერთვა. ჩემს მეგობარს ელექტროსადგური ჩამოართვეს და მერე ვითომ ჩეხებზე გაყიდეს. ამ მოპარული ფულებით კი ისევ მერაბიშვილები, ადეიშვილები და სხვები გამდიდრდნენ. ამერიკელებს დემოკრატია, იცით, რა ჰგონიათ? — ფლოიდი ოქროს კუბოში რომ ჩაასვენეს და თეთრკანიანები ზანგებს ფეხებზე კოცნიდნენ!

თავის დროზე პარლამენტმა საქართველოში ადამიანების წამების ფაქტებზე იმსჯელა, რაც სასამართლოს გადაეცა და მანაც ამ ფაქტების უტყუარობა დაამტკიცა. შედეგად, დაიდო დასკვნა: ვინც ადამიანის წამებაში, მკვლელობაში ეჭვმიტანილი იყო, საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობა აკრძალვოდა. თუმცა, დასავლეთმა ისევ შეგვაჩერა. წიგნი დავწერე „ვაჰ მე, ჩემო მამულო!“, სადაც აღვწერე, რა ჯოჯოხეთი ტრიალებს ამერიკაში, რისი გადმოტანაც საქართველოში სურთ. ეს ადრე შეფარვით კეთდებოდა, ახლა კი ღიად გვიტევენ და ამის გადმოტანა უნდათ საქართველოში. რამ გაამწარა დასავლეთი? — იმან, რომ ამ პატარა ერმა ღირსების, ტრადიციების, ფასეულობების დათმობაზე უარი განაცხადა. ანალოგიური და უფრო მკაცრი გამჭვირვალობის კანონი თავად ამერიკასაც აქვს და ევროპის ქვეყნებსაც, მაგრამ ჩვენ არ უნდა გვქონდეს, რადგან თურმე, ქართველმა ხალხმა საკუთარი ქვეყნის ბედი თვითონ ვერ უნდა გადაწყვიტოს!



გადაგვარებული ევროპა

ხაზგასმით მინდა ვთქვა: დღეს არჩევნებში „ქართული ოცნების“ დამარცხება საქართველოს მიწასთან გასწორებას ნიშნავს. ეს არ უნდა დავუშვათ, თორემ ერთ თვეში ქვეყანა აღარ იარსებებს. სააკაშვილიც ხომ ამიტომ შემოაპარეს — საქართველო პირისაგან მიწისა უნდა აღეგავა, მაგრამ გეგმა ჩაუვარდათ. დააკვირდით, რა ხდება უკრაინაში — მრავალრიცხოვანი ერი განახევრებულია, ქვეყანა ნანგრევებად იქცა. ჩვენთვის ორი რაკეტა იქნება საკმარისი, რომ რუკიდან გაგვაქრონ. მიხარია, რომ დღევანდელი ხელისუფლება მყარად დგას და ამბობს, ევროპაში ჩვენი ტრადიციებით უნდა შევიდეთო.

ძველად ევროპა ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთი ცენტრი იყო. ნურც ის დაგვავიწყდება, ჩვენ რომ ტაძრებს ვაგებდით, ევროპელები ტყიდან მაშინ გამორბოდნენ. კი ბატონო, შუა საუკუნეების ევროპის კულტურა სამაგალითოა. მაგრამ დღეს რა ხდება ევროპაში? — ტრანსგენდერიზაცია, ანუ ადამიანის გადაგვარება. ადამიანს შეუძლია ანგელოზზე მაღლაც დადგეს და ცხოველზე დაბლაც დაეშვას. მთელი უბედურება ის არის, რომ ტრანსგენდერიზაცია ერის გაცხოველებას კი არა, კიდევ უარესს — გადაგვარებას ნიშნავს. გაიძახიან: სულ 56 სქესი არსებობსოს. სქესი ვიცი მე ორი — მამრობითი და მდედრობითი, რისი შეცვლაც ამათ უნდათ. საზღვარგარეთ ტრანსგენდერები მშობლებს ბავშვებს ართმევენ და ოპერაციებს უკეთებენ — გოგოს ბიჭად და ბიჭს — გოგოდ გარდაქმნიან. მამათმავლობა ოდითგანვე არსებობდა, ეს ავადმყოფობად მიიჩნეოდა. მაგრამ მერე რა მოხდა? — პირველ საფეხურზე ლგბტ წარმომადგენლები ამბობდნენ: ჩვენც ადამიანები ვართ და ნება მოგვეცით, თქვენთან ერთად ვიცხოვროთო. ეს რომ დავთმეთ, მეორე საფეხურზე გვითხრეს: კულტურა წინ ჩვენ წამოვწიეთ და თქვენი თანასწორები ვართო. აქაც რომ დავეთანხმეთ, მესამე საფეხურზე უკვე იცით, რა გვითხრეს? — თქვენ არავინ ხართ, მსოფლიო ჩვენ უნდა ვმართოთო.

ლგბტ თემს განსაკუთრებით ამერიკაში აქვს ფესვები გადგმული. იქ ახალგაზრდობის უმეტესობა ტრანსგენდერია, რომელთაც ვერ გაურჩევიათ, კაცები არიან, თუ ქალები. ამერიკის ადმინისტრაციიდან ხომ ღიად ისმის მოწოდებები: „ქალი“, „კაცი“, „დედა“, „მამა“ — ეს სიტყვები არ ახსენოთო. არც „ბატონებად“ და „ქალბატონებად“ მოიხსენიოთ ადამიანები, არც დედას დაუძახოთ „დედა“ და მამას — „მამაო“. ამერიკას კაცობრიობა გადაგვარებისკენ მიჰყავს. დღეს ქრისტიანულ მორალსაც ბრძოლა დაუწყეს. ჰოდა, ხომ ხედავთ ქარიშხალი „მილტონი“ მოევლინათ და ლამის დაანგრია მთელი ფლორიდა, იმიტომ, რომ ადამიანის ბუნებაში ზედმეტად ერევიან.

გაუტეხელი ერი

მინდა ყველამ — შინაურმა თუ გარეულმა მტერმა იცოდეს: ქართველი ერი არ გატყდება! ფერადი რევოლუციების დრო დამთავრდა და ისინი მარცხისთვის არის განწირული. რა ამოძრავებთ ნაცებს, რატომ ერთვებიან ქვეყნის დანგრევაში? ეს უსამშობლო ხალხია, რომელიც ფულის გამო დედ-მამასაც გაყიდის. მინდა მათ ვუთხრა, რომ ხელისუფლებაში ვეღარასდროს დაბრუნდებიან. ხელისუფლებას რომც დაათმობინონ, ქართველი ხალხი უკან არ დაიხევს. დიახ, ქართველი ხალხი ტრადიციებს, რწმენას არ დათმობს. ამის ნიშანი იყო ოჯახის სიწმინდის დღეს გამოსული მილიონზე მეტი ადამიანი.

ევროპა როდიდან გახდა ჩვენი ჭკუის დამრიგებელი, როცა თავად კორუფციაში იხრჩობა. ამ დროს ჩვენ გვეუბნებიან: დემოკრატიის უკუსვლა გაქვთო. თურმე მიშას დროს ჰყვაოდა დემოკრატია და ახლა უკან დაუხევია. მადლობა უფალს, რომ ივანიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ამ ხალხის განდევნაში. მან საკუთარი ჯიბიდან სამი მილიარდი ამოიღო და საქართველოს შესწირა. ზოგი ამბობს: მერე, ამით მე რაო?! რა და ის, რომ ეს კაცი საქართველოს გადარჩენას ლამობს.

არამკითხე მოამბენი

ეს მნიშვნელოვანი საკითხია და მჯერა, ამ დაპირებას ივანიშვილი აუცილებლად შეასრულებს. დღეს ოპოზიცია არ არსებობს. ნამდვილმა ოპოზიციამ ხელისუფლებას შეცდომების აღმოფხვრისკენ უნდა მოუწოდოს. ამის ნაცვლად, ისინი ქვეყნის დამხობას ლამობენ. მიკვირს იმ ადამიანებისა, რომლებიც დღესაც სააკაშვილს ეთაყვანებიან. ეს ხალხი ფსიქიკურად ჯანმრთელი არ უნდა იყოს, მათ მკურნალობა სჭირდებათ. სააკაშვილი ჩემს თვალწინ იზრდებოდა და არც ის იყო თავიდანვე ფსიქიკურად გაწონასწორებული. როცა პრეზიდენტად აირჩიეს, პირველმა მე ვთქვი, ახლა კი დაიღუპა საქართველო-მეთქი.

რა უფლება აქვთ ამერიკის თუ სხვა ქვეყნის ელჩებს, მიგვითითონ, რა კანონები მივიღოთ და, საერთოდ, როგორ ვიმოქმედოთ. პუტინს რომ აგინებენ, რა გააკეთა ასეთი? — ნჯო-ებს უცხო ქვეყნებიდან დაფინანსება და პოლიტიკაში ჩართვა აუკრძალა. ჩვენი ნჯო-ები არათუ პოლიტიკაში ერთვებიან, არამედ პირდაპირ მიტინგებზე გამოდიან და ხალხს ხელისუფლების დამხობისკენ მოუწოდებენ. მათ ზურაბიშვილიც აჰყვა, ეს უჭკუო, ამორალური, უზნეო დედაკაცი. მისი ქმედებები თავისმომჭრელია. ახლა მისი წინამორბედი პრეზიდენტი მარგველაშვილი, რომელიც ამჯერად ხაზარაძეს უმაგრებს ზურგს, გავიხსენოთ, რითი ამაყობდა: სექსუალურად მდიდარი ბიოგრაფია მაქვსო. ვაი, მაგის პატრონს, გრამი ჭკუა არ აქვს თავში. ივანიშვილს მოლოდინები ბევრმა გაუცრუა. „რესპუბლიკელებთან“ რომ შეიქმნა კოალიცია, მაშინ ვამბობდი: ესენი საქართველოს მტრები არიან-მეთქი. ძველი თქმულებაა: გაყინულ გველს რომ იპოვი, ხელში ნუ აიყვან, გულში ნუ ჩაისვამ, თორემ რომ გათბება, გიკბენს. არ კბენენ ახლა ივანიშვილს ეს ნაძირლები?! ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ და „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობით გავამარჯვებინოთ. ბიძინა ივანიშვილი კიდევ იმიტომ მომწონს, რომ ადამიანური ენით უხსნის ხალხს, რა და რატომ არის საჭირო. ქართველებმა ჩვენი ოჯახის სიწმინდე დავიცვათ და ვერავინ მოგვერევა.

რა საერთო გვაქვს დღევანდელ ევროპასთან

თავს რომ ვიკლავთ, არიქა, ევროპაში მივდივართო. რა საერთო გვაქვს დღევანდელ ევროპასთან?! ზოგიერთ ტვინდაბნელებულს ჰგონია, რომ ევროპა გვარჩენს. ვაშაძე გვიმტკიცებს, ამირჩიეთ და ევროპა 14 მილიარდს მოგვცემსო. რას როშავს, თვითონაც არ იცის. დღეს ევროპა კრიზისშია. გერმანიაში მრეწველობა უმაღლეს დონეზე იყო, ახლა კი იქ მუშა სამუშაოს ვერ პოულობს. საფრანგეთში რა ხდება, ოლიმპიადა რას დაამსგავსეს?! — ყველაფერი, რაც ქრისტიანული იყო, მასხრად აიგდეს. ამ დროს ეს გათხოვილი კაცი — როთი აქ დადის და საპატრიარქოს აგინებს! ხელისუფლება ფრთხილობს. გამორიცხული არ არის, ამ ნაძირლებმა ვიღაც მოკლან და მერე ხელისუფლებას დააბრალონ. ახალგაზრდობას შეხედეთ, რას დაამსგავსეს. ლომაიას რეფორმებმა განათლება მოსპო. ამიტომ, თუკი ადრე ბავშვი სწავლობდა: არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედაო, ახლა ამბობს: ჩემი სამშობლო იქ არის, სადაც კარგად ვცხოვრობო!!! აიჭრა ქვეყანა. ღირსება, ადამიანობა დაიკარგა.

გვემუქრებიან: არჩევნებს არალეგიტიმურად გამოვაცხადებთო. რას გვაშინებენ, გამოაცხადონ. ბელარუსშიც ასე მოიქცნენ, მერე რა, რა დააკლეს? მსოფლიოში დაძაბული მდგომარეობაა. მესამე მსოფლიო ომს ერთი ნაბიჯი გვაშორებს, რამაც შეიძლება მთელი კაცობრიობა მიწასთან გაასწოროს. ასე რომ, ჭკუას მოვუხმოთ და ჩვენი ინტერესებით ვიმოქმედოთ.

თამარ შველიძე

ხმა მივცეთ ქვეყნის მშვიდობიან მომავალს და მის სტაბილურ განვითარებას

გვესაუბრება „საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თამჯდომარე“, პოლიტოლოგი ალი ბაბაევი

- დღეს მსოფლიოში დაძაბულობაა. თუ გავითვალისწინებთ, რაც ხდება ღაზას სექტორში, ლიბანში, უკრაინაში და როგორც ცდილობენ ომში ირანის ჩართვას - თითქმის მესამე მსოფლიო ომის წინაშე ვდგავართ. თუ მსოფლიოს საზოგადოება ფეხზე არ დადგება და ამ დაძაბულობას არ განმუხტავს, სავალალო შედეგს მივიღებთ. საქართველომ კი, როგორც პატარა ქვეყანამ, ეს ყველაფრი უნდა გავაანალიზოთ და შესაფერისი ზომები მივიღოთ, რადგან ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელმაც ომის საშინელება საკუთარ თავზე უკვე არაერთხელ გამოსცადა. ჩვენმა პარტნიორმა ქვეყნებმაც უნდა გაითვალისწინონ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა და შორიდან გაკრიტიკებას, უჯობთ, ჩამოვიდნენ საქართველოში, ნახონ, შეისწავლონ ქართველი ხალხის უმრავლესობის აზრი, გააანალიზონ და დასკვნები ისე გამოიტანონ. ნუ ენდობიან ჩვენი ქვეყნის „შადიმანებს“, რომლებიც მათ დეზინფორმაციას აწვდიან. კარგი იქნება, თუ მსოფლიო თანამეგობრობა ამ პატარა ქვეყნის დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს სათანადოდ დააფასებს.

- ბატონო ალი, თქვენ დადიხართ ხალხში, მართავთ საარჩევნო კამპანიას რეგიონებში. რას იტყვით, რა განწყობაა წინასაარჩევნოდ საზოგადოებაში?

- „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანია რეგიონებში ჯერ კიდევ მიმდინარეობს. დეპუტატები ადგილზე ხვდებიან მოსახლეობას... მაგალითად, ბათუმს არ ახსოვს ხელისუფლების ამდენი მომხრე, რაც ჩვენ ბატონ ბიძინა ივანიშვილთან და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ვიხილეთ. ასეთივე ხალხმრავლობა იყო მცხეთაში, რუსთავში და სხვა რეგიონებში, სადაც მე ვესწრებოდი.

დღევანდელი ხელისუფლების მთავარი ლოზუნგი - მშვიდობა, არის ნამდილად უმნიშვნელოვანესი პირობა ქვეყნის სტაბილურად განვითარებისთვის. გადავხედოთ მმართველი გუნდის მიერ წარმოდგენილ ქვეყნის განვითარების 4-წლიან პროგრამას და შევადაროთ შემდეგ ის ჩვენი რადიკალების მიერ დადგმულ ფარსს, რომლებსაც არანაირი რეალური შეთავაზება არ გააჩნიათ თავიანთი ამომრჩეველისთვის - არანაირი საარჩევნო პროგრამა, გარდა იმისა, რომ თითქოს, თუ ისინი მოვლენ ხელისუფლებაში, პენსიებს 1000 ლარამდე გაზრდიან და თან მაშინვე ევროკავშირში მიიღებენ საქართველოს. მათი გასაკეთებელი ქვეყანაში დღეს არაფერია. მაშინ გაეკეთებინათ, როცა ციხეებში ხალხი ტუბერკულოზით იხოცებოდა, როცა აწამებდნენ ადამიანებს, ხოცავდნენ და ბიზნესს ართმევდნენ. დღეს საქართველოში ბიზნესიც თავისუფალია და მრეწველობასა თუ სოფლის მეურნეობაში, სპორტისა თუ კულტურის სფეროში, ჯანდაცვაში... დღითიდღე მეტი და მეტი წარმატება გვაქვს! თვითონ ამბობდნენ, სიმსივნის მკურნალობაში ამდენი ფული რატომ უნდა გადაყარო, ადამიანი ხომ ისედაც მოკვდებაო - დაავიწყდათ?! ზუსტად „ვაშაძეების“ და მისნაირების სიტყვები არ იყო ეს? „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში კი რამდენი ადამიანი გადარჩა ჯანდაცვის პროგრამით, რამდენმა ოჯახმა გაიხარა! დღეს სოციალურად დაუცველებისთვის, პენსიონერებისთვის ყველანაირი პირობაა შექმნილი, მოქმედებს სოციალური დაზღვევები, ადგილობრივი გამგეობების თუ მერიების მხრიდან ერთჯერადი დახმარებები.... ეს ძალიან დიდი სიაა. სოფლებს ბუნებრივი აირი არ ჰქონდა, ელექტროენერგია არ ჰქონდა, ბევრგან საბავშვო ბაღზე ოცნებაც არ შეეძლოთ ნაციონალური რეჟიმის პირობებში, დღეს კი დადიხარ სოფლებში და გიხარია! რამდენი რამ გაკეთდა სპორტისა და კულტურის განვითარებისთვის! დაასახელონ ერთი, რამდენი ჩემპიონი გვყავდა 9 წლის განმავლობაში და რამდენი გვყავს დღეს! რა მიღწევები გქონდა კულტურის სფეროში და რა გვაქვს დღეს! ამ ყველაფერს ხომ ხედავს ხალხი!

- თქვენი შეფასებით, როგორ ემზადება მმართველი გუნდი არჩევნებისთვის?

- ევროპის ბევრ ქვეყანაზე წინ ვართ ყველანაირი ბერკეტით და დღეს ქვეყანა არჩევნებისთვის ძალიან ორგანიზებულად ემზადება. ვაი ოპოზიცია კი ახლა გამოჩნდა რეგიონებში და თავიანთი პროვოკაციული განცხადებებითა თუ ლოზუნგებით ცდილობს მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას. ავრცელებენ ლოზუნგებს - „საქართველო ბიძინა ივანიშვილის გარეშე!“, რადგან ეს ადამიანი მათ მხოლოდ იმის გამო აღიზიანებთ, რომ კარგად იციან ბიძინა ივანიშვილის წვლილი ქვეყნის განვითარებაში. სწორედ ამ ადამიანმა დაუბრუნა ისეთი შედევრები ქვეყნის მუზეუმებს, რომლებიც სააკაშვილის დროს სხვადასხვა ქვეყანაში იყიდებოდა. ბატონი ბიძინას დამსახურებით მსოფლიომ გაიგო, რომ საქართველო არის 3500 წლის უძველესი ქვეყანა თავისი დამწერლობით, თავისი კულტურით, თავისი ტრადიციებით... და ამ ყველაფერს ქართველი ხალხი კიდევ მრავალი ათასწლეულის განმავლობაში ღირსეულად ატარებს!

- სალომე ზურაბიშვილმა ე. წ. ტექნიკური მთავრობის შექმნა დააანონსა. თვითონ ხომ არ ოცნებობს ეს ქალი პრემიერ-მინისტრობაზე?

- როგორც „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და პოლიტსაბჭოს ყოფილი წევრი, ძალიან ვნანობ, რომ ერთ დროს ამ ქალბატონის გვერდით ვიდექი და წვლილი მიმიძღვის იმაში, რომ ეს ქალი პრეზიდენტია. ის უკვე გამოაშკარავდა თავისი ქცევით, თავისი უცოდინარობით. მან არ იცის ქართველი ხალხის მენტალიტეტი, ქართველი ხალხის ფსიქოლოგია არ იცის და გამჭვირვალობის კანონსაც იმიტომ ეწინააღმდეგება ასე გაშმაგებით, რომ სწორედ მის წინააღმდეგ არის მიმართული ეს კანონი. გიჟი თავისუფალიაო, ხომ ამბობენ და იოცნებებს, რატომაც არა! ის მიშას დროსაც, ალბათ, მის სავარძელზე ოცნებობდა, იქნებ, ამიტომაც მოიშორა სააკაშვილმა და „გადმოგვაბარა“, ჩვენდა ჭირად!

სწორედ ასეთი „შიკრიკი“ უნდა „ნაცმოძრაობას“, რომელსაც თავის ჭკუაზე აპამპულავებს. ჯერ თავიდან ხომ აპამპულავეს და უშვერი სიტყვებით ლანძღეს, გაათახსირეს, მაგრამ დღეს ეს ქალი ზის მათ გვერდით, სიცილ-კისკისით აგროვებს ხელმოწერებს, ვიღაცას თანამდებობას სთავაზობს და ვიღაცას რაღაცას ჰპირდება, კონსტიტუციის დამრღვევი პრეზიდენტი, რომელიც თავად სულ მალე თანამდებობისა და ყოველგვარი სტატუსის გარეშე დარჩება. ეს ქალბატონი არის დეფაქტო პრეზიდენტი, რომელიც არანაირად არ შეეფერება ქართველ ხალხს. ჩაატარეთ ქუჩაში გამოკითხვები და ნახავთ, რამდენი ადამიანი მიიჩნევს ამ ქალს პრეზიდენტად!

- გაირკვა, რომ ტერორისტი, რომელიც 2016 წელს გივი თარგამაძის ლიკვიდაციას ცდილობდა, თურმე, სააკაშვილის დავალებით მოქმედებდა...

- სააკაშვილი არის ადამიანი, რომელიც თვითონ არის ტერორიზმის მოთავე, ადამიანი, რომელიც ხელმძღვანელობითაც წლების განმავლობაში ხდებოდა ყველანაირი უბედურება. როცა მან ვინმე ხეჩუაშვილს გივი თარგამაძის აფეთქება დაავალა, ესეც სწორედ არჩევნების წინა პერიოდი იყო. რომელიმე ოპოზიციონერი უნდა მოეკლათ, რომ ქვეყანაში არეულობა მოეწყოთ. ჩვენ დღეს ვდგავართ არჩევანის წინაშე ომსა და მშვიდობას შორის. საკუთარი თვალით ვხედავთ, რომ ოპოზიციის გაუბედურებული პიარკამპანიის უკან, მათი უფრო „გრანდიოზული“ გეგმები დგას და ჩვენ ამის განხორციელებაში ხელი უნდა შევუშალოთ.

ამის გარდა, მათ მიერ ჩადენილი კიდევ ბევრი საქმე ამოტივტივდება. ჯერ ერთი ილაპარაკებს, მერე მეორე, შემდეგ მესამე... მართალია, „ქართულმა ოცნებამ“ არ გამოაქვეყნა ე. წ. კასეტების საქმე, მაგრამ თვითონ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელებს აქვთ ერთმანეთზე უამრავი კომპრომატი და ამიტომაც არიან ჩუმად, ერთმანეთს არ ლანძღავენ ჯერჯერობით! ამიტომ საზოგადოებამ თვალი უნდა გაახილოს და გაიგოს, თუ ვინ იყვნენ ეს ადამიანები და ხელისუფლებაში მათი დაბრუნების შემთხვევაში, რა ელოდება ჩვენს ქვეყანას!

- ბატონო ალი, ნახავდით „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიას. გაამართლა თუ არა მან თქვენი მოლოდინი?

- პარლამენტარი უნდა იყოს გუნდის სახე და მე ვამაყობ, რომ ამ სიაში ბევრი პატრიოტი, ბევრი ერთგული ადამიანია, თუმცა, არ დაგიმალავთ, უფრო დახვეწილ სიას ველოდებოდი. პარლამენტში უნდა იყოს სუფთა წარსულის მქონე, პოლიტიკურად მოაზროვნე, ყველანაირად განვითარებული ადამიანი, რომელიც სანდო და მისაღები პერსონა იქნება საზოგადოებისთვის, ხალხს უნდა უხარიოდეს მისი დანახვა! ვნახეთ, წლების განმავლობაში „ქართული ოცნების“ სიიდან რამდენმა გვიღალატა და ვშიშობ, ამ სიაშიც გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც გუნდისთვის ზურგიდან დანის ჩარტყმას მოისურვებენ! კარგი იქნებოდა, სიახლეები ყოფილიყო ეროვნული უმცირესობის დეპუტატებს შორისაც. რადგან მათ შორის არიან ისეთი წარმატებული ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ, თავიანთი სიტყვა თქვან ქართულ პარლამენტში.

როგორც საქართველოს მოქალაქემ, როგორც პოლიტოლოგმა და პოლიტიკოსმა, მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით მოვუწოდო ჩემს ქართველ ხალხს და ყველა ეროვნების წარმომადგენელს საქართველოში, - გთხოვთ, კიდევ ერთხელ, სანამ საარჩევნო ყუთთან მივალთ, კარგად დავფიქრდეთ, გავიაზროთ, გავაანალიზოთ და მხოლოდ ამის შემდეგ მივცეთ ხმა, პირველ რიგში, ქვეყნის სიყვარულს, მშვიდობას, ქვეყნის განვითარებას და მის მომავალს! ვიფიქროთ ჩვენს მომავალ თაობაზე და არ გავიმეტოთ ისინი კიდევ ერთხელ, როგორც ეს 90-იან წლებში გავაკეთეთ. ჩვენმა ქვეყანამ ყველაფერი გამოიარა, სამოქალაქო დაპირისპირება, ძმათამკვლელი ომები, ტერორი თუ უკიდურესი გაჭირვება და ახლა უკვე მშვიდობის დროა! ამიტომ, წავიდეთ ყველანი არჩევნებზე და ხმა მივცეთ ქვეყნის მშვიდობიან მომავალს და სტაბილურ განვითარებას, რასაც მხოლოდ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ გვპირდება!

ნონა ქარქაშაძე

ამერიკაში არჩევნების ტოტალური გაყალბებისთვის ემზადებიან

გვესაუბრება
სოსო შატბერაშვილი

— ბატონო სოსო, არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, აშშ-ისა და ევროპის ყოფილი თუ მოქმედი ელჩები საარჩევნო კამპანიაში ღიად მონაწილეობენ.

— დასავლეთის მხრიდან არჩევნებში ასეთი თავხედური ჩარევა საქართველოს ისტორიას ჯერ არ ახსოვს. ერთადერთი, დემოკრატიული არჩევნები საბჭოთა კავშირის დროს, 1990 წელს ჩატარდა, როცა ხელისუფლებაში გამსახურდია მოვიდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დასავლეთი ჩვენი ქვეყნის საქმეებში მუდმივად ერევა, თუმცა, ასე თავხედურად, უაპელაციოდ ჯერ არ მოქცეულა. არჩევნები ჯერ არ ჩატარებულა და უკვე ღიად აცხადებენ, ყალბდებაო. ისინი აქ სახელმწიფო გადატრიალებისთვის ემზადებიან. თუმცა, რა გასაკვირია, როცა თავად აშშ-ში ბაიდენი პრეზიდენტი არჩევნების გაყალბების შედეგად გახდა. ამერიკაში ახლაც ტოტალური გაყალბებისთვის ემზადებიან, სხვა შემთხვევაში კამალა ჰარისი გამარჯვებას ვერაფრით ვერ მოიპოვებს. ფლორიდაში 450 ათასი ადამიანი მკვდარ სულად ცნეს და საარჩევნო სიებიდან ამოიღეს. ასეთი შემთხვევა არაერთია. ამ ვითარებაში მეეჭვება, ტრამპს გამარჯვების უფლება მისცენ. ალბათ, ჰარისს „აირჩევენ“, რადგან იგი ძალიან ადვილი სამართავია. როცა ჰარისი ფლორიდის შტატის საოლქო პროკურორი გახლდათ, იქ ლგბტ პრაიდები ტარდებოდა, კამალა კი მათ ესწრებოდა და მხარსაც უჭერდა. ასე რომ, ჰარისი აწყობთ და ეცდებიან, არჩევნებში გაამარჯვებინონ.

რაც შეეხება საქართველოს, ცალკე საკითხია, რამდენად შეძლებს ხელისუფლება, არჩევნების შემდგომ გამოწვევებს გაუმკლავდეს. წესით, უნდა შეძლოს. გადატრიალების ერთი მცდელობა ოთხი წლის წინ, არჩევნების მერე იყო, ხოლო მეორე — გამჭვირვალობის კანონის მიღების შემდეგ. ხელისუფლებამ ამ დარტყმას ორივეჯერ გაუძლო. აქ მნიშვნელოვანია კიდევ ერთი გარემოება: თუ ხელისუფლებას არმიაში, ძალოვან სტრუქტურებში ერთგული ადამიანები ჰყავს, ამ გამოწვევას მარტივად გაუძლებს. თუმცა საყურადღებოა, რომ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე თანამდებობა განათლების მინისტრმა დატოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებაში ბზარი გაჩნდა. მანამდე პოსტიდან გადადგა გენერალური პროკურორიც. არც ის ვიცით, ვინ დაიხევს უკან და ოპოზიციის რიგებს შეუერთდება. ზურაბიშვილი მთლიანად ნაცების მხარეს არის. მდგომარეობა რთულია.

— დასავლეთი ღიად გვეუბნება, თუ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, არჩევნების ლეგიტიმურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებაო. გეგმა წინასწარ გაწერილია, პრევენცია არსებობს?

— გეგმა გაწერილია, მაგრამ განხორციელებას შეძლებენ?! დასავლეთმა 2012 წელს ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობის“ შენარჩუნება ვერ შეძლო. ვიმეორებ, ძალოვანი სტრუქტურების ერთგულება მნიშვნელოვანი ფაქტორია. 2003 წელს ძალოვანები საკაშვილის მხარეს გადავიდნენ. ჯორბენაძეც და თბილისის მერი ვანო ზოდელავაც საკაშვილს მიეყიდნენ. შსს მინისტრი მიშას მხარეს არ გადასულა, მაგრამ გადატრიალება ვერ აღკვეთა. იმ პერიოდში უშიშროების მინისტრმა ხაბურძანიამ, ჩემი ერთ-ერთი ინტერვიუს შემდეგ მოსკოვიდან დამირეკა და მითხრა: როგორ უნდა აღმეკვეთა სახელმწიფო გადატრიალება, რომელშიც თვითონ პრეზიდენტი იყო ჩართულიო. დიახ, გადატრიალების მოწყობაში შევარდნაძეც ჩართული იყო. თავის მემუარებში ჯორჯ ბუში შევარდნაძეს მადლობას უხდის იმის გამო, რომ გადადგა და ძალაუფლება თავის აღზრდილს გადასცა. მოგვიანებით მან თვითონვე თქვა, საკაშვილს ხელისუფლება ხონჩით მივართვიო. თუ ახლაც მსგავსი რამ არ არის დაგეგმილი, მაშინ ოპოზიციას „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან გაშვება ძალიან გაუჭირდება. კი ბატონო, დასავლეთის რიგმა ქვეყნებმა არჩევნები შეიძლება არალეგიტიმურად ცნონ, მაგრამ აქ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ უნდა გავითვალისწინოთ: ამერიკაში არჩევნები 5 ნოემბერს არის და თუ ისე მოხდა, რომ ტრამპმა გაიმარჯვა, საქართველოში სულ სხვა პროცესები წარიმართება — აშშ ჩვენი ქვეყნის საქმეებში აღარ ჩაერევა. როგორც იცით, ტრამპის პრეზიდენტობის დროს აშშ ჩვენს საქმეებში არ ერეოდა. ფაქტობრივად, აქ ელჩი არც ჰყავდათ დანიშნული, მხოლოდ მოვალეობის შემსრულებელი იყო. მერე დეგნანი დანიშნეს, რომელიც ტრამპის დროს სანიმუშოდ იქცეოდა. ასე რომ, წინ საინტერესო პროცესები გველის. შეიძლება არეულობა მართლაც დაიწყოს, მაგრამ ამას წერტილს 5 ნოემბრის არჩევნები დაუსვამს.

— „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემთხვევაში, როგორ გაგრძელდება ევროპასთან ურთიერთობა?

— ალბათ, დაძაბულად — ევროპა შეეცდება, ვიზალიბერალიზაცია გაგვიუქმოს, რაც ქართველი ხალხისთვის მტკივნეული იქნება. ამას წინათ ხიდაშელმა განაცხადა, ჩვენთვის ვიზალიბერალიზაციის გაუქმებას უნგრეთის მთავრობა თუ დაბლოკავს, ის ქართველი ხალხის მტერი გახდებაო. ანუ თუ ორბანი ქართველებს ვიზალიბერალიზაციას შეუნარჩუნებს, ეს მტრობა იქნებაო. გესმით, რა ხდება?! — ამაზე მეტად აგენტმა საკუთარი თავი როგორღა უნდა გაშიფროს?! დარწმუნებული ვარ, საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის გაუქმებას სლოვაკეთის პრემიერიც დაბლოკავს. უვიზო მიმოსვლა მაინც რომ შეგვიჩერონ, შესაძლებელია გასაჩივრება. ასე რომ, ეს ხანგრძლივი პროცესია.

— რაც შეეხება „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონის მიღებას, ამან ევროპა განარისხა. გვეუბნებიან, თუ ამ კანონს არ გააუქმებთ, ევროკავშირში არ მიგიღებთო...

— ოჯახური ღირებულებების დაცვა უაღრესად მნიშვნელოვანია. შოლცი აცხადებს, ეს კანონი საქართველოს ევროპისგან აშორებს, მის ღირებულებებს ეწინააღმდეგებაო. ამან ჩემი და პარტიის შეხედულება ევროკავშირში გაწევრიანებაზე თავდაყირა დააყენა. თუ ლგბტ-პრაიდების, ასევე, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას მოგვთხოვენ, პირადად მე ასეთი ევროკავშირი არ მინდა. 9 აპრილიდან მოყოლებული, ყოველთვის ევროპასთან ინტეგრაციის მომხრე ვიყავი, მაგრამ ისეთი ევროპა, რომელიც ლგბტ პროპაგანდას გვაიძულებს, არ მინდა.

— დასავლეთი ამომრჩეველს პირდაპირ მოუწოდებს, ან ჩვენ აგვირჩიეთ, ან რუსეთიო. რეალურად, რა არჩევანი აქვს ქართველ ხალხს?

— დღეს არჩევანი ომსა და მშვიდობას შორის უნდა გაკეთდეს. უკრაინასთან ომის დაწყების დღიდან ომში ჩართვისკენ გვიბიძგებენ, რაც ქვეყნის სრულ განადგურებას, ეკონომიკის ჩამოშლას, უზარმაზარ მსხვერპლს გამოიწვევს. თუმცა „გლობალური ომის პარტიას“ ეს არ ანაღვლებს, მათთვის მთავარია, კიდევ ერთი ფრონტი გაიხსნას. სხვათა შორის, შუა აზიის ქვეყნებზე მუშაობენ, რათა მათგან რუსეთის წინააღმდეგ კიდევ ერთი ფრონტი გაიხსნას. ჩვენ საკითხი ასე არ უნდა დავაყენოთ — ან რუსეთი ან დასავლეთი, არამედ მეზობელ აზერბაიჯანს უნდა მივბაძოთ, რომლის პრეზიდენტმაც ევროკავშირს პირდაპირ განუცხადა: ჩვენ, თქვენ არ გვჭირდებით, უთქვენოდაც კარგად ვცხოვრობთო. ალიევს კარგი ურთიერთობა აქვს აშშ-სთანაც, თურქეთთანაც, რუსეთთანაც და საქართველოსთანაც. ერთადერთი, სომხეთთან აქვს დაძაბული სიტუაცია და იქაც ყარაბაღის დაბრუნებით პოზიციები გაიმყარა. ჩვენც მას უნდა მივბაძოთ.

— რამდენიმე დღის წინ ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში გამოქვეყნდა...

— სანამ პოლარიზაციის შეჩერებაზე ჩვენ მოგვიწოდებენ, ჯერ თავიანთ ქვეყნებში შეამცირონ. დიახ, ჯერ თავად გაგვცენ პასუხი: რატომ მოხდა ფიცოზე ასეთი მხეცური თავდასხმა და მერე ტრამპზე ზედიზედ ორჯერ?! ამერიკის ისტორიას თუ გადავხედავთ, ის პრეზიდენტებისა და საზოგადო მოღვაწეების სასაკლაოა. გავიხსენოთ კენედი, მარტინ ლუთერ კინგი და სხვები. ასეთმა ქვეყანამ პოლარიზაციის შემცირებისკენ ჩვენ უნდა მოგვიწოდოს?! აღარ უნდა გაგიკვირდეს, რატომ გამოვიდა ამდენი ახალგაზრდა ქუჩაში გამჭვირვალობის კანონის გასაპროტესტებლად.

მარგველაშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად რომ დასახელდა, თქვა, მე თუ ამირჩევთ, კოაბიტაცია დასრულდებაო, მაგრამ ასე არ მოხდა. რამდენად შეძლებს „ქართული ოცნება“ ნაცების გასამართლებას, რომელსაც დასავლეთში უძლიერესი ლობი ჰყავს, დრო გვიჩვენებს. მე მაინც მგონია, რომ ეს გასამართლება უფრო მორალური კუთხით იქნება, ვიდრე მათი დაპატიმრებით. დღეს დამნაშავე პრეზიდენტიც კი არ არის ციხეში. იგი ოროთახიან ლუქსშია, თან ვიზიტორები, მეუღლეები აკითხავენ და მერე იქიდან დაფეხმძიმებულები გამოდიან. ვიმეორებ, აშშ-ში არჩევნების მერე შესაძლოა, დაპირისპირების ტალღამ იფეთქოს. ასე რომ, საკუთარ თავს მიხედონ და ჩვენ ჭკუა მერე დაგვარიგონ.

— როგორ შეაფასებთ „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის წარდგენას?

— „ქართულმა ოცნებამ“ ძალიან კარგი პროგრამა წარადგინა. ასე იყო 2012 წელსაც. მთავარი პროგრამის შესრულებაა და ძალიან მინდა, რომ ასეც მოხდეს. „ქართული ოცნების“ პროგრამაში ყველაფერი ისეა გაწერილი, რაც ქართველი ხალხის ინტერესებში შედის, მთავარია, ამის ხორცშესხმა მოხდეს.

— „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დაპირება ნაცების ანტიკონსტიტუციურად გამოცხადებაა. ეს რამდენად მიღწევადია?

— მოსახლეობამ 2012 წელს „ქართულ ოცნებას“ ხმა სწორედ იმიტომ მისცა, რომ „ნაცმოძრაობა“ გაესამართლებინა. მაშინ დასავლეთმა კოაბიტაცია შემოგვთავაზა და ეს ვეღარ მოხერხდა. სამწუხაროდ, ხელისუფლებაში დღესაც ბევრი ნაცია ჩაბუდებული, რომელიც არამარტო „ქართულ ოცნებას“, არამედ ქართულ სახელმწიფოსაც ძირს უთხრის. მაგალითად, გიგა ხუბუა, რომელიც მიშას დროს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი იყო და რომელმაც ქართული განათლება დაანგრია, დღეს ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორია. როცა ასეთ ოდიოზურ ფიგურას რექტორად ნიშნავ, მერე აღარ უნდა გაგიკვირდეს, რატომ გამოვიდა ამდენი ახალგაზრდა ქუჩაში გამჭვირვალობის კანონის გასაპროტესტებლად.

— ბოლოს, რას ფიქრობთ, სოციოლოგიურ კვლევებზე, რასაც ტელევიზიები აქტიურად აშუქებენ?

— საერთოდ, კვლევების სანდოობა დაბალია, რადგან იმის სასარგებლოდ იხრება, ვინც უკვეთავს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ვისი დაკვეთითაც კი არ შესრულდა კვლევა, ყველა ერთხმად აღიარებს, რომ „ქართული ოცნება“ პირველ ადგილზეა. „ფორმულას“ მიერ, კეზერაშვილის დაკვეთით შესრულებულ კვლევაშიც კი მმართველი პარტია მოწინავე ადგილზეა. „ქართული ოცნება“ აუცილებლად გაიმარჯვებს, მაგრამ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება გაუჭირდება. ოთხი წლის წინ, არჩევნების წინ ერთ-ერთ ტელევიზიაში ვიყავი მიწვეული, სადაც ინტერაქტივის გამოკითხვაში ითხოვდნენ, დაერეკათ იმ ადამიანებს, ვინც კვლევაში მონაწილეობა მიიღო. ასეთი ადამიანი ერთიც არ აღმოჩნდა. მე არ ვიცნობ ისეთ ადამიანს, ვინც გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო. ჩემი აზრით, ეს კვლევები ფარსია. კვლევების ჩატარება არც საჭიროა და არც გამართლებული. ასე რომ, შედეგებს დაველოდოთ.

თამარ შველიძე

მე იმ ქართველს რა ვუთხარი...



სანამ სათაურს გავაგრძელებდე, მანამდე პატარა შესავალს წავუმძღვარებ. კარს მომდგარი არჩევნების შედეგებზე მეტად იმაზე ვფიქრობთ, თუ რა გველის არჩევნების დასრულების შემდეგ – იმავე 26 ოქტომბერს და მომდევნო დღეებში: მშვიდობიანი ცხოვრება, ძალზე მწვავე სამოქალაქო დაპირისპირება თუ, სულაც, – გარეშე ძალების აქტიური, შეიარაღებული ჩარევა. როგორი სცენარით განვითარდება მოვლენები, ამის შესახებ ზუსტად და ბოლომდე არავინ იცის, ალბათ, არც მთავარმა სცენარისტმა პოტომაკის ნაპირებზე, ყველანაირი ვარიანტია შესაძლებელი – სისხლიანიც და მშვიდობიანიც.

და, მაინც, არჩევნების შედეგებზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული – ვინ, რომელი ძალა მოიპოვებს საკონსტიტუციო ან უბრალო უმრავლესობას. განვაგრძობთ მშვიდობიან წინსვლა-განვითარებას (მართალია, კუს ნაბიჯით, მაგრამ, მაინც მოსათმენს, ჯერჯერობით, მაინც!) და ჩვენი თვითმყოფადობის, ქართველობის ასე თუ ისე შენარჩუნებას, თუ გავეხვევით დამღუპველ ომში (რუსეთთან ან სამოქალაქოში), რამაც, შესაძლებელია, საქართველოს გამთლიანების ნაცვლად, კიდევ უფრო მეტ დაქუცმაცებამდე მიგვიყვანოს!

ყველაზე მეტად გაერთიანებული კონსერვატული ძალების წარმატებას ვისურვებდი, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალურად ისევ ორი ძალაა ერთმანეთთან დაპირისპირებული – მმართველი „ქართული ოცნება“ და კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ – სხვადასხვა სახელის მქონე, მაგრამ ერთნაირი მიზნებისა და იდეოლოგიის მატარებელი, დასავლეთიდან დაფინანსებული პარტიებია (თავის „არასამთავრობოებად“ წოდებულ „მეხუთე კოლონასთან“ ერთად!), რომლებიც წინასაარჩევნოდ სამ მთავარ ნაწილად გაერთიანდა.

იმდენად აშკარაა განსხვავება ამ ორ ძალას შორის, როგორც კარგსა და ცუდს შორის (უფრო ზუსტად, ცუდსა და ბევრად უარესს შორის!), რომ არჩევანის გაკეთება, თითქოსდა, არ უნდა იყოს ძნელი, მაგრამ, როგორც ყოველთვის, მიზანმიმართული დეზინფორმაციით, ანუ სხვადასხვა ტელეარხებით ტყუილ–მართალის ნარევის მიწოდებით, მოსახლეობის დიდ ნაწილს ისე აქვს ტვინი არეულ–დარეული, რომ სწორი არჩევანის გაკეთება უჭირს და დაპირებების ანკესზეც ადვილად ეგება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წინასაარჩევნო კამპანიები ისე პომპეზურად ტარდება, პარტიების მიერ გაცემული დაპირებებიც ისე არის მოწოდებული, ყოფილი „მგლები“ ისე არიან შენიღბულნი უწყინარ „ცხვრებად“, რომ ძალიან ბევრი, უკვე მრავლისმნახველი ასაკოვანი ადამიანიც კი ტყუვდება კანდიდატების არჩევანში, რასაც ხელს უწყობს პარტიული სიებით არჩევნების ჩატარების წესიც.

საქმეს ართულებს ისიც, რომ დამნაშავე **სააკაშვილის** დამნაშავე „ნაციონალურმა მოძრაობა“ დროულად მიხვდა, რომ ამომრჩევლის დასაბნევად და მოსაზიდად აუცილებელი იყო რამდენიმე პარტიად დაშლა, პარტიის ფილიალების ჩამოყალიბება ახალ–ახალი არასამთავრობოების სახით; აგრეთვე, ძველი, მობეზრებული სახეების ოდნავ უკან ჩაჩოჩება და ახალი სახეების წინ წამოწევა, რათა მათ მიერ გაცემული დაპირებების უფრო ერწმუნა ხალხს, განსაკუთრებით კი, გამოუცდელ და უახლესი ისტორიის ნაკლებად მცოდნე ახალგაზრდობას.

თუ გვინდა, რომ ნაცების ყოყლოჩინობას ერთხელ და სამუდამოდ დაესვას წერტილი, უნდა ვიხელმძღვანელოთ ერთი, ადვილად განსახორციელებელი მეთოდით, რომელსაც **გამორიცხვის, უარყოფის მეთოდი** ჰქვია და, შედეგებიდან გამომდინარე, ბევრად ეფექტურია, ვიდრე შერჩევითი მეთოდი და, რაც მთავარია, ის უხეში შეცდომებისგან, უცხო სახელმწიფოების ინტერესების გამტარებელი, ფულზე გაყიდული ადამიანების პარლამენტში შეძვრომისგან უფრო გვიცავს!

უდავოა, რომ მხოლოდ პარტიული სიების მიხედვით პარლამენტის დაკომპლექტების წესი უარესია, ვიდრე შერეული (პროპორციულ-მაჟორიტარული) და, ბევრად უარესი სუფთა მაჟორიტარულთან შედარებით, მაგრამ, მეორე მხრივ, ამომრჩეველს უადვილდება არჩევანის გაკეთება, თუკი გამორიცხვის მეთოდს გამოიყენებს.

როდესაც პარტიულ სიაში აღმოვაჩენთ სახელგატეხილ, უკადრებელ საქციელში საჯაროდ მხილებულ პიროვნებას (მით უფრო, თუ იგი პარტიის ლიდერია ან დამფუძნებელი, ან – ნასამართლევი პირი!), ბევრი ფიქრის გარეშე ამ პარტიას ზურგი უნდა ვაქციოთ, ანუ მას ხმა არ უნდა მივცეთ. აი, აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ამერიკის ელჩის რჩევა: **„დააკვირდით იმათ, ვისაც ხმას აძლევთო!“** ჰოდა, ჩვენც „დავაკვირდეთ“, განსაკუთრებით, – სიის პირველ ათეულში მყოფ ცნობილ სახეებს.

დავიწყოთ მმართველ „ქართულ ოცნებასთან“ დაპირისპირებული, მთავარ პარტიასთან – „ნაციონალურ მოძრაობასთან“ შექმნილი კოალიციით.

საარჩევნო N5 – კოალიცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ანუ **სააკაშვილის** პარტია, სადაც თავმოყრილია ამ პიროვნების მიმდევარი, მხარდამჭერი ადამიანები და მიკედლებული პარტიები.

ახლა ვიკითხოთ, ზოგადად: შეიძლება თუ არა, იმ ადამიანს (და მის პარტიაში გაერთიანებულ თანამოაზრეებსაც) მივცეთ ხმა, რომელმაც არაერთი დანაშაული და სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა ქვეყნისა და ხალხის წინაშე, როგორც პრეზიდენტმა და როგორც ქართველმა კაცმა!

მე იმ ქართველს რა ვუთხარი, ვინც ხმას მისცემს იმ პარტიას, რომლის დამფუძნებელმა და ლიდერმა:

მერკანტილური მიზნებით **უარი თქვა საქართველოს მოქალაქეობაზე,** რომლის პრეზიდენტიც იყო რვა წლის განმავლობაში!

კანონი უხეშად დაარღვია და **საქართველოს საზღვარი ფარულად (ქურდულად), ტრაილერში დამალულმა გადმოკვეთა!**

სასამართლო პროცესზე **უარი თქვა მშობლიურ, ქართულ ენაზე და უკრაინულიდან მთარგმნელი, თარჯიმანი მოითხოვა!**

თავი შეირცხვინა მსოფლიოს წინაშე, როდესაც **პრეზიდენტყოფილი კაცი გიჟივით დარბოდა სახლის სახურავზე უკრაინის დედაქალაქში!**

თავი მოგვჭრა, როდესაც დაივიწყა სტუმარმასპინძლობის ტრადიცია, რუსეთის **თვითმფრინავის გუგუნის (მხოლოდ გუგუნის!) ხმაზე კურდღელივით მოქუსლა და მიწაზე გაიშხლართა, ხოლო გვერდში მდგომი, სტუმრად ჩამოსული საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარ კუშნერი მარტო დატოვა გაოცებული!**

ცხინვალის რეგიონში წამოწყებული 3-დღიანი ომის დროს **ბრძოლის ველიდან სამარცხვინოდ გამოქცეულმა მხედართმთავარმა მშვიდობიანი ქართული მოსახლეობა არ გახიზნა, დაუცველი მიატოვა და დასაღუპად გასწირა!**

მოსახლეობისგან დაცლილ სოფლებს, დაკარგულ ქართულ მიწებს ქვების გროვა უწოდა!

ცხოველური ჟინის დასაკმაყოფილებლად დაივიწყა ოჯახი, ფეხებზე დაიკიდა საზოგადოებრივი აზრიც და **პრეზიდენტისთვის შეუფერებელი ზნედაკარგული ქცევებით მთლიანად დაკარგა მორალური სახე!**

ყველაფერ ზემოთქმულს სააკაშვილის ნებართვითა და ხელმძღვანელობით ჩადენილ კიდევ უამრავ კრიმინალსაც თუ დავუმატებთ:

ციხეებში გამეფებულ წამება–გაუპატიურებას;

გაუსამართლებლად ადამიანების ჩახოცვას ქუჩებსა და პენიტენციალურ დაწესებულებებში;

ათასობით ადამიანის ქონება – ბიზნესის ძალადობრივი გზით მითვისებას (ნოტარიულად დამოწმებული „ჩუქების“ გაფორმებით);

ხაზინის ქურდობას და გამეფებულ ელიტარულ კორუფციას და სხვა, მრავალნაირ დანაშაულს, და ამის შემდეგაც, ამ „საგმირო“ საქმეების ჩამდენი არაკაცის პარტიას, ანუ N 5–ს), თუკი მაინც შემოხაზავს ვინმე ჭკუათმყოფელი, ის შეუძლებელია იყოს ნორმალური, ქრისტიანული სულისკვეთების ქართველი მამულიშვილი და, უბრალოდ, პატიოსანი ადამიანი!

სხვა პარტიებზე შედარებით მოკლედ მოგახსენებთ:

N 4 – ნიკანორ მელიას, ზურაბ გირჩი ჯაფარიძის, ხათუნა სამნიძის და ელენე ხოშტარიას გაერთიანება (გარედან მმართველი – **ნიკა გვარამია**) – **„კოალიცია ცვლილებებისთვის“.**

მე იმ ქართველს რა ვუთხარი, ვინც იმ პარტიას მისცემს ხმას, რომელიც **შარვალჩახდილი, რუსეთისკენ მიშვერილი შიშველი უკანალით შეუპოვრად „ებრძვის“ რუსეთს** და რომელსაც სათავეში უდგას კაცი (?!), რომელმაც გაბედა და ყველა ქართველს საჯაროდ მოგვაყენა შეურაცხყოფა: **„ჩაგიფსით თქვენ ღვინოში და ბორჯომშიო“!**

ამ გვარამიამ ასევე **საჯაროდ და გაუგონრად შეურაცხყო საქართველოს პრეზიდენტი,** სამწუხაროდ, შესაბამისი კანონის უქონლობის გამო, ამისთვის არც არავის მოუთხოვია მისთვის პასუხი და, რაც ყველაზე უფრო გასაკვირია, უშვერი ეპითეტებით შემკობილმა პრეზიდენტმა, მისი „შემამკობელი ეს „ვაჟკაცი“, რომელიც **მილიონების მითვისებისთვის სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ იქნა, ვითომც არც არაფერი მომხდარიყოს, მალევე შეიწყალა!** პრეზიდენტის ასეთი ქმედება დამატებითი არგუმენტია იმისათვის, რომ ვისთანაც ეს ქალბატონი იქნება კავშირში შემჩნეული– ხმა არ უნდა მივცეთ!

N 9 – **მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძის, ანა ნაცვლიშვილის, სალომე სამადაშვილისა და ალეკო ელისაშვილის** კოალიცია **„ძლიერი საქართველო“.**

მე იმ ქართველს რა ვუთხარი, ვინც იმ პარტიას მისცემს ხმას, ვისაც სათავეში უდგანან:

დიდ (მსხვილ) თაღლითობაში მხილებული (სასამართლოს მიერ!) ბანკირები;

ათასობით ოჯახის ამწიოკებლები და საკუთარი სახლებიდან გამომყრელი ეს მევახშე-წურბელები;

იმ პარტიას, ვის რიგებშიც თავიდანვე მოწინავე პოზიციებზე იყო **1989 წლის 9 აპრილს კომუნისტურ პარტიაში შესული დავით უსუფაშვილი,** რომელიც **შვილებს სამშობლოს, საქართველოს დამცველ ვაჟკაცებად კი არ ზრდის,** არამედ, მისივე სიტყვებით – „თავისუფალ მოქალაქეებად“, „უნდათ დაიცავენ და, უნდათ – არაო“;

იმ პარტიას, რომელსაც მიკედლებულია **ხელებზე თავდაყირა დგომის შემძლე, მაგრამ კუნთების არავაჟკაცურად, ზურგიდან მიპარვით გამომყენებელი, ეს მშიშარა „მოქალაქე“ ელისაშვილი!**

ჩემო ქართველო ხალხო, მოგმართავთ ყველას – გაჭირვებულსაც და შეძლებულსაც, კარგად დაფიქრდით და თქვენი შინაგანი სინდის–ნამუსის ხმას დაუგდეთ ყური, გადაავლეთ ზემოთ ჩამოთვლილ უტყუარ(!) ფაქტებს თვალი და გადაწყვიტეთ, თუ იმსახურებს ასეთი ხალხი (დამნაშავე „ნაცმოძრაობასთან“ ჩახუტებულ– გადაფსკვნილი!) საკანონმდებლო ორგანოში ყოფნას, თუ გამოდგება რომელიმე მათგანი ჩვენი ქვეყნის ინტერესების დამცველად ან მხედართმთავრად!

ჩემდა თავად კი ვიტყვი: **იმ ქართველს შეურცხვა კაცობა და ქართველობა, ვინც მაინც ამ დამნაშავეების, ფულზე გაყიდულების, დამსმენების, აგენტების, ქვემძრომებისა და არაკაცების პარტიებს მისცემს ხმას!**

ღმერთი იყოს ყველა ჩვენგანის მფარველი!

იაკობ ლეჟავა

დასავლეთი ომის გარანტის თავისუფლებას და მშვიდობის გარანტის სანქცირებას ითხოვს

გვესაუბრება „პოლიტიკისა და სამართლის ობსერვერის“ დამფუძნებელი გრიგოლ გაგნიძე

— ბატონო გრიგოლ, საკონსტიტუციო სასამართლომ გამჭვირვალობის კანონის მოქმედება არ შეაჩერა.

— საკონსტიტუციო სასამართლომ გამჭვირვალობის კანონის მოქმედება არ შეაჩერა, მაგრამ საქმე განხილვაში დატოვა, რადგან წინასაარჩევნოდ ხელისუფლება საერთაშორისო ორგანიზაციების, პარტნიორების ზეწოლის ქვეშ არის და ახლა ნჯო-ებზე კონტროლის მექანიზმების დაწესება არაეფექტური იქნებოდა. მძაფრი ზეწოლის შედეგად, ხელისუფლებამ დროებით უკან დაიხია, რაც ოპოზიციამ სისუსტედ ჩათვალა. სინამდვილეში, ეს დიპლომატიური გადაწყვეტილება იყო. რობინ დანიგანის ბოლოდროინდელი შეფასებებიც სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ხელისუფლება დიპლომატიურად მოიქცა. თუ დააკვირდით, დანიგანმა ცესკო-სა და მისი თავმჯდომარის ქმედებები წინასაარჩევნოდ, მოიწონა. ასევე კმაყოფილია იმითაც, რომ მთავრობამ წინასაარჩევნოდ არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ დაგეგმილი კონტროლის მექანიზმები არ განახორციელა. ამ ეტაპზე ასეთი მოცემულობა გვაქვს.

იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია ნჯო-ებს გარკვეული საჯარიმო სანქციები დაუწესოს, თუმცა ამ დროისთვის თავს იკავებს. ამ პერიოდში ქვეყანა განსაკუთრებული დაკვირვების ქვეშაა — თვალ-ყურს გვადევნებს ათასობით როგორც შიდა, ისე გარე დამკვირვებელი. არჩევნები სამართლიანად, გამჭვირვალედ, ობიექტურად უნდა ჩატარდეს და ეს საერთაშორისო დამკვირვებლების დასკვნებში აისახოს. ვიმედოვნებ, რომ წინასაარჩევნოდ ევროპარლამენტის ზეწოლის მიუხედავად, საქართველოში პოლიტიკური პროცესები მშვიდად წარიმართება და არჩევნების სამართლიანად ჩატარებას გარე ზეწოლები ხელს ვერ შეუშლის.

— დასავლეთი გვეუბნება, რომ გამჭვირვალობის კანონი, საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე სვლას აფერხებს...

— დიახ, დასავლეთი, თუ მის რჩევას ყურად არ ვიღებთ, ვიზალიბერალიზაციის შეჩერებით გვემუქრება. რეზოლუციას რეზოლუცია მოსდევს, რასაც საზოგადოებაზე მანიპულირების საშუალებად იყენებენ — სურთ, რომ საზოგადოებრივი აზრი და ხელისუფლების მომხრეების განწყობები სათავისოდ შეცვალონ. ევროკავშირი ვიზალიბერალიზაციას თუ შეგვიჩერებს, საქართველოზე კონტროლს, გავლენას დაკარგავს. მსგავსი ზეწოლებით აშშ-იც და ევროპაც, წყალს პირდაპირ რუსეთის წისქვილზე ასხამენ, რაც უშედეგოდ არ ჩაივლის. დაპირისპირება მას აწყობს, ვინც საქართველოში სტაბილურობით, მშვიდობით დაინტერესებული არ არის.

ოპოზიცია არჩევნების მეორე დღისთვის — აქციებისთვის ემზადება. იმედია, ეს ყველაფერი მაიდანიზაციაში, უკონტროლო პროცესებში არ გადაიზრდება. იმიტომ, რომ პროცესების ასე წარმართვა ქართულ საზოგადოებაში ევროინტეგრაციაზე შექმნილ წარმოდგენებს მკვეთრად დააზიანებს. საკაშვილის მმართველობის პერიოდში გვეგონა, რომ დასავლეთი მხარს დემოკრატიის შენებაში გვიჭერდა, რეალურად კი სისხლიანი დიქტატორული რეჟიმი შეგვრჩა. ის გრანტები, რასაც დასავლეთი გვაძლევდა, საკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის ჩამოყალიბებას მოხმარდა და არა დემოკრატიული პროცესების განვითარებას.

ახლა კი, ბოლო 12 წელია, სახეზეა ქვეყანაში მშვიდობა და სტაბილურობა, რისი შერყევაც სურთ. დასავლელი დონორები ნჯო-ებს აფინანსებენ, რათა აქ არეულობა, დესტაბილიზაცია მოხდეს და ისევ ის სისხლიანი რეჟიმი დაბრუნდეს. უკრაინის ომის დაწყებიდან ჩვენც ომში ჩართვისკენ გვიბიძგებენ. არახამია და სხვა უკრაინელი ლიდერები, პირდაპირ რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრებისკენ მოგვიწოდებდნენ. ასე საქართველო დაკარგავდა როგორც თავისუფლებას, ასევე, ტერიტორიული მთლიანობაც მეტად დაირღვეოდა. რისკფაქტორები დღევანდელ პოლიტიკურ პროცესებზე აისახება — დასავლეთი ყველანაირად ცდილობს, ხელისუფლებაში ის ძალა დააბრუნოს, რომელიც დემოკრატიის შუქურა კი არა, არამედ დიქტატურა იყო. საზოგადოება ამ რეჟიმს მხარს არასდროს დაუჭერს, რადგან მისგან მიყენებული იარები დღემდე მოუშუშებელი აქვს. ხელისუფლებამ ევროპარლამენტს უნდა შეახსენოს, რა ხდებოდა ქვეყანაში იმ რეჟიმის დროს.

2012 წელს საქართველოში ჯინ შაჰინიც იმყოფებოდა. მან მშვენივრად იცის, რატომ შეცვალა რეჟიმი „ქართულმა ოცნებამ“. შაჰინი ახლაც აპირებს ჩამოსვლას და არჩევნებზე დაკვირვებას. მინდა ხაზი გავუსვა ერთ გარემოებას: არჩევნების დღესაც და მერეც, როცა *ოპოზიცია* აქ არეულობისთვის მზადებას დაიწყებს, **კარგი იქნება, თუ მეზობელი რეგიონების ლიდერები ჩამოვლენ და საკუთარ აზრს დააფიქსირებენ. რადგან რეგიონში სტაბილურობა და მშვიდობა არამარტო საქართველოს, არამედ ჩვენი მეზობლების ინტერესებშიცაა.** დიახ, ჩვენი მეზობლები დაინტერესებულნი არიან რეგიონის მშვიდობიან, სტაბილურ განვითარებაში.

საქართველო ევროპისა და აზიის გზაგასაყარია. აგერ, უკვე ჩინეთიც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია. ახლო აღმოსავლეთში პროცესები ესკალაციისკენ მიდის. ამიტომ საქართველომ მშვიდობა უნდა შეინარჩუნოს. თუ ოპოზიციის მიერ დაგეგმილი აქციები რევოლუციურ ხასიათს მიიღებს, მნიშვნელოვანი და დროული იქნება რეგიონის ლიდერების მხრიდან იმის აღნიშვნა, რომ ისინი საქართველოში სტაბილურობის, მშვიდობის მომხრენი არიან. რეგიონისთვის, ასევე, შუა დერეფნის პროექტის ამოქმედებისთვის მნიშვნელოვანია, როგორ განვითარდება პროცესები საქართველოში. ჩვენი კეთილმოსურნენი ქვეყანაში დესტაბილიზაციით დაინტერესებულნი არ უნდა იყვნენ. და არც ის უნდა სურდეთ, რომ **იმის დასანქცირება სურთ, ვინც მშვიდობის გარანტორია!** მათ მშვენივრად იციან, რომ მიშა დესტრუქციულ პროცესებზე წამსვლელია. აი, ამ პროცესებში სურთ რეგიონის შეყვანა. საკაშვილი რომ მობრუნდეს, წარმოგიდგენიათ, რა მოხდება? — მას რევანში სწყურია — ციხეები უდანაშაულო ადამიანებით გადაივსება, დაიწყება ქუჩაში ხალხის დახვრეტები, მოსახლეობას ტყავს გააძრობენ, პირდაპირი და ირიბი მნიშვნელობით!

ოპოზიცია რომ გაჰყვირის, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ქვეყანაში 14 მილიარდს შემოვიტანთო. **შემთხვევით, ამ 14 მილიარდს იმისთვის ხომ არ მისცემენ, რომ ქვეყანა ომში ჩართონ?! შედეგად, ეს 14 მილიარდი ქვეყანაში სხვადასხვა სამხედრო დახმარების სახით შემოვა.** 2008 წლის ომის დროს დასავლეთმა 4 მილიარდი გამოგვიგზავნა, რაც ხალხზე სრულებით არ ასახულა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ყოფილი თავდაცვის მინისტრი — კეზერაშვილი და სხვები სწორედ ამ გრანტებით გამდიდრდნენ და ეს თანხები ისევ ქვეყნის საზიანოდ გამოიყენეს. დიახ, ჩემი აზრით, ეს 14 მილიარდი თუ მართლა არსებობს, ალბათ, საქართველოს ომში შეთრევას და განადგურებას მოხმარდება.

ნურც ის დაგვავიწყდება, რომ მეზობლები კი არიან ჩვენი კეთილმოსურნეები, მაგრამ მათ რეგიონში თავიანთი სტრატეგიული ინტერესები ამოძრავებთ. არ უნდა დავუშვათ, რომ დასავლეთმა დაგვსაჯოს, რაც შესაძლოა, ეკონომიკაზე ან ძალისმიერ ინტერვენციაზე აისახოს. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ არც რუსეთია აქედან შორს. დესტრუქციული პროცესები თუ არ ავიცილეთ, გამორიცხული არ არის, დედაქალაქიდან 40კმ-ში მყოფმა რუსის ჯარმა რადიკალური ნაბიჯები გადადგას და საქართველო ორად გაყოს ან სულაც დაშალოს. ასე რომ, მხოლოდ მეზობლები კი არა, აქ სტაბილურობის შენარჩუნებით ოკეანისგაღმელებიც უნდა იყვნენ დაინტერესებულნი. შესაძლო რყევები თავიდან უნდა ავიცილოთ.

— ევროპარლამენტმა რეზოლუცია მიიღო, რომლის თანახმად საკაშვილის გათავისუფლებას ითხოვს...

— **საოცარია, იმ ადამიანის გათავისუფლებას ითხოვენ, რომელმაც არაერთი დანაშაული ჩაიდინა ქვეყნისა და ხალხის წინაშე და ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ომის გარანტორი იქნება და ამ დროს** როგორც სომხეთი დასავლეს, პატარა საქართველოც ისევე დასავლონ. ღმერთმა მშვიდობიანად ჩაგვატარებინოს არჩევნები. თითოეულ მოქალაქეს მშვიდობას და კეთილდღეობას ვუსურვებ.

— პრეზიდენტმა ტექნიკური მთავრობის შექმნაზე ოპოზიციის მზაობის შესახებ გვაუწყა და გვითხრა, რომ ხელმძღვანელი პირებიც უკვე შერჩეული ჰყავს...

— ზურაბიშვილმა კვლავ კონსტიტუცია დაარღვია და ამჯერად მთავრობის ფორმირება დაიწყო. ეს თამაშს დაემსგავსა. ახლა 2024 წლის არჩევნები მსოფლიო ყურადღების ცენტრშია. პრეზიდენტს შანსი აქვს, თავისი ქმედებებით დასავლელ ლიდერებს თავი მოაწონოს. ამიტომ პროდასავლურ ოპოზიციას ამოუდგა გვერდში. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ იმპიჩმენტის პროცესს ხელახლა წამოიწყებს, მაგრამ ეს, ალბათ, ფორმალური იქნება, რადგან მას ვადა ისედაც მალე ეწურება. ეს პრეცედენტი იქნება, რათა მომავალში იგივეს გაკეთება სხვამ არ გაბედოს.

ქართველი ხალხი ირჩევს მშვიდობას. უცხო ქვეყნის ლიდერები რომ გვაქეზებენ, იომეთო, თუ ასე უხარიათ კაცის მოკვლა, წავიდნენ და უკრაინაში იომონ. რუსეთის დაშლა თუ უნდათ, ეს უკრაინიდან განახორციელონ. საქართველო რუსეთს ვერ დაშლის, ბოლობოლო, რუკას შეხედონ. საქართველოს ომში ჩათრევა საბედისწერო გადაწყვეტილება იქნება. ბალტიისპირეთის ქვეყნები საქართველოს რომ უბიძგებენ ომისკენ, თვითონ რატომ არ ეომებიან რუსეთს?! ისინი რუსეთის მიმართ შიშსა და რიდს განიცდიან. მშვიდობას ალტერნატივა არ აქვს. 90-იანი წლების დასაწყისში შევარდნაძე ამერიკელებს რომ შეხვდა, მათ უთხრეს: საქართველოსთვის ნატო-ს კარი ღიაა. შევარდნაძემ უპასუხა: დიდხანს ნუ დაგვტოვებთ ღია კარში, თორემ ორპირმა გაციება იცისო.

მშვიდობას მოფრთხილება უნდა. იმედია, ქვეყანა იმ შეცდომებს აღარ გაიმეორებს, რაც სამოქალაქო ომის, ტერიტორიების დაკარგვის სახით გადავიტანეთ. ჩვენ დასავლელი პარტნორების მოთხოვნებს ბრმად კი არ უნდა მივდიოთ, არამედ რეგიონის ინტერესებიც უნდა გავითვალისწინოთ. რადგან დასავლეთმა შეიძლება ისეთი დავალების შესრულება მოგვთხოვოს, რაც მეზობელს დააზიანებს და მასთან ურთიერთობას გაგვიფუჭებს და ეს დაგვაზარალებს როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად.

თამარ შველიძე

ქართული ეკონომიკა და, შესაბამისად, ლარის სტაბილურობა იმედისმომცემია

გვესაუბრება გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ბიზნეს-სკოლის დეკანი, ეკონომიკის დოქტორი ბახტანგ ჭარაია

- ბატონო ვახტანგ, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის გასაძლიერებლად, გრძელვადიან პერსპექტივაში, რამდენიმე პირობა დასახელდა, როგორიცაა: სტაბილური პოლიტიკური სიტუაციის შენარჩუნება, სტაბილური ბიზნეს გარემო და ვალუტის სტაბილურობა, რაც აისახება ინვესტიციების მოცულობაზე. აღნიშნულთაგან რომელს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა მიზნის მისაღწევად?

- არცერთი მათგანი ცალკე აღებული არაფრის გარანტიას არ გვაძლევს, მაგრამ ამ კომბინაციაში ფუნდამენტური, შეიძლება ითქვას, რომ არის სტაბილურობა ქვეყნის შიგნით და ქვეყანასთან მიმართებაში, საერთაშორისო განზომილებით. შემდგომი საფუძველი არის მაკროსტაბილურობა ქვეყანაში. მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი არ იყოს ნახტომისებრი ცვალებადი და არ შექმნას გაურკვევლობები ბიზნესისთვის. მნიშვნელოვანია, ზოგადად, გამჭვირვალობა და სახელმწიფოს პოლიტიკა ბიზნესისა და ეკონომიკის მიმართულებით, თუ როგორი იქნება ის გრძელვადიან ჭრილში.

- გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკის ზრდის მთავარ აქცენტებზე ისაუბრა ეკონომიკის მინისტრმა, რომელმაც თქვა, რომ ეს უნდა გაკეთდეს პროდუქტიულობის ზრდაზე, ტექნოლოგიებსა და ინოვაციებზე დაყრდნობით. რამდენად აუწყო ფეხი ამ ტენდენციას ქართულმა ბიზნესმა?

- მსოფლიო უკვე ძალიან აქტიურად იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიების სხვადასხვა შესაძლებლობას, იგივე ხელოვნურ ინტელექტს, რომელიც განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის სხვაობას კიდევ უფრო სწრაფად ზრდის, ვიდრე ოდესმე. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ მაქსიმალურად აუწყოს ფეხი ახალ მიდგომებს, არამხოლოდ ბიზნესის კუთხით, ზოგადად, ცხოვრებაშიც. ხელოვნური ინტელექტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების კუთხით, საქართველო საკმაოდ სწრაფად პროგრესირებს. მაგალითისთვის რომ ავიღოთ, ტრადიციულმა დარგმა მეღვინეობამ შარშან, 2023 წელს, 300 მილიონი დოლარის ექსპორტი შექმნა. თანამედროვე ტექნოლოგიების ექსპორტმა კი, ე. წ. სოფტმა, რომელიც ქართულმა აიტი კომპანიებმა შეიმუშავეს და საზღვარგარეთ გაყიდეს, დაახლოებით 3-ჯერ მეტი, თითქმის 800 მლნ დოლარი შეადგინა. ეს უკვე დიდი ნაბიჯებია და ამას ხელი უნდა შეუწყოს არამხოლოდ ხელისუფლებამ, არამედ უმაღლესმა და პროფესიულმა სასწავლებლებმა... მათ უნდა გადააშზადონ დარგის მეტი სპეციალისტი, რომ ბაზარს დროულად მიაწოდონ შესაბამისი კადრები. თვითონ ბიზნესმა კი უნდა იაქტიუროს და დაგეგმოს გრძელვადიანი სტრატეგია იმისათვის, რომ ოპერატიულად შეძლოს მისთვის გამოსადეგი კადრის, სასწავლებლებიდან გამოშვებული სპეციალისტების აყვანა და მათი ჩართვა საწარმოო პროცესში. შემდგომ კი, მიღებული პროდუქტი საზღვარგარეთ სარფიანად გაყიდოს. ანუ ეს მთელი პროცესია, სადაც მხოლოდ ხელისუფლება ვერაფერს გახდება, რამდენი ფულიც უნდა ჩადოს. საჭიროა კონტაქტები, ადამიანური რესურსი, საჭიროა გარკვეული გავლენებიც, მათ შორის, რომელიც შეიძლება ხელისუფლებას არ ჰქონდეს, მაგრამ ჰქონდეთ კონკრეტული დარგის კომპანიის წარმომადგენლებს. ხელისუფლებამ შეიძლება მიაღწიოს ერთჯერადად რაღაც პროგრესს, მაგრამ მისი შენარჩუნება უკვე ბიზნეს-სექტორზე და საზოგადოებაზეც არის დამოკიდებული.

- ბატონო ვახტანგ, წინასაარჩევნო გარემო, როგორც წესი, ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზეც გარკვეულ გავლენას ახდენს. ლარის კურსის გაუფასურების ტენდენცია ამჯერადაც შეინიშნება...

- „ლარში“ არ არის პრობლემის საწყისი, ლარი არის, უბრალოდ, „თერმომეტრი“, რომელიც ზომავს, თუ როგორი ტემპერატურაა ქვეყანაში. რაც მეტად აწეულია ტემპერატურა, მით მეტია ლარის რყევა. არჩევნების დროს, როგორც წესი, ეს დამახასიათებელია. თუმცა მხოლოდ პოლიტიკურ სიტუაციებზეც არ არის დამოკიდებული ეროვნული ვალუტის გაუფასურება ან გამყარება. ეს შეიძლება მოხდეს ეკონომიკური მიზეზებითაც, გეოპოლიტიკური მიზეზებითაც, შეიძლება იყოს კონკრეტულ მოვლენასთან დაკავშირებული, მაგალითად, ახალ წელთან ან სხვა დღესასწაულთან, ტურისტულ სეზონთან... ეს კონკრეტული მოვლენები, საბოლოო ჯამში, განაპირობებს ლარის მოძრაობას და მის სტაბილურობას.

დღეს საკმაოდ დიდი გამოწვევის წინაშე ვდგავართ, მნიშვნელოვანი არჩევნების მოლოდინში ვართ და ლარიც, გარკვეულწილად, მოძრაობაშია. თუმცა, ჩვენი ეროვნული ვალუტისა და ქართული ეკონომიკის სასარგებლოდ მინდა ვთქვა, რომ ის მერყეობა, რაც ლარს აქამდე, რამდენიმე თვის განმავლობაში ჰქონდა, არ იყო ისეთი საგანგაშო, როგორი პოლიტიკური ვნებათაღელვაც იყო ქვეყანაში. ცნობილი კანონის საკითხიდან გამომდინარე, გაზაფხულიდან მოყოლებული, დაახლოებით 10 პროცენტით არის ლარი სულ გაუფასურებული მაშინ, როდესაც ძალიან დიდი ქარიშხალი გამოიარა საქართველომ.

აქედან გამომდინარე, ვიტყოდი, რომ ქართული ეკონომიკა და, შესაბამისად, ლარის სტაბილურობა იმედისმომცემია. მით უმეტეს, რომ პრაქტიკა ცხადყოფს, - ლარი არამხოლოდ რეგიონში, გლობალურადაც, მდგრადობას ინარჩუნებს. თუ ჩემი არ სჯერა ვინმეს, შეუძლია გადაამოწმოს ნებისმიერი წამყვანი ქვეყნის ვალუტის კურსის ცვლილება, მაგალითად, ამერიკულ დოლართან მიმართებაში და შეადაროს ქართული ლარის მერყეობას. მარტო ჩვენი სამეზობლო რომ ავიღოთ, თურქული ლირა იქნება პირობითად ეს, აზერბაიჯანული მანათი, თუ უფრო მოშორებით, შვედური კრონი... ნახავთ, რომ გლობალური მასშტაბით, ყველას ახასიათებს მერყეობა და ლარი ერთ-ერთი ყველაზე სტაბილურია მათ შორის. ლარი, ბოლო 10 წლის განმავლობაში, ორმაგადაც კი არ გაუფასურებულა, მაშინ, როდესაც წამყვან ქვეყნებში ორჯერ და მეტად გაუფასურდა ეროვნული ვალუტები. რუსეთსა და უკრაინაზე აღარ მაქვს საუბარი, ეს კიდევ ცალკე მაგალითია. შესაბამისად, ლარი არის საკმაოდ ჯანსაღი, სტაბილური ვალუტა და თუ ჩვენ ძალით არ შევეცადეთ მის გაუფასურებას, უმრავი გამოწვევის მიუხედავად, ის სიმყარეს შეინარჩუნებს.

- მოისმენდით, ალბათ, ოპოზიციის დაპირებებს. 1000-ლარიანი პენსია და ქართული ეკონომიკის გაორმაგება ოთხ წელიწადში რამდენად შეესაბამება არსებულ რეალობას?

- ოთხ წელიწადში ეკონომიკის გაორმაგება, ისევე, როგორც 1000-ლარიანი პენსია, თეორიულად შესაძლებელია, თუმცა ამისათვის გარკვეული პირობებია გასათვალისწინებელი.

ჯერ ეკონომიკის გაორმაგებაზე რომ გავამახვილოთ ყურადღება: ოთხ წელიწადში გაორმაგებული ეკონომიკა ნიშნავს, რომ საშუალოდ, 20-20 პროცენტით მაინც უნდა გაიზარდოს ყოველწლიურად ჩვენი ეკონომიკა, ანუ 20 პროცენტით გაზრდა და მომდევნო წელს, უკვე გაზრდილის კიდევ 20 პროცენტით გაზრდა (იგულისხმება პროცენტული და არა რიცხვობრივი ზრდა) 4 წელიწადში, საშუალოდ, 100-პროცენტიან ზრდას მოგვცემს, მაგრამ რამდენად შესაძლებელია 20-20 პროცენტით ყოველ მომდევნო წელს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარება - რთული წარმოსადგენია! შეუძლებელი არ არის, თუმცა ძალიან რთულია და ამისათვის განსაკუთრებული ხიბლი უნდა შესძინოს ჩვენს ქვეყანას, უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, ვინც ამას მოინდომებს. თუმცა, ხელისუფლებაში მოსული გამოუცდელი პარტიისთვის, ხელისუფლების მართვის კუთხით გამოუცდელი ხალხისთვის, როდესაც არ იცნობენ ამ ხელისუფლებას და არ იციან, როგორი იქნება ის დროთა განმავლობაში, ასე ერთბაშად ინვესტიციების მოზიდვა, 20-20-პროცენტიანი ნახტომები და 100-პროცენტიანი ზრდის მიღწევა 4 წლის თავზე, ძალიან არარეალურია. არ ვიტყვი, რომ კატეგორიულად არის შეუძლებელი, მაგრამ ამ რესურსით, რაც აქვს ოპოზიციას, ვეჭვობ, მოსვლისთანავე ერთბაშად, რომელიმე ოპოზიციურ პარტიას შეეძლოს, რომ ეკონომიკა 20-20 პროცენტით გაზარდოს ყოველწლიურად.

არსებული რეალობით, საქართველო რასაც ახერხებს, ის არის, რომ უკვე მესამე წელია, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვაქვს, რაც მსოფლიო ბანკის მიერაც არის დადასტურებული.

რაც შეეხება 1000-ლარიან პენსიას - 1000-ლარიანი კი არა 5000-ლარიანი პენსიის გაცემაც არის შესაძლებელი, თუ ფულს დავბეჭდავთ! ოღონდ ამას მოჰყვება ინფლაცია და ფასები გაიზრდება კატასტროფულად! თუ მაინცდამაინც პრინციპზეა საუბარი და ვინმე იტყვის, რომ 1000-ლარიან პენსიას გასცემს, - შეასრულებს, იმის ხარჯზე, რომ პენსიონერს ექნება 1000 ლარი პენსია, რომლის მსყიდველობითი უნარი იქნება დაახლოებით იგივე, რაც დღევანდელი პენსიის არის, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა მოიმკის იმას, რომ ფასები გაუორმაგდება, თუ არ გაუსამმაგდება! შესაბამისად, თუ ვატყუებთ ვიღაცას, - ეს შესაძლებელია, პრაქტიკაში გააკეთო, მაგრამ ზიანი, რომელიც ამ შეუსაბამობას მოჰყვება, გაცილებით დიდი იქნება, ვიდრე ის სარგებელი, რომელიც შეიძლება ამ 1000 ლარის კუპიურებში გამოისახოს. ამიტომ ვიტყოდი, რომ პენსიის 1000 ლარამდე გაზრდა რეალისტური გადმოსახედიდან შეუძლებელია.

- თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას, უკვე კარგად ცნობილსა და გამოცდილს საერთაშორისო ასპარეზზე, აქვს თუ არა შანსი იმისა, რომ მომდევნო ოთხ წელიწადში ქვეყნის ეკონომიკა გააორმაგოს?

- საქართველოს ეკონომიკას აქვს იმის პოტენციალი, რომ 100 პროცენტით გაიზარდოს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება მაქსიმალური საერთაშორისო მხარდაჭერა. შიდა რესურსით, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, ეკონომიკის 100 პროცენტით ზრდა პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ თუ ამას დაემატება საერთაშორისო ინვესტიციები, კონტაქტები, ტექნოლოგიები, რესურსი, გასაღების ბაზარი... ბევრი კომბინაციის ერთად შემუშავებით იქნება შესაძლებელი 100-პროცენტიანი ზრდის მიღწევა. თეორიულად, საქართველოს ეკონომიკას აქვს იმის შესაძლებლობა, რომ წლიურად 20-20 პროცენტითაც გაიზარდის, თუმცა, პრაქტიკაში ეს არ არის დამოკიდებული მხოლოდ იმაზე, თუ ვინ იქნება ხელისუფლებაში. აქ საჭიროა, ასევე, ბიზნესის ძალიან აქტიური ჩართულობა, მოსახლეობის ძალიან აქტიური პოზიტიური ჩართულობა, ანუ კვალიფიკაციური კადრების მიწოდება ბაზარზე, სადაც საჭირო იქნება ასევე, კავშირები საზღვარგარეთის ბაზრებთან, ამ საქონლის გასატანად. ზოგადად, ჩვენი ეკონომიკის სტრუქტურის შესაცვლელად დაგვჭირდება ახალი ტექნოლოგიები და ახალი რესურსი. თუ ამ ყველაფერს ვინმე მოახერხებს, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იქნება, რომ მომდევნო ოთხ წელიწადში ქვეყნის ეკონომიკა 100 პროცენტით გაიზარდოს.

- როგორც დარგის სპეციალისტს, რა რეკომენდაციები გექნებოდათ ხელისუფლებასთან?

- თავისუფლებისა და მხარდაჭერის ის ხარისხი, რაც დღეს ქართულ ბიზნესს აქვს, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ აქამდე არც ერთი ხელისუფლების პირობებში არ ჰქონია. ერთს კი აუცილებლად ხაზს გავუსვამდი, - ეს რეკომენდაციაც არ არის, უფრო ვალდებულებაა, რაც ცალმხრივად ვერ მოხდება, მაგრამ რაც შეიძლება სწრაფად არის გადასატვირთი ურთიერთობები ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან. მათთან თანამშრომლობით, გაცილებით სწრაფი ტემპებით გვაქვს უკეთესი შედეგის მიღწევის საშუალება, ვიდრე მათთან კონფრონტაციაში, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ცალმხრივი პროცესი არ არის. საქართველოს თავისი ინტერესებიც აქვს და ეს ინტერესები აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული. გადატვირთვა ვერ მოხდება და არ უნდა მოხდეს მხოლოდ ცალმხრივად, მხოლოდ უცხო ქვეყნების მოთხოვნების დაკმაყოფილების ხარჯზე. თუმცა, საბოლოო ჯამში, გადატვირთვა აუცილებელია, ამას ვერ გავექცევით. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იქნება საქართველოს ეკონომიკისთვის, შემდგომ წლებში ზრდისა და განვითარების კუთხით.

ნონა ქარქაშაძე

რუსეთისთვის სანქციები? გამოვიხმოთ „ტყვიაგაუმტარი ბერი“!

ფლორიდაში როგორ არიან და იმ ფლორიდაში დატრიალებული ქარიშხლის შედეგებს განიცდიან თუ არა ბუჟუმბურაში, ახლა ვარკვევ, მაგრამ რუსეთს ყველა შემთხვევაში უნდა დავუწესოთ სანქციები! — სად ერეკლე და სად ჩემი ყურებიანი ქუდიო, ასე გამოვიდა, მაგრამ ასე ვხედავ მე „მსოფლიო საზოგადოებას“ და შესაბამისად, ვურევ!

სანქციებსაც გააჩნია — სანქციები უნდა იყოს მტკიცე, მყარი და ყველაფრისგაუმტარი!

ამისათვის საჭიროა, რომ ჩინეთიდან დროულად გამოვიხმოთ „ტყვიაგაუმტარი ბერი“.

დავაზუსტებ და მოგახსენებთ — ჯერ სანქციები უნდა დავაწესოთ და მერე ტყვიაგაუმტარი ბერი გამოვიხმოთ და შუაში აუცილებლად სი ძინპინი უნდა ჩავურთოთ, თუ კავკასიონზე ამირანის გვერდზე მოყოლებით უნდა მივაჯაჭვოთ კრებსითი ლომჯარიები და მერე ვიმსჯელოთ მათ გვერდზე იდი ამინის ფოტოს გაკვრაზე — ყველა ვარიანტში სანქციები უნდა დავუწესოთ რუსეთს!



გუნდი თუ ვარგა, უსაშველო პრობლემა არ არსებობს, ყველაზე მავნებლური იდეის დაბადებამდე ყველა წინააღმდეგობა გადალახულია, მაგრამ ქალს რომ არაფერი აინტერესებს და შუა გამრავლების პროცესში მზესუმზირას შეექცევა, ასეთი პრასტიტუტკაა ის რუსეთი, რომლის დასანქცირებასაც ჩვენგან ითხოვენ და ნეტავ, მერე რანაირად წარმოვუდგენივართ საქართველო წარმოსახვაში?

ბივჯოოო, მთელი გაერთიანებული დასავლეთი ასანქცირებს და ამდიდრებენ იმ რუსეთს და ჩემგან რა უნდათ, ნეტავ, ამ პაწკუნია საქართველომ ან რა უნდა დააკლოს რუსეთის ეკონომიკას, ან რა უნდა მიუმატოს იმდენი, რომ სულაც, გამოჩნდეს?

არ მინდა პროცენტულ მაჩვენებლებზე გადასვლა, მსოფლიო ეკონომიკის შესახებ არ ვწერ, თორემ რუსეთის დასანქცირებით ვინ რა ჩიტი დაიჭირა, ამას მსოფლიო სტატისტიკური ორგანიზაციები აჟღერებენ უწყვეტ ნაკადად თვეებისა და წლების მიხედვით.

ეს ძალიან მკაცრი გენიოსები ე. წ. დასავლეთიდან, — მესამე ქვეყნებიდან ყიდულობენ მათთვის აუცილებელ რუსულ პროდუქციას გასამმაგებულ ფასში, თვითონ ზარალობენ, რუსეთს და კიდევ ვიღაცებს ახეირებენ და ახლა, თვითონ რომ იხრჩობა, მე მებღაუჭება, ჩემთან ერთად, დაიხრჩვი შენცო...

გადმომდგარან ახლა უკვე ევროკავშირის აივნიდან და დაგვძახიან:

ცუდო საქართველო, დაუწესე სანქციები ცუდ რუსეთს და შენ გახდები კარგი!

ცუდო საქართველო, ეომე მაგ ცუდ რუსეთს, თორემ ჭვინტი რომ შემოგაყოფინე ჩემთან, მაგ ფეხს სულაც მოგამტვრევო.

არ უნდა მშვიდობის დათმობა, ყურსმიღმა ატარებს კრებსითი დასავლეთის ისტერიულ კრუნჩხვებს საქართველოს გონიერი მმართველი გუნდი; არ ესმის „ქართულ ოცნებასა“ და ჩემს საქართველოს ომის დიდებულების არსი და ძალაა?

კაცო, რუსეთს, ბოლო-ბოლო მე დავუწესებ სანქციებს და ჩამოშლი მის ეკონომიკას. მაგალითად, ასე — „ლიბრეში“ რომ „ციმბირული პელმენებია“ თანაც ფასდაკლებით, სულაც არ ვიყიდი, წავალ და ხინკალს შევჭამ — ციმბირი არა, ულან-უდე, აქაურია, მაგრამ ასე ჰქვია...

ხვალ დილას რომ გავალ, ჩემს ეზოში მდგმურად მყოფ მარიას „ზდრასტწე-ს“ რომ ვეტყვი და ის დამიბრუნებს „დილა მშვიდობისაო“, ევროაქლემის ვარიანტში ჯიგრიანად შევაფურთხებ და სანამ ის იმ ფურთხს მოიწშენდს, დავაყოლებ „სუკა!“

მერე, დავუყვები ღიღინით ჩემს უბანს და ვიქნები ბედნიერი — ჩავთვლი, რომ კუბილიუსები და მისი და-ძმები მლოცავენ და ნელ-ნელა ცად ავმაღლდები.

მერე წარმოვიდგენ, რა ბედნიერება იქნებოდა ევროკავშირის წევრობა, რომელიც თავზე ჩამომეფშვნა და ვიტირებ სანზონაში. იქ ერთი დიდებული ხეა, ახლომახლო მცხოვრებლები „ციროზის“ ხეს უწოდებენ — აი, იმ ხის ქვეშ დავჯდები და ვინაღვლებ, რომ ციროზი არ მაქვს და არც არასდროს მექნება...

ბარემ, იქვე ავივლი, მე-8 საავადმყოფოში და ყბა-სახის ქირურგის, აწ გარდაცვლილი ექიმის სულს გამოვითხოვ, რომელსაც სამედიცინო ინსტიტუტი მოსკოვში ჰქონდა დამთავრებული და დისერტაციაც იხრჩობა, მე მებღაუჭება, ჩემთან ერთად, დაიხრჩვი შენცო...

გადმომდგარან ახლა უკვე ევროკავშირის აივნიდან და დაგვძახიან:

ცუდო საქართველო, დაუწესე სანქციები ცუდ რუსეთს და შენ გახდები კარგი!

ცუდო საქართველო, ეომე მაგ ცუდ რუსეთს, თორემ ჭვინტი რომ შემოგაყოფინე ჩემთან, მაგ ფეხს სულაც მოგამტვრევო.

არ უნდა მშვიდობის დათმობა, ყურსმიღმა ატარებს კრებსითი დასავლეთის ისტერიულ კრუნჩხვებს საქართველოს გონიერი მმართველი გუნდი; არ ესმის „ქართულ ოცნებასა“ და ჩემს საქართველოს ომის დიდებულების არსი და ძალაა?

ეიფელის კოშკსაც ვნახავ და გადავიანგარიშებ, ნავთლუღის აღმართზე, სურიკასთან, ჯართად ჩაბარებაში რამდენს გადამიხდიან-მეთქი — განა რამე, მაგრამ გი დე მოპასანის მოთხრობილი ამბები მომწონს და მის სულს გავახარებდი. საწყალი გი დე, რომ მოშიოდებოდა, შუა პარიზში სად ეჭამა, აღარ იცოდა და კოშკის შუკუმაშიღა ძვრებოდა, რომ ეიფელის ჯართი-კოშკი არ დაენახა.

ვიფიქრე, პარიზიდან ფიგერასში წავალ, სალვადორ დალის სახლში მივალ, საძებარი არ მექნება მისი საფლავი, თავისივე ეზოშია დასაფლავებული და რაღაც ამბებს გამოვკითხავ-მეთქი. მე ხომ მიცვალებულებთან კომუნიკაციის პრობლემა არ მაქვს — უამრავ ადამიანს ვეკონტაქტები, თავი ცოცხალი რომ ჰგონიათ, მაგრამ კარგახნის გარდაცვლილები არიან. აბა, როგორ არ ვკითხავდი, „ახალი ადამიანის დაბადება“ რომ დახატა, იმავეს ფიქრობდა, რასაც მე ვფიქრობ და იმიტომ მიანიშნებს ჰერმაფროდიტი არსება კავკასიაზე? სვანური კოშკი რაღა მოსკოვში დაიცვა. რომ მეტყვიან, აბა, საიდან მოგიყვანოთ, კაცი ამ ქვეყნად აღარააო? მე ვეტყვი, იმან რომ კინაღამ ყბა ამახია სიბრძნის კბილიანად, კაი იყო-მეთქი? — იმათაც შევაფურთხებ ევროპულად და წამოვალ.

მე კი შევაფურთხებ, მაგრამ ისინი რომ ვერ მიხვდებიან, იმ მომენტში ევროპელი აქლემი რომ ვიყავი, ამის გამო ვიღაცას ხომ უნდა მივაკითხო?

დარდი მომკლავს!

სადარდებელი არ მაქვს თუ რა?

ვიფიქრე — შევძვრები ევროკავშირში, იშტოიანს კი არა, რა ჰქვია იმას — ნუ, მოკლედ ბრიჯიტ ბარდოს ვნახავ-მეთქი;

ეს მეომარი ერი, რომელიც შუაში იყო, სად ნახა, არ უნდა მეკითხა?

გეოგრაფიული მდებარეობით წაღმა-უკუღმა გამოდის, მაგრამ ქართველი ევრომოქალაქე ვიჯუნავებდი სწორედაც რომ არეულად, სხვაგვარად როგორ შევიგრძნობდი ევროსიდიადეს? სწორედ ამიტომ, აუცილებლად ჩავირბენდი გერმანიაში. ჰიტლერის ნეშტს მე რას მივაგნებდი, კგბ-მ გააცამტვერა, მაგრამ მაინც არ მოვისვენებდი, ვესტფალიის ციხე-სიმაგრეში მივიდოდი და იქ წავუძინებდი ფიურერის გამჭვირვალე ზმანების მოსვლამდე. იმდენი ჭორ-მართალი გავრცელდა, იმას მაინც გავიგებდი, მართლა მოკვდა და ნამდვილად მისი ფერფლი მოაბნიეს მდინარე ბიდერეცზე, თუ ბუნებრივი სიკვდილის დადგომამდე მართლა ვესტფალიის ციხესიმაგრეში ცხოვრობდნენ ის და ევა ბრაუნა...

ცნობილი ამბავია, რომ ჰიტლერს სასწაულად უყვარდა ჟურნალისტებთან ურთიერთობა, შეეძლო, საათობით ელაპარაკა მათთან და რაღა მე დამამადლიდა შეკითხვებზე პასუხს თუნდაც მისი ფანტომი?

საუკუნეებია, ისეთი მტრებისგან ვსხლტებით ან ვებრძვით, ათჯერ მეტნი რომ არიან ჩვენზე, ახალი ტაქტიკით კი სადღაც მივდივართ მელჯიგვურად, — „მხოლოდ ღირსებით და მშვიდობით“. რომელ ევროპულ ოჯახში მივდივართ, ნეტავ, ეს გამაგებინა და მეტი არაფერი მინდა!

ჭიტლავ! — და დაგვისვეს მრავალწერტილი...

რა საცოდავები არიან, ძახილის ნიშანთან ერთად წერტილიც დაესვათ ბარემ, მაგრამ არა და ვერა, ეს პატარა საქართველო დიდ სატკივრად ექცათ. საქართველო იმ იდუმალ მაგიურ ბურთად იქცა, შიშით ხელს რომ ვერ ჰკიდებენ, კიდევ უფრო უარესი, რაღაც წარმოუდგენელი საშინელება არ დავატრიალოთ შეხებითო...

ახლა იმას ვფიქრობ, რატომ არ ვუყვარვართ „ძალიან წინწასულებს“ კონკრეტულად ქართველები, ეს სამმილიონშვიდასათასიანი ერთი ბეწო ხალხი, რა იყო, ვირი „მოვუკალით“, გველი შევუწვით თუ შუა საუკუნეების რაინდი განვუძარცვეთ?

არ ვიცი, მაგრამ უინტეგრაციოდ და განუვითარებლებად რომ დავრჩით და გაურკვეველი დიადი მომავალი რომ ჩამოგვიქვეითდა, კი ვხედავ.

ოო, რა რისხვით მობრუნდა ცარგვალი ჩვენს თავზე! — დიდი და წითელი ვირი კი დაეცეთ, აი! მართალია, წითელი ვირი არ მინახავს, მაგრამ საინტერესო იქნებოდა მისი ვარდნისგან გამოწვეული შედეგები...

აფსუს, რა ნასუფრალი დავკარგეთ!

ვიქნებოდით მშვენივრად ქართველი ევროპელები თუ ევროპელი ქართველები და ჩვენ მიერვე მიცემული პურ-ღვინოდან ნაღმურძლს რომ დაგვიბრუნებდნენ გამოსახვეტად, ბედნიერად შევექცეოდით – ეს რა „ნათელი მომავალი“ გამოგვეცალა ხელიდან!

უპირველესად იმაზე გამცეს პასუხი ყველა სხვაგვარად მოაზროვნემ, რატომ დატოვა დიდმა ბრიტანეთმა, ევროკავშირის ერთ-ერთმა ძლიერმა დამფუძნებელმა თავის მიერვე დაარსებული რაღაც კავშირი და მერე ვილაპარაკოთ. დო-დან სი-მდე, სულ შვიდი საფეხურია. ბიჯოს!

ზურა ოუხერელი

ახლო აღმოსავლეთში გაეროს დროშა უნდა ფრიალებდეს!

დღევანდელი მსოფლიოს მომავლის ბედი ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებზეა დამოკიდებული. არავინ იცის როგორ განვითარდება მოვლენები რეგიონში, სადაც უკვე სისხლისმღვრელი საბრძოლო მოქმედებები, საკმაო ხანია, რაც გაჩაღებულია.

სამწუხაროდ, შესაძლებელია ახლო აღმოსავლეთში ფართომასშტაბიანი ომის აგიზგიზება თუ ისრაელი და ამერიკის შეერთებული შტატები ირანზე განახორციელებენ შეტევას, რისი ალბათობაც დიდია.

უკვე ერთი წელი გავიდა პალესტინის მოძრაობა „ჰამასის“ მებრძოლების მიერ ისრაელის მშვიდობიან მოსახლეობაზე განხორციელებული ტერაქტიდან. სწორედ ეს გახდა მიზეზი ისრაელის არმიას ღაზას სექტორში დაეწყო სამხედრო ოპერაცია, თუმცა შარშან, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ აცხადებდა, რომ მათი მიზანი „ჰამასის“ განადგურება და მძევლების განთავისუფლება იყო, სამხედრო ოპერაცია კი, მალე დასრულდებოდა. სამწუხაროდ, საბრძოლო მოქმედებები დღემდე მიმდინარეობს, უფრო მეტიც, გასცდა ღაზას სექტორის ფარგლების და ლიბანის ტერიტორიაზე გადაინაცვლა.

ღაზას სექტორში მშვიდობიან მოსახლეობაში მხვერპლი დიდია. დაღუპულთა რაოდენობამ უკვე 40 000-ს გადააჭარბა. ლიბანში სამხედრო ობიექტებთან ერთად, იბომბება მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები, მათ შორის ბეირუთის ცენტრში. ისრალის სამხედრო მეთაურები თავს იმართლებენ, „ჰესბოლას“ მებრძოლები, რომელთაც ისინი ებრძვიან, საცხოვრებელ სახლებში არიან განლაგებულები და იქიდან ახორციელებენ შეტევებს ისრაელზეო.

როგორც ცალკეული დასავლელი სამხედრო ექსპერტები აცხადებენ, ისარელის არმიის მოქმედება სამხედრო დანაშაულში გადაიზარდა როგორც ღაზაში, ასევე ლიბანში.

სააგანეტო „ფრანს პრესის“ ინფორმაციით, გასულ კვირას, ისრაელის სამხედროებმა ლიბანის იმ ტერიტორიებს შეუტიეს, სადაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო ძალებია განთავსებული, დაიბომბა გაეროს ბაზა. დაჭრილია „ცისფერჩაფხუტიანების“ მეთაური, რომელსაც ქირურგიული ჩარევა დასჭირდა.

„ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა მოგვთხოვეს, რომ დაგვეტოვებინა ჩვენი პოზიცია და გავსულიყავით, თუმცა ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ დავრჩენილიყავით ჩვენს ტერიტორიაზე, იმიტომ, რომ არნიშნულ რეგიონში უნდა ფრიალებდეს გაეროს დროსა“, — განუცხადა „ფრანს პრესს“ გაეროს სამშვიდობო ძალების ოფიციალურმა წარმომადგენელმა ანდრეა ტენენტიმ. მისივე განცხადებით, ისრაელისა და „ჰესბოლას“ შეიარაღებული დაპირისპირება შესაძლოა ფართომასშტაბიან რეგიონულ ომში გადაიზარდოს, რაც ყველასთვის კატასტროფული შედეგით დასრულდება.

სამშვიდობო ძალებზე შეტევამ შეაშფოთა თვით ისრაელის უახლოესი მოკავშირე ქვეყნების მეთაურები. საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა მკაცრად გააკრიტიკა ისრაელის მხარე — „დაუშვებელია, რომ გაეროს სამშვიდობო ძალები ისრაელის არმიის სამიზნე გახდეს! ჩვენ ამას ვერ მოვითმენთ! საფრანგეთი მოგიწოდებთ ისრაელისთვის შევწყვიტოთ იარაღის ექსპორტი. ყველამ კარგად ვიცით, რომ ეს ერთადერთი ბერკეტია კონფლიქტის დასასრულებლად.“ იქვე დამაატა, რომ იგი არ გულისხმობს ისრაელის სრულ განიარაღებას. მაკრონის განცხადებით, სამშვიდო ძალებში, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში არიან განლაგებული, 700 ფრანგია.

ისრაელის შეტევები ლიბანზე და „ჰესბოლას“ საპასუხო სარაკეტო დარტყმები ყოველდღიურ მოვლენად იქცა. გასულ კვირას, „ჰესბოლამ“ განახორციელა სარაკეტო შეტევა ისრაელის არმიის შტაბზე, რომელიც ქალაქ სფედში მდებარეობს — დაიჭრა 60-მდე და დაიღუპა 4 სამხედრო მოსამსახურე, ქალაქში საჰაერო განგაში არ გამოუცხადედბიათ. საჰაერო დაცვას გამოეპარა შეტევა

დასავლელი ექსპერტების განცხადებით, ისრაელი უკვე „ორივე ფეხით“ ჩაერთო ომში, საიდანაც ვეღარ გამოდის. თუ ამ ომში ირანიც ჩაერთვება, უნდა ესმოდეს, რომ ვეღარ შეძლებს ბრძოლების წარმოებას, მას მხოლოდ ერთი ფაქტორი გადაარჩენს — აშშ-ის ჩართვა ირანის წინააღმდეგ, ეს კი მესამე მსოფლიო ომს გამოიწვევს.

საიდუმლო აღარავისთვისაა, რომ ისრაელი და აშშ აქტიურად განიხილავენ ირანზე შეტევას. რეგიონში უკვე იმყოფებიან აშშ-ის ავიამზიდები.

გამოცემა „ეკონომისტი“ ავრცელებს ინფორმაციას, რომ ისრაელი განიხილავს ირანზე შეტევის რამდენიმე ვარიანტს, ემზადება ძლიერი დარტყმისთვის და ირჩევენ სამიზნეებს.

ნეთანიაჰუ ითხოვს, თავდაპირველად შეტევა განახორციელონ ურანის გამამდიდრებელ ობიექტებზე, თუმცა მათ გასანადგურებლად დიდი რაოდენობით რაკეტები დასჭირდებათ, რადგან ბევრია და ირანის სხვადასხვა რაიონებში არის განთავსებული, ამასთან, საკმაოდ ძლიერად არიან დაცულები.

ისრაელელი სამხედროები ხელმისაწვდომად მიიჩნევენ ირანის საზღვაო პორტებზე შეტევას რამეთუ საზღვაო ინფრასტრუქტურის განადგურება მნიშვნელოვნად დაუზარალებს ქვეყანას. განიხილავენ ასევე ირანის ხელისუფლების და ლიდერების განადგურებას.

ტელეკომპანია „ენ-ბი-სი“ გასულ კვირას იუწყებოდა, რომ ისრაელი ირანზე შეტევას 12 ოქტომბერს განახორციელებდა. სიუჟეტის ავტორი ამტკიცებდა, რომ სამიზნეები სამხედრო და ენერგო-ობიექტები იქნებოდნენ და არა ირანის ხელისუფლების წარმომადგენლები და ბირთვული ობიექტები. ავტორმა ინფორმაციის წყაროდ ამერიკელი ანონიმი ჩინოვნიკი დააასახელა, თუმცა ინფორმაცია ცრუ აღმოჩნდა.

ირანის ხელისუფლებამ არაბულ ქვეყნებს ისრაელთან დისტანცირებისკენ მოუწოდა. ასევე, გაავრცელდა განცხადება, რომ განახორციელებს სამხედრო შეტევას აშშ-ის მოკავშირე იმ ქვეყნებზე, რომლებიც გამოყენებული იქნება ირანზე შეტევისთვის, საამისოდ დაუთმობენ ტერიტორიებს ან საჰაერო სივრცეს.

გამოცემა „უოლსტრიტ ჟურნალის“ ინფორმაციით, იორდანიამ, ყატარმა, საუდის არაბეთმა, არაბეთის გაერ|თიანებული საემიროების ხელისუფლებამ, სადაც განთავსებულია აშშ-ის სამხედრო ძალები, ოფიციალურად გააფრ|თხილეს თეთრი სახლის ადმინისტრაცია, რომ არანაირი სურვილი არ აქვთ დაუთმონ თავიანთი ტერიტორიები და საჰარეო სივრცე, ასევე სამხედრო ინფრასტრუქტურა ირანზე შეტევისთვის.

გაითვალისწინეს რა სექტემბრის თვეში ლიბანში ისრაელის დაზვერვის მიერ მოწყობილი „პეიჯერების აფეთქებები“, ირანის სამოქალაქო ავიაციამ აკრძალა თვითმფრინავების ბორტზე ნებისმიერი ელექტრო-მოწყობილობების შეტანა –გადაზიდვა, გარდა მობილური ტელეფონებისა,

გასულ კვირას, თურქმენეთში გაიმართა ფორუმი სახელწოდებით „ურთიერთკავშირი დროსა და ცივილიზაციებში — საფუძველი მშვიდობისა და განვითარების.“ ღონისძიება იმითაც გახდა აქტუალური, რომ მონაწილეობის მისაღებად, აშხაბადში ჩავიდნენ რუსეთის პრეზიდენტი, ვლადიმირ პუტინი, მისი ირანელი კოლეგა მასუდ პეზეშკიანი და კიდევ სხვა ქვეყნების მეთაურები. ახლადარჩეული ირანის პრეზიდენტი პირველად შეხვდა რუს კოლეგას — პირისპირ ხანგრძლივი შეხვედრის დეტალების შესახებ ინფორმაცია, არ გავრცელებულა. ცნობილი გახდა პეზეშკიანის წინადადება: „რუსეთმა უნდა ითამაშოს აქტიური როლი სიონისტური (ისრაელის) რეჟიმის მიმართ, რასაც ახორციელებენ ქალებისა და ბავშვების მიმართ.“ მისივე თქმით, ისრაელი არაფრად აგდებს საერთაშორისო სამართლისა და ჰუმანიტარულ ნორმებს.

პუტინის პასუხები უცნობია, თუმცა პეზეშკიანმა თურქმენეთში, ბრიფინგზე, ისრაელის ხელისუფლებას მოუწოდა რომ შეწყვიტოს ლიბანსა და ღაზაში უადანაშაულო ადამიანების ხოცვა და მათი საცხოვრებლების დაბომბვა.იქვე ხაზგასსმი|თ აღნი|შნა, რომ ისრაელმა არაერთხელ დაარღვია ყველა საერთაშორისო შეთანხმება, რამდენადაც იქაურ ხელისუფლებას აქტიურად უჭერს მხარს აშშ-ის ადმინისტრაცია და ევროკავშირი.

ისრაელის ტელევიზიები წყაროს დაუსახელებლად იტყობინებიან, რომ აშშ მათ ქვეყანაში განათავსებს უახლესი ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო დანადგარებს, რომლებიც შეძლებენ ბალისტიკური რაკეტების მოგერიებას. ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ტექნიკას აშშ-ის სამხედროები გაუწევენ მომსახურებას.

საინტერესო განცხადება გააკეთა პოლონეთის პრემიერმ-მინისტრმა დონალდ ტუსკმა: „თუ ვინმეს სურვილი აქვს ჩამოვიდეს პოლონეთში საცხოვრებლად, სასწავლებლად, პატივი უნდა სცეს ჩვენს სტანდარტებს, პოლონურ ადათ-წესებს“. მისივე თქმით, პოლონეთში შემუშავებული აქვთ მიგრაციის ახალი პლატფორმა.

ევროკავშირში ტუსკის განცხადებაზე კომენტარი არ გაუკეთებიათ, სამაგიეროდ, საქართველოს გვიქნევენ თითს ქვეყნის ინტერესების დაცვისთვის...

არანაკლებ სენსაციური განცხადება გააკეთა იაპონიის პრემიერმა სიგირე ისიბამ, რომელმაც აშშ-ს შეახსენა ხიროსიმა და ნაგასაკი, სადაც ატომური ბომბები გამოიყენეს და,რომლის შესახებაც, ათწლეულებია, იაპონიის მმართველებს არაფერი უთქვამთ.

წინასაარჩევნო კამპანია გრძელდება აშშ-ში. დემოკრატები მაქსიმალურად ცდილობე, რომ უხერხული სიტაციებიდან გამოიყვანონ კამალა ჰარისი, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებენ — ფაქტია, რომ ამ ქალბატონს სუფლიორის გარეშე მეტყველება არ შეუძლია.

ერთ დროს დიდი ბრიტანეთიც „შაგრენის ტყავივით“ დნება. გასულ კვირას, ბრიტანეთის მეფე კარლ III-მ განაცხადა, რომ წინააღმდეგი არ არის ავსტრალია გახდეს რესპუბლიკა და გავიდეს სამეფოს მფარველობისგან.

მოკლედ რომ ვთქვათ, მსოფლიოში არასახარბიელო ვითარებაა...

გია ბურდული

„მატროსოვის“ სევდა

ნაციონალური ხელისუფლების სათავეში დაბრუნება ისევე საშიშია, როგორც ფაშიზმის ხელახლა დაბადება მსოფლიოში

„ნაციონალური მოძრაობის“ საშინელ რეჟიმზე ბევრი დაიწერა, კიდევ ბევრიც დაიწერება, მაგრამ ახლა, როცა იგივე რეჟიმის „შემოქმედები“ კვლავ ხელისუფლებაში მოსვლას ცდილობენ, სამართლიანი იქნება, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ „მატროსოვის ციხის“ სახელით ცნობილი ციხე-კოლონია, სადაც არაერთი პატიმარი ქალი იხდიდა სასჯელს და თავისი შინაარსით არაფრით განსხვავდებოდა მეორე მსოფლიო ომის დროინდელი გერმანული საკონცენტრაციო ბანაკებისგან.

ქვემოთ მოთხრობილი ერთი პატიმარი ქალბატონის ამბავი, რომელსაც რაღაც დროის მონაკვეთში, როგორც ადვოკატი ვიცავდი, სრულად წარმოაჩენს მაშინდელი ნაციონალური ხელისუფლების ბოროტებას.

ერთხელ მეგობარმა კოლეგამ მთხოვა, ქალთა ციხის კოლონიაში შევსულიყავი. ვერ ვიცლი, პროცესები მაქვს და ერთ ჩემს პატიმარ ქალბატონს სააპელაციო საჩივარზე ხელი მოაწერინეო. უარი ვერ ვუთხარი, რადგან თავისუფალი დრო ნამდვილად მქონდა. ჩემი საადვოკატო პრაქტიკის განმავლობაში ქალთა კოლონიაში პირველად მიწევდა შესვლა. ამასთან, ჩემი მეგობრის ბოლო წინადადებამ ძალიან დამაინტრიგა, ერთი მიწის ნაკვეთის დავის გამო ყოფილი გამომძიებელი ქალბატონი ციხეში ზის, არადა, სუფთა სამოქალაქო საქმეაო. პატიმრის სახელი და გვარი საქმიან წიგნაკში თვალსაჩინო ადგილზე ჩავიწერე და მომავალი დღისათვის განვეწყვე.

„მატროსოვის“ ქალთა საპატიმრო არაფრით იყო გამორჩეული, მხოლოდ ადვოკატებთან შეხვედრის ოთახების სივიწროვემ და მოშსახურე პერსონალი ქალების ცივმა მზერამ ერთიორად დამთრგუნა. განსაკუთრებით იმ დიდი რკინის კარმა, რომლის ყოველი დახურვა-გაღება განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევდა.

ბოლთის ცემით მოუთმენლად ველოდი ყოფილ გამომძიებელ ქალბატონთან შეხვედრას. მოულოდნელად ქალბატონმა შემოაღო ოთახის კარი, რომელსაც ხელში დოკუმენტების დასტა ეჭირა. ეს იყო საშუალო სიმაღლის, სამოც წელს გადაცილებული, შავით შემოსილი მანდილოსანი, რომელმაც უცხო ადამიანის დანახვით გაკვირვებულმა მითხრა: მე მარინა ვარ (პატიმრის სახელს და გვარს შეგნებულად არ ვასახელებ), თქვენ ვინ ბრძანდებით? როდესაც ვუპასუხე, რომ დღეს მისი ძირითადი ადვოკატის მაგივრობას ვწევდი, ცოტა ეწყინა - არ ვიცოდიო. მერე აჭარელი ქალბატონისთვის დამახასიათებელი იჭვნეული მზერით მკითხა, მაშინ პრობლემა ხომ არ არის, მისთვის რაღაცის გადაცემა რომ გთხოვოთო.

- არა, რა თქმა უნდა, - ვუპასუხე მე. მცირე ხანს სიჩუმემ დაისადგურა, მყუდროება ისევ „მასპინძელმა“ დაარღვია. ყოფილ გამომძიებელს არ გამოჰპარვია მაგიდაზე დახვავებული ფურცლებისკენ გაპარებული სტუმრის მზერა...

- ალბათ, იცით ჩემი ამბავი. მე აჭარელი ვარ, ბათუმში გამომძიებლად ოც წელზე მეტი ვმუშაობდი. არ მომწონდა ამ ხელისუფლების მუშაობის სტილი. ყოველთვის ვაპროტესტებდი სამსახურში, რომ გამოძიებას არ უნდა დაკარგვოდა ფუნქცია და რომ პროკურატურისაგან დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო. სწორედ ამიტომ, ჩემი მამაპაპისეული ქონების სამოქალაქო დავა მეზობელთან სისხლის სამართლის საქმეში გადაზარდეს და დამიჭირეს. ჩემს საქმეს რომ გაეცნოთ, გაოცდებით, იმდენი დარღვევაა. ყოველდღე ვეკითხები საკუთარ თავს, რა დავაშავე, ნუთუ კვალიფიკაცია არ მყოფნის?

- დამშვიდდით, ქალბატონო მარინა. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ თქვენ ისეთი შემართებით ხართ, საკუთარ თავს ბოლომდე დაეხმარებით, - ვუპასუხე მე

- ჭკუას ვკარგავ, - განაგრძო თხრობა, - ფაქტები არ არის და ადამიანს იჭერენ. მხოლოდ ერთი კაცის ჩვენება საკმარისია? იურისტებისთვის, რომ იცოდე, ციხე მეორე სახლია. ეს უბრალო მოქალაქისთვის არის უცხო, თორემ ხომ იცი, ჩვენ ნახევარ ცხოვრებას პატიმრებთან ვატარებთ, - ცოტა ხუმრობის ხასიათზეც დადგა ყოფილი გამომძიებელი.

— მართლაც საინტერესოა ჩემი საქმის დეტალები. წარმოგიდგენიათ, სამოქალაქო საქმე სისხლის სამართალში როგორ გადაზარდეს? ჩემი მოშორება სურდა ადგილობრივ ხელისუფლებას. სამართლიანი გამომძიებელი ვიყავი და „ბაბუინს“ მეძახდნენ. ასეთი იყო მათი სურვილი, სხვანაირად ვერ გამაჩერეს, პირზე ბოქლომი ვერ დამადეს. ახლა ერთი რამ მაფიქრებს, ერთ კვირაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვაა დანიშნული. სასაცილოა, თურმე ზიანი მიმიყენებია მეზობლისთვის და პატიმარ ქალს თანხა აქეთ უნდა დამაკისრონ...

აი, ჩემი პოზიცია. ნახეთ, რასაც ვწერ, - ქალბატონმა მარინამ რამდენიმე ფურცელი მომაწოდა, სადაც არაერთი შეკითხვა მოემზადებინა სასამართლოსთვის, რაც ლოგიკურადაც მთლიანად ცვლიდა ბრალდებას - რომ მომიჯნავე მეზობლის ნაკვეთებს შორის საზღვრების გადაფარვა დანაშაული არ არის !

- ქალბატონო მარინა, შეიძლება ქუთაისში იმ პროცესზე მეც მივიღო მონაწილეობა? - ვკითხე მე

- რა პრობლემაა, პირიქით, - მიპასუხა იმედმოცემულმა ქალმა.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა .

- რამდენი ხანია, ოჯახს ვერ ვუკავშირდები. აქ ისეთი რიგებია ტელეფონებთან...

- თქვენმა მეგობარმა დაურეკოს ჩემებს და შეატყობინოს, რომ კარგად ვარ.

მოულოდნელად მეზობელი ოთახიდან გამაყრუებელი ყვირილის ხმა შემოგვესმა.

- დაწყნარდი, დაწყნარდი, - გვერდით საკნიდან გარკვევით ისმოდა მამაკაცის ხმა, რომელიც პატიმარ ქალს ამშვიდებდა: - აბა, როგორ გინდა, სხვანაირად არაფერი გამოვა, მოაწერე საპროცესოს ხელი და გათავისუფლდები.

- არავითარ შემთხვევაში! - ლია. ეს უბრალო მოქალაქისთვის არის უცხო, თორემ ხომ იცი, ჩვენ ნახევარ ცხოვრებას პატიმრებთან ვატარებთ, - ცოტა ხუმრობის ხასიათზეც დადგა ყოფილი გამომძიებელი.

— მართლაც საინტერესოა ჩემი საქმის დეტალები. წარმოგიდგენიათ, სამოქალაქო საქმე სისხლის სამართალში როგორ გადაზარდეს? ჩემი მოშორება სურდა ადგილობრივ ხელისუფლებას. სამართლიანი გამომძიებელი ვიყავი და „ბაბუინს“ მეძახდნენ. ასეთი იყო მათი სურვილი, სხვანაირად ვერ გამაჩერეს, პირზე ბოქლომი ვერ დამადეს. ახლა ერთი რამ მაფიქრებს, ერთ კვირაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვაა დანიშნული. სასაცილოა, თურმე ზიანი მიმიყენებია მეზობლისთვის და პატიმარ ქალს თანხა აქეთ უნდა დამაკისრონ...

აი, ჩემი პოზიცია. ნახეთ, რასაც ვწერ, - ქალბატონმა მარინამ რამდენიმე ფურცელი მომაწოდა, სადაც არაერთი შეკითხვა მოემზადებინა სასამართლოსთვის, რაც ლოგიკურადაც მთლიანად ცვლიდა ბრალდებას - რომ მომიჯნავე მეზობლის ნაკვეთებს შორის საზღვრების გადაფარვა დანაშაული არ არის !

- ქალბატონო მარინა, შეიძლება ქუთაისში იმ პროცესზე მეც მივიღო მონაწილეობა? - ვკითხე მე

- რა პრობლემაა, პირიქით, - მიპასუხა იმედმოცემულმა ქალმა.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა .

- რამდენი ხანია, ოჯახს ვერ ვუკავშირდები. აქ ისეთი რიგებია ტელეფონებთან...

- თქვენმა მეგობარმა დაურეკოს ჩემებს და შეატყობინოს, რომ კარგად ვარ.

მოულოდნელად მეზობელი ოთახიდან გამაყრუებელი ყვირილის ხმა შემოგვესმა.

- დაწყნარდი, დაწყნარდი, - გვერდით საკნიდან გარკვევით ისმოდა მამაკაცის ხმა, რომელიც პატიმარ ქალს ამშვიდებდა: - აბა, როგორ გინდა, სხვანაირად არაფერი გამოვა, მოაწერე საპროცესოს ხელი და გათავისუფლდები.

- არავითარ შემთხვევაში! - ლის გამოსვენებას არ დამასწრეს, სპეცრაზმის მეშვეობით შვილის ცხედარიდან ამაგლიჯეს და ასე, ძალის გამოყენებით გადამიყვანეს ბათუმის წინასწარი დაკავების საკანში. მათგან უკვე არაფერი გამიკვირდება. რამდენიმე დღის წინ ახალგაზრდა ადვოკატი ქალბატონი მოიყვანეს, თურმე, საცოდავი ფეხმძიმედ ყოფილა. დღემდე ვერ გამოვიდა შოკიდან. იცით, რატომ იჭერენ თანამდებობის პირებს? უნდათ ქვეყანას აჩვენონ, რომ არავის დაინდობენ.

გაოგნებულმა დავტოვე „მატროსოვის“ სახელით ცნობილ ქალთა ციხის კოლონია.

ჩემს თავს არაერთ შეკითხვას ვუსვამდი: ნეტავ, სად ვარ? ნუთუ ახლა ოცდამეერთე საუკუნეა? ლამის ათჯერ გავიქნიე თავი, სიზმარში ხომ არ ვარ-მეთქი. სამწუხაროდ, სახელმწიფოს მიერ სტატისტიკაზე გაცვლილი ამ პატიმარი ქალების ნატანჯი სახეები არაფრით განსხვავდებოდა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკებში მყოფი სუსტი სქესის ებრაელი მსჯავრდებულების სახეებისგან. ერთნი თუ ეთნიკური ნიშნის გამო იდევნებოდნენ, ეს უკანასკნელნი უსამართლობის მსხვერპლად იქცნენ. მიუხედავად იმისა, რომ ნიურნბერგის სასამართლო პროცესის შემდეგ წლებია გასული, როგორც ჩანს, ძალაუფლების მოყვარულმა ხელისუფლებამ საერთაშორისო ისტორიიდან ვერაფერი ისწავლა.

ფაშისტური გერმანიის ოსვენციმის საკონცეტრაციო ბანაკის რეჟიმი თავისი ტრაგიკული კომპონენტებით ერთი-ერთში ჰგავდა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის სასამართლო პროცესს, რომელიც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაიმართა. ვითომ დაზარალებული მხარე სამოქალაქო წესით ბრალდებულისგან ზიანის სახით ფულად კომპენსაციას ითხოვდა. მახსოვს, მე, როგორც ახალბედა ადვოკატი, როგორ გულმოდგინედ ვეცნობოდი საქმის ყველა დეტალს, მაგრამ ზუსტად ვიცოდი, რომ ერთი დიდი აბსურდის თეატრის მონაწილე ვიყავი, სადაც სასამართლო პროცესი მხოლოდ ფორმალური ხასიათის იქნებოდა.

იმ დროს ყველაზე მეტად მანერვიულებდა, რომ ამ პროცესზე ბრალდებულის დაცვა მხოლოდ მე მიწევდა. ჩემმა კოლეგამ სასამართლოში მომავალს ისიც კი მითხრა, სულ ტყუილად გაირჯები, განაჩენი უკვე დამდგარია და ვერაფერს შეცვლიო, მაგრამ რაღაც იმედს მაინც ვებღაუჭებოდი, რომელიც, ჩემი წარმოდგენით გვირაბის ბოლოს მელოდებოდა.

პროცესი გაიმართა. დარბაზში სამი მოსამართლე შემოვიდა. ჩემგან საპირისპირო მხარეს ეგრეთ წოდებული დაზარალებულები ისხდნენ და უმალვე ფორმალური პროცესისთვის განეწყვნენ. ბადრაგმა ქალებმა რამდენიმე იარაღიან მცველთან ერთად შავებით მოსილი ჩემი პატიმარი შემოიყვანეს და დამნაშავისთვის გამოყოფილ ადგილამდე მიაცილეს. კარგად მახსოვს დარბაზში ჩამოვარდნილი უხერხული სიჩუმე. სასამართლო შემადგენლობას ერთ-ერთი ქალბატონი მოსამართლე ხელმძღვანელობდა. არ დამავიწყდება მისი, როგორც ქალის სოლიდარობა, გამოვლენილი ყურადღება და სურვილი იმისა, რომ როგორმე დახმარებოდა უდანაშაულო მსხვერპლს. თუმცა, ამაოდ. კანონის მიხედვით, მისი გადაწყვეტილება ქალბატონ მარინას ვერ გაათავისუფლებდა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, უსამართლო განაჩენი უკვე დამდგარი იყო.

სასამართლოს თავმჯდომარე გულისყურით ისმენდა ჩემს არგუმენტებს, იმას, თუ როგორ უკანონოდ არის დასჯილი ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი და რომ ამ საქმეში არ არსებობდა სისხლის სამართლის დანაშაული. ეს რომ ასე იყო, ამაში მართლმსაჯულება ადვილად დარწმუნდა, როდესაც მოწინააღმდეგე მხარემ ვერაფრით აუხსნა სასამართლოს, როგორ მიაყენა ზიანი ჩემმა დაცვის ქვეშ მყოფმა და ა. შ.

სასამართლო დასრულდა. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი სასამართლო მხარს იჩეჩდა და გვეკითხებოდა, აღნიშნულ არგუმენტებზე გამოძიებაში რატომ არ იმსჯელეთო. ახლა ჩვენ რაღა უნდა ვქნათ, როცა წინ გამამტყუნებელი ვერდიქტი გვიდევსო.

ახლაც მახსოვს, პატიმრის მონოლოგმა სასამართლოზე როგორც იმოქმედა... არცერთ მათგანს საქმის ფურცლებიდან თავი არ აუწევია, უსიტყვო დუმილით უთანაგრძნობდნენ ქალს, რომელსაც შვილის დატირებაც არ აცალეს.

- ვწუხვართ, ძალიან ვწუხვართ, ქალბატონო, - მოსამართლეებმა ამ სიტყვებით გააცილეს დარბაზიდან ქალი, რომელიც ერთ დროს თავად იცავდა სამართალს.

ამ საქმის ისტორიის ბოლო ის არის, რომ ჩემმა დაცვის ქვეშ მყოფმა ახალი ხელისუფლების პირობებში, როგორც ბევრმა სხვამ, საპატიმრო დატოვა და როგორც ვიცი, სამართლიანობის აღსადგენად სტრასბურგამდეც ჩავიდა . მას შემდეგ ის მე აღარ მინახავს. სამაგიეროდ, ქუთაისის სასამართლოს იმავე მოსამართლეებს არ დავიწყებოდათ მისი ამბავი. ერთ-ერთ პროცესზე გაიხსენეს კიდეც და სინანული გამოთქვეს, რომ ვერაფრით დაეხმარნენ.

* * *

მძიმეა ადვოკატის პროფესია, მით უმეტეს მაშინ, როდესაც შენი კლიენტის დასაცავად, ფაქტობრივად, სისტემას ებრძვი. „მატროსოვის ციხის“ სახელით ცნობილი კოლონიის კედლები არაერთი უდანაშაულო პატიმარი ქალბატონის სევდიან ამბავს ინახავს. იმედი მაქვს, დადგება დრო, როცა ყველაფერი გამოაშკარავდება.

და ბოლოს, ამ და სხვა უამრავი ტრაგიკული ისტორიის ფონზე ლოგიკურად შეიძლება დავასკვნათ, რომ ნაციონალური ხელისუფლების სათავეში დაბრუნება ისევე საშიშია, როგორც გერმანული ფაშიზმის ხელახლა დაბადება მსოფლიოში.

ლევან ჭიღლაძე

„თეთრი ქარავანი“, „მაია წყნეთელი“, კეთილი დევი და მე...

(დასაწყისი „სგ“ N32)

უკანა გზაზე მეცხვარეებთან ერთად წამოვედით. უსაზიზღრესი ამინდი იყო, ჟინჟღლავდა, ციოდა და დროდადრო ისეთ სქელ ნისლში ვეხვეოდით, თითქოს რძეში ვიყავით, ერთი მეტრის რადიუსში არაფერი ჩანდა. მე ნინიკოს ვეჯექი ცხენზე, — დედაჩემთან არ მინდოდა, „დიდ გოგოებთან“ მომწონდა, რადგან წარამარა ჭკუას არ მარიგებდნენ. მხოლოდ რაღაც ადგილებში შეგვსვამდნენ ხოლმე ცხენებზე და ისე მივირწეოდით, დანარჩენი გზა ფეხით მივდიოდით — ცხენები არ დაამძიმოთო.

დედაჩემს იალაღზე მიშვებული კვიცივით ვყავდი, გადასავარდნი ადგილი არსად იყო და მეც ხან სად ჩავეტყეპებოდი ფეხაცურებული ტალახში და ხან სად, მაგრამ არ ვიმჩნევდი, ვითომ არც არაფერი მეტკინა და არც მეწყინა, არადა, როგორ არ მტკიოდა, სიმწრის ცრემლებს უხმოდ ვყლაპავდი... იმ ტალახის გემოც მახსოვს, დაცემულმა ნესტოებით რომ შევისრუტე და ყელში ჩამოვიდა...

ალბათ, საოცარი დასანახები ვიყავით — თითქოს ნისლზე ვისხედით ყველანი. რაღაც ჭალაში შევედით და, თვალსა და ხელსშუა გაქრა ნისლი. თავდაპირველად ვერც აღვიქვით, რა დაინახა თვალმა. ჩვენ წინ თვალუწვდენელი იასამნისფერი სივრცე გადაიშალა — იასამნისფერი ტიტების ბუნებრივი ველი. ტიტები ისე მიჯრით იყო ამოსული, ნემსი არ ჩავარდებოდა, თან ისეთი მკვრივი ღეროები ჰქონდათ, ხრაშა-ხრუში გაუდიოდა არემარეს... და გადავჯეგეთ ეს ხელშეუხებელი სილამაზე ველურებმა. თინიკო და ნინიკო წუხდნენ, ამ სილამაზეს ფეხი როგორ დავბიჯოთო და მამას გასძახოდნენ, სხვა გზით წავიდეთო, მაგრამ ვის გააგონებდნენ, იმ დროს პლატო ძია მათი მამა კი არა, ათასობით სული ცხვრის მფარველი ღმერთი იყო, ერთი არასწორი ნაბიჯი და ყველა ერთად ამოვყოფდით თავს მოუსავლეთში, თანაც სხვა გზა არ იყო, ბუნებრივი ტიტების ველზე ვიყავით.

ტიტების მინდორი ისევე უცბად დასრულდა, როგორც გამოჩნდა. ინსტინქტურად უკან მივიხედეთ. მინდორზე ძეხორციელი აღარ იყო, მაგრამ მაინც ძალუმად ხრაშუნობდა. ჩვენ შორიახლოს მომავალმა მეცხვარემ შენიშნა ჩვენი გაოცებული სახეები და ღიმილით დაგვიძახა: თქვენა კიდენა ჯავრობდით. აბა, ნახევარი საათის შემდეგა ნახეთ, ერთი ყვავილიც არ იქნება წაქცეული, ერთიმეორეს წამოაყენებენ... ის ტიტების ველი, ნეტავ, ჩვენს გარდა ვინმეს ნანახი თუ აქვს!..

კახეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე გადმოვედით, მდინარე ჩელთის მიმდებარე ტერიტორიაზე და შილდაში შევაბოტეთ. სწორედაც რომ „შევაბოტეთ“, ნამდვილად ბოტები გვეცვა და ტალახში ვიყავით ამოვლებულები. გული გვწყდებოდა, რომ ბოლომდე არ გაგვიყოლეს მეცხვარეებმა, მაგრამ აბა, რა გვექნა, დაგვარწმუნეს, რომ ფიზიკურად ვერ შევძლებდით დარჩენილი გზის გავლას, არადა, ძალიან გვინდოდა გვენახა ალაზანზე ცხვრის გადასვლა... საქმე ის იყო, რომ გავიგეთ, თბილისში ქოლერას ეპიდემიის საშიშროებაო და არსადაც აღარ გვეჩქარებოდა თბილისში წამსვლელებს...

უამრავი თავგადასავალი გადაგვხდა მხოლოდ მე და პლატო ძიას, რადგან მხარს ვუბამდი ყველაფერში და ყველაფერი მაინტერესებდა, მითუმეტეს, დევკაცთან შეყუჟვა — მთასავით იყო, რბილი, ტკბილი და უცნაური... ეს კი არა, დომინოს თამაში უყვარდა და რესტორანზე ვეთამაშებოდი — რა თქმა უნდა, „ჩოთქზე“ ვიპარავდი... ისეთი ალალი იყო, ჩემგან ასეთ საქციელს ვერ წარმოიდგენდა, ამიტომ ყოველთვის ვუგებდი. ერთხელაც, რომ მოვუგე, რესტორან „კახეთზე“ სასტიკი უარი მტკიცა, შუამთის რესტორნით შევცლიო. მერე დავინტერესდით, რატომ გადათქვაო და აღმოჩნდა, რომ ვარიეტე იყო ჩამოსული — „ცუდი გოგოების“ ნახვას აგვარიდა მე და თინიკო...

უშიშრად და სპარტანულად გამზარდეს, — ფოტოზე ჩანს, პატარა თბილისელ გოგოს ცხენზე მხედრულად დამჯდარს მეძინა და მძინარე ბავშვი არ ვვარდებოდი, დედაჩემი კი უაზროდ პოზიორობდა...

მიყვარს ცხენ-მხედარი ერთმანეთს რომ უხდება, მაგრამ პლატო ძიას მხედრად დანახვა მხოლოდ სიცილს მგვრიდა — მის ლაჯებში ცხენი იკარგებოდა, ზომები ვერ ეწყობოდა ერთმანეთს, სრულად დარღვეული იყო ცხენისა და მხედრის ვიზუალური ჰარმონია, თითქოს ჩოკინა ვირზე იჯდა, არადა, „ჩალა“ მაგარ ცხენად იყო აღიარებული, მუქი ჩალისფერი „ჩალა“...

გამორჩეული თეთრი ცხენი ჰყავდა პლატო ძიას. „მიმინო“ ულამაზესი ცხენი იყო, დიდი ტანის, ქათქათა თეთრი და მაღალი, მხოლოდ „მიმინო“ და პლატო ძია იყვნენ ცხენ-მხედარი და მხოლოდ „მიმინო“ იყო, რომელიც ლაღად ატარებდა ზურგით კეთილ დევს და არ ხვნეშოდა... „მიმინოზე“ მე და ნინიკო ვისხედით, სხვა არავინ დაუსვამს არასდროს...

პლატო ძია ბავშვობიდანვე შეეჯახა უსამართლობას. 1931 წელს გააკულაკეს პლატო ძიას მამა, როსტომი. კაცი პირველი მსოფლიო ომის მონაწილე იყო, ოფიცერი, ომში მიღებული 17 ჭრილობა ჰქონდა. 12 წელი გერმანიაში ცხოვრობდა და იქ დაოჯახდა კიდეც, მაგრამ მაინც დაბრუნდა საქართველოში.

ვლადიმირი. ვოლინსკის ოლქი. 1911-1914წ.წ. ფოტოგრაფი - შტერინი

პირველი კომბაინი როსტომ სეხნიაიძემ ჩამოიყვანა გერმანიიდან. მისი კომბაინის ფოტო თელავის მუზეუმშია დაცული. გადაღებულია ფოტოგრაფ ვასილ როინიშვილის მიერ, მაგრამ მუზეუმის მასალები სარდაფებშია და როდის გამოიზეურდება, არავინ იცის.

პაპა როსტომი საკუთარი გარჯით გამდიდრებული კაცი იყო, მარტო ცხენი ჰყავდა 300 სული, უამრავ ცხვარ-კამეჩსა და შვიდ წისქვილზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მაგრამ ჩამოართვეს ყველაფერი და ოჯახიანად აეკრძალა ალვანში ცხოვრება, ამიტომაც აღმოჩნდნენ თელავში. პაპა როსტომი ციხეში გარდაიცვალა ციმბირის წყლულით და, ფაქტობრივად, ამან გადაარჩინა ოჯახი, რომ სადღაც მოუსავლეთში არ გადაასახლეს.

ალექსი პაპას მეგობარი იყო ნუგზარ კვაშალის პაპა, რომელიც მაღალ თანამდებობაზე იყო — გნებავთ, ჩეკისტი დაარქვით, გნებავთ — კგბ-შნიკი, მისი გამოისობით გაიცა ერთი ბავშვის წაყვანის უფლება და ალექსა პაპამ 6 წლის პლატო ძია წამოიყვანა.

წლების შემდეგ, 1973 წელს, უკვე შევარდნაძის ცკ-ის მდივნობის დროს ათასობით ცხვარი ჩამოართვეს პლატო ძიას, ფაქტობრივად, ისიც გააკულაკეს... მთასავით კაცს ასეთი და უკვე მერამდენე უსამართლო დარტყმის გამო დიაბეტი გაუჩნდა... ამ ამბის შემდეგ თუშებმა მთელი ცხვარი გაყიდეს, პლატოს ჩამოართვეს და ჩვენ რას გვიზამენო. ვოვა აბულაძის შუამავლობით პლატო ძია ორჯერ შეხვდა შევარდნაძეს და უხსნიდა, რა მოჰყვებოდა ასეთ ქმედებას. შედეგი მალევე გამოჩნდა — წამლად აღარ იშოვებოდა ცხვრისგან მიღებული ნაწარმი: გუდის ყველი, მატყლი და მატყლისგან წარმოებული პროდუქცია, თვით ცხვრის ხორცი. შევარდნაძემ სასწრაფოდ უკუაგდო თავისი მოსაზრებები და აღარ შეხებია გლეხკაცს, მაგრამ პლატო ძიას რა, არაფერი დაბრუნებია უკან, ისევ ნულიდან დაიწყო...



„ჩალა“

მიუხედავად უსამართლობასთან არაერთგზის შეჯახებისა, პლატო ძია იმ კეთილ დევად დარჩა, რომელიც ყველა იმ გაჭირვებულის შემწე იყო, ვინც მის გვერდზე რამენაირად გაიჭაჭანებდა. მხოლოდ გაჭირვებულის კი არა, იმათაც არ ივიწყებდა, ვისაც როდესმე პატივი უცია — მედიკო მეზვრიშვილი ამბობდა, ერთადერთი კაცია პლატო, ვისაც არასდროს ვავიწყდებიო, — ნარჩევ გუდის ყველს სავსე გუდით უგზავნიდა კალენდრის მიხედვით აღსანიშნავ დღეებში...

(გაგრძელება იქნება)

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი ჰრესის ჰრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99